F-171
1989

0206—2674

# საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კ რ ე ბ უ ლ ი

3

თ ბ ი ლ ი ს ი 1989

ეროვნული ბიბლიოთეკა
0206—2674

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

3

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1989

რედაქტორი ზ. ალადაშვილი

შემდგენელი ე. ბურდიაშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989

F-5928

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის 1989 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება

### რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის ნაწილობრივი მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გარდაქმნის პოლიტიკამ, ახალმა ეკონომიკურმა პირობებმა და შესაბამისად, საწარმოო ძალთა გადანაწილებამ მოითხოვა რესპუბლიკის პროფტექსასწავლებლების ქსელის რაციონალიზაციისა და ოპტიმიზაციის პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება.

იმის გამო, რომ მთელმა რიგმა პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა ამოწურეს თავიანთი შესაძლებლობები და არ გააჩნდათ განვითარების არავითარი პერსპექტივა, ბოლო ორ წელიწადში გაუქმდა 15-მდე სასწავლებელი და ფილიალი.

პროფტექსასწავლებლების ერთი ნაწილის საქმიანობა კვლავაც დაბალეფექტურია. მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ იძლევა სასწავლო პროგრამების სრულყოფილად დაუფლებისა და კონკურენტუნარიან, მაღალ კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადების საშუალებას. მომზადებულ კადრებზე მოთხოვნის უქონლობის გამო რთულდება კურსდამთავრებულთა დასაქმება მიღებული პროფესიის შესაბამისად. მიუხედავად ბოლო პერიოდში პროფტექსასწავლებლებში მუშათა კადრების მომზადების დაგეგმვის — გარდაქმნის მიზნით გატარებული ღონისძიებებისა — კადრების მომზადების დაგეგმვა — სასწავლებლისა და საწარმოს პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე, საწარმოთა სახსრებით კადრების მომზადებისა და გადამზადების წესის დანერგვა და სხვა — და შესაბამისად პროფტექსასწავლებლებში მოსწავლეთა მიღების გეგმების კორექტირებისა, არ სრულდება მოსწავლეთა კო-



საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

ნტინგენტით სასწავლებლების დაკომპლექტებისა და კურსდამთა-ვრებულთა გამოშვების გეგმები. აღნიშნულ მიზეზებთან დაკავშირებით რიგ რეგიონებში. განსაკუთრებით თბილისში, ფოთში, გარდაბანში, ბოგდანოვკაში, ენისელში, თეთრწყაროში, ლაგოდეხში, მაიაკოვსკში კვლავაც აქტუალურია და გადაწყვეტას ითხოვს პროფსასწავლებლების ქსელის მოწესრიგების საკითხი.

ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს აკლიათ კვალიფიციური მუშახელი, რაც იმის აუცილებლობასაც აყენებს, რომ განხილულ იქნას ამ რეგიონებში პროფტექსასწავლებლების გახსნის საკითხი. მიმდინარე წელს დამთავრდება და ექსპლოატაციაში შევა პროფტექსასწავლებლების კომპლექსები წნორსა და დმანისში. უახლოეს წლებში დაიწყება სასწავლებლების მშენებლობა ლენინგორსა და ოჩამჩირეში.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს რესპუბლიკაში პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის ნაწილობრივი მოწესრიგების თაობაზე საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს საგეგმო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების განყოფილებების მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხორციელება (დანართი № 1).

2. პროფესიულ-ტექნიკური განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. კიკნაძე) აღნიშნული წინადადებების შესაბამისად მოამზადოს ბრძანებების პროექტები პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და მათი ფილიალების გაუქმებისა და შეერთების შესახებ.

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ი. ისაშვილი, ფ. კავთიაშვილი) შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლების 1989 წლის მომზადებისა და საფინანსო გეგმებში.

4. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების განყოფილებამ და საგეგმო-განყოფილებამ (ამხ. თ. კიკნაძე, ამხ. ფ. კავთიაშვილი) დარგობრივ სამინისტროებთან, უწყებებთან და ადგილობრივ ორგანოებთან ერთად განიხილონ პროფტექსასწავლებლების ქსელის მოწესრიგების შემდგომი ეტაპის პრაქტიკულად განხორციელების ღონისძიებანი.

5. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ამხ. ი. ისაშვილი, ფ. კავთიაშვილი) ზოგადსაშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოსთან (ამხ. ა. ეჯიბაძე, ამხ. თ. კიკნაძე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთად მუშაობა წარმართოს კადრების მომზადების 1989 და შემ-დგომი წლების გეგმების დასაზუსტებლად.

ამასთანავე, კვალიფიციურ მუშახელზე რეგიონალური და დარგობრივი მოთხოვნების საფუძველზე შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად დადგენილი წესის შესაბამისად გააანალიზონ ახალი პროფტექსასწავლებლების გახსნის მიზანშეწონილობის საკითხი.

6. დაევალოს რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრს (ამხ. ა. კაპანაძე) უახლოეს პერიოდში განაახლოს ხელშეკრულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან 2005 წლამდე საქართველოს სსრ რესპუბლიკის ტერიტორიაზე პროფტექსასწავლებლების განლაგების სქემის დაზუსტების მიზნით.

7. ხელმძღვანელი, სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველომ (ამხ. ა. ჰაჰია) ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით მიიღოს ზომები სასწავლებლების ქსელის მოწესრიგების ღონისძიებათა განხორციელების შედეგად გამონთავისუფლებულ ხელმძღვანელ და ინჟინერ-პედაგოგიურ მუშაკთა დასაქმებისათვის.

8. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველოსა და საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (ამხ. ამხ. ა. ეჯიბაძე, ი. ისაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი გ. ენუქიძე

დანართი
ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინადადებები

**1989—1990 წლებში რესპუბლიკის ზოგიერთი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ფილიალის რეორგანიზაციის (გაუქმების, შეერთების, პროფესიის შეცვლის) შესახებ**

| | პროფტექნიკური სასწავლებლის, ან ფილიალის დასახელება | მოსწავლეთა კონტინგენტი 01. 10. 88წ. მდგომარეობით | საბაზო ორგანიზაცია | რეორგანიზაციის საფუძველი და წინადადება |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1. | — თბილისის №49 პტს<br>— თბილისის №51 პტს | საშუალო განათლების ბაზაზე - 75<br>9-კლასის ბაზაზე - 66<br>სულ - 141 | საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი“ | ორივე სასწავლებელი ცალ-ცალკე დაბალეფექტურია, სასწავლო მატერიალური ბაზა ორივეს სუსტი აქვს. საბაზო საწარმოში დაკვეთა შემცირდა. ორივე სასწავლებელი გადაეცა საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატს“. საჭიროა მათი ერთ სასწავლებლად გაერთიანება.<br>წინადადება: გაუქმდეს № 49 პტს და შეუერთდეს № 51-ს, რომელსაც აუშენდა ახალი კომპლექსი. სასწავლებლების შეერთების შედეგად შენობები არ თავისუფლდება, ვინაიდან ორივე სასწავლებლის შენობა მდებარეობს საწარმოთა ტერიტორიაზე. |
| 2. | — ფოთის № 135 პტს<br>— ფოთის № 12 პტს | საშუალო განათლების ბაზაზე - 64<br>9-კლასის ბაზაზე - 575<br>სულ 639 | ფოთის გემთმშენებელი ქარხანა | ფოთის გემთმშენებელი ქარხნის ბაზაზე არის 2 სასწავლებელი. მე-12 სასწავლებლის კომპლექსის დამხმარე შენობაში მოთავსებულია № 135 სპტს, რომელიც ფოთის სხვა ორგანიზაციებისათვის ამზადებს კადრებს, მაგრამ აქვს სუსტი მატერიალური ბაზა. მისი ცალკე არსებობა უეფექტოა, მაშინ როდესაც № 12 პროფტექნიკური სასწავლებელი, რომელიც 1000-ზე სამოსწავლო ადგილზეა გათვალისწინებული, დატვირთულია.<br>წინადადება: გაერთიანდეს ფოთის № 185 და № 12 პტს-ები. |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 3. | — ბოგდანოვკის № 134 პტს-ის ფილიალი | 9-კლასის განათლების ბაზაზე - 51 (მე-3 კურსი) საშუალო განათლების ბაზაზე - 44<br>სულ: 95 | ბოგდანოვკის სამკერვალო ფაბრიკა | ფილიალი 1986 წლამდე ფუნქციონირებდა, როგორც № 123 სასწავლებელი, მაგრამ კადრებზე მოთხოვნის შემცირებისა და [illegible] სასწავლო-მატერიალური ბაზის გამო გადაკეთდა ფილიალად. [illegible]მდ ფილიალი დაბალეფექტურია, სისტემატურად [illegible] ტებს სასწავლებელს, რაიონის საწარმოებისათვის [illegible] ლებს და შემდგომში მომზადებს იქვე არსებული ბოგდანოვკის № 134 პტს. |
| 4. | — გარდაბნის 121 პტს ფილიალი სოფ. ტაბახმელაში | 9-კლასის განათლების ბაზაზე - 18 (მე-3 კურსი) საშუალო განათლების ბაზაზე - 26<br>სულ: 44 | ტაბახმელის ბიოკომბინატი | ფილიალი წლების მანძილზე დაბალეფექტურია. 1988 წელს 70 კურსდამთავრებულიდან საბაზო განაწილდა და დასაქმდა მხოლოდ 9. ფილიალის სასწავლო-მატერიალური ბაზა ყოვლად შეუფერებელ პირობებშია.<br>წინადადება: გაუქმდეს გარდაბნის № 121 პტს ფილიალი სოფ. ტაბახმელაში და ბიოკომბინატისათვის მუშათა კადრების მომზადება შემდგომში განხორციელდეს ძირითადი სასწავლებლის მიერ, რეალური მოთხოვნათა და შესაძლებლობების ფარგლებში. ფილიალის არსებული კონტინგენტი გადაეცეს ძირითად სასწავლებელს. |
| 5. | — ენისელის №2 პტს ფილიალი სოფ. ახალსოფელში | | ყვარლის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება | ფილიალი დაბალეფექტურია. 3 წლიანი სწავლებისათვის არასაკმარისი პირობებია. სწავლების დონე დაბალია. არ ხდება კურსდამთავრებულთა დასაქმება პროფესიის მიხედვით.<br>წინადადება: გაუქმდეს ენისელი № 2 პტს ფილიალი სოფ. ახალსოფელში, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, არსებული კონტინგენტი დამთავრებამდე დარჩეს ჯგუფების სახით და დაექვემდებაროს № 2 პტს-ს. შემდგომში საჭიროების მიხედვით, ხელშეკრულების საფუძველზე, მუშების მომზადება წარიმართოს საშუალო სკოლა დამთავრებულთა ბაზაზე, ენისელის № 2 პტს-ში. |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 6. | — თეთრიწყაროს №128 პტს-ის ფილიალი მანგლისში | 9-კლასის განათლების ბაზაზე - 61 | თეთრიწყაროს რაკ | ფილიალი დაბალეფექტურია. მდებარეობს მანგლისის სკოლა-ინტერნატის შენობაში, აქვს სუსტი მატერიალური ბაზა. სისტემატურად ვერ ასრულებს მიღების გეგმას.<br>წინადადება: გაუქმდეს თეთრიწყაროს № 128 პტს ფილიალი დაბა მანგლისში, მისი არსებული კონტინგენტი ჯგუფების სახით დაუქვემდებაროს № 128 პტს-ს. შემდგომში მანგლისისათვის საჭირო მუშების მომზადება განახორციელოს თეთრიწყაროს № 128 პტს-მა, ხელშეკრულების საფუძველზე საშუალო სკოლადამთავრებულთა ბაზაზე. |
| 7. | — ლაგოდეხის №88 პტს-ის ფილიალი სოფ. კაბალში | საშუალო განათლების ბაზაზე - 167<br>9-კლასის განათლების ბაზაზე - 133<br>სულ - 310 | საქაგრომრეწვი | ფილიალს გააჩნია ძალიან სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაბალია მომზადების ხარისხი, რაიონს არ ესაჭიროება აღნიშნული რაოდენობის კადრები. მის მოთხოვნას სრულიად აკმაყოფილებს ძირითადი სასწავლებელი.<br>წინადადება: გაუქმდეს № 88 სასწავლებლის ფილიალი სოფ. კაბალში. საჭიროების შემთხვევაში დარჩეს ცალკეული ჯგუფები. |
| 8. | — თბილისის №5 პტს | 9-კლასის ბაზაზე - 268<br>საშუალო განათლების ბაზაზე - 51<br>სულ - 319 | თბილისის ორჯონიკიძის სახ. ქარხანა | სასწავლებელში მკვეთრად შემცირდა მოსწავლეთა მიღება. კურსდამთავრებულთა დასაქმება ძალზე დაბალია. სასწავლებელი უპერსპექტივოა. ამასთანავე საბაზო ორგანიზაცია ვერავითარ დახმარებას ვერ უწევს.<br>წინადადება: № 5 სასწავლებელი გადაყვანილ იქნას ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის შენობაში და ექსპერიმენტის წესით შეიქმნას ტექნიკუმის ბაზაზე „ტექნიკურ-პროფტექსასწავლებელი". სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (კომპლექსი) ვარგის მდგომარეობაშია, შეიძლება მისი გამოყენება დანიშნულებისამებრ. |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 9. | — თბილისის №154 პტს<br><br><br>— თბილისის №108 პტს | საშუალო განათლების ბაზაზე - 90<br>9 - კლასის ბაზაზე - 191<br>საშუალო განათლების ბაზაზე - 51<br>სულ: 331 | „თბილგვირაბმშენის" სამმართველო „თბილმშენი" | ორივე სასწავლებელი მშენებლობის პროფილისაა. ცალ-ცალკე დაბალეფექტურია. კურსდამთავრებულთა დამაგრება ძალზე დაბალია. № 108 სასწავლებელში მოზიდული სასწავლო წლების [illegible] ბა 3 წლიანი ჯგუფების მიღება არასათანადო პირობების გამო. [illegible] სასწავლებელში დაბალ დონეზეა სასწავლო-აღმზრდელობითი [illegible] ობა. მოთავსებულია არატიპიურ შენობაში. სასწავლებელი მდებარეობს გლდანის დასახლებაში 75, 80, 126 — სასწავლებლის გარემოცვაში. ამჟამად მთავრდება იმავე ტერიტორიაზე № 51 სასწავლებლის ახალი კომპლექსი. საჭიროა რეგიონის განტვირთვა.<br>წინადადება: გაუქმდეს № 108 სპტს, მისი 1 წლიანი ჯგუფები გადაეცეს № 154-ს, ხოლო 3 წლიანი — იქვე მდებარე № 75 სასწავლებელს. შემდგომში „თბილმშენისათვის" კადრების მომზადება დაევალოს № 154 პტს-ს, ხოლო № 108 სასწავლებლის შენობის ერთი ნაწილი დაუბრუნდეს № 75 სასწავლებელს, რომელსაც არ გააჩნია სასწავლო სახელოსნოები და არ ყოფნის სასწავლო კაბინეტები. |
| 10. | — ტყიბულის №136 პტს | საშუალო განათლების ბაზაზე - 125<br>9 - კლასის ბაზაზე | სგ „საქნახშირი" და ტყიბულის სხვა საწარმოები<br>„ — " | № 13 სასწავლებელი წლების მანძილზე ვერ აკმაყოფილებს მოსწავლეთა მიღებისა და გამოშვების გეგმებს. არ აქვს სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზა, ძალზე დაბალია კურსდამთავრებულთა დამაგრება, გამოვლენილია სერიოზული ნაკლოვანებები მუშაობაში. ტყიბულის № 19 პროფტექნიკურ სასწავლებელს მიმდინარე წელს აუშენდა ახალი კომპლექსი, რომელიც აგრეთვე დატვირთავია. მათი გაერთიანების საკითხს საბაზო საწარმოც აყენებს. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1. | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| | | | | წინადადება: ეთხოვოს ს/გ საქვანახშირის [illegible] 1364-ე პროფტექსასწავლებელი შეუერთდეს № 19 პროფტექსასწავლებელს შენიშვნა: აღნიშნული სასწავლებლები გადაეცა საბაზო ორგანიზაციას „საქქვანახშირს". |
| 11. | — ლენტეხის №158 სასწავლებელი | 9-კლასის ბაზაზე - 18 | საჭაგ-ხოპრეწე | სასწავლებელი დაბალეფექტურია. წლების განმავლობაში ვერ ასრულებს მიღების გეგმას, სასწავლებელს გააჩნია სუსტი მატერიალური ბაზა, ვინაიდან ინტერნატის შენობაში გამოყოფილი აქვს რამოდენიმე ოთახი. მიმდინარე წელს არ აქვს დაგეგმილი მიღების გეგმა. წინადადება: გაუქმდეს ლენტეხის № 158 სასწ-ლებელი. |

შენიშვნა:

ა) გარდა აღნიშნულისა, ადგილობრივ ორგანოებთან ერთად საბაზო ორგანიზაციების მონაწილეობით შესასწავლი და გადასაწყვეტია მესტიის № 157, ჩოხატაურის №№ 81, 93, წალკის № 98, 117, ბოლნისის № 170; ზესტაფონის №№ 99, 144, 152, ვანის №№ 68, 118, ახმეტის № 130 სასწავლებლის, ქვემო ალვანის ფილიალის, ახალქალაქის № 116 და 174, მაიაკოვსკის 69, ქარელის 40 და 155, ცხინვალის № 78 და 131, ბათუმის 44 და 105, გალის №№ 50 და № 102, გორის № 15 და 106, სართიჭალის № 85 პროფტექსასწავლებლების დამოუკიდებლად ფუნქციონირების მიზანშეწონილობის საკითხი.

ბ) თითოეულ სასწავლებელში ოსტატ-მასწავლებელთა რაოდენობა 50-დან 100 მუშაკის ფარგლებშია, ამ მუშაკთა შრომით დასაქმება, რომელთაც ვერ მიეცემათ დატვირთვა სასწავლებელში მათი რეორგანიზაციის შემდეგ, უნდა მოეწყოს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და განათლების ორგანოების მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება

### რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ზოგიერთი კატეგორიის აბიტურიენტების კონკურსგარეშე ჩარიცხვის შესახებ

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. რესპუბლიკის ყველა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში კონკურსგარეშე, კონტიგენტს ზევით ჩაირიცხონ საქართველოში დაბრუნებული მესხები.

ამ კატეგორიის აბიტურიენტებმა სასწავლებელში უნდა წარმოადგინონ რაიონული აღმასკომის ცნობა, რომლითაც დადასტურდება მათი მიკუთვნება დაბრუნებული მესხებისადმი.

2. რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ყველა სპეციალობაზე გამოიყოს თითო ადგილი ქალაქ ორჯონიკიძის ქართული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა კონკურსგარეშე ჩარიცხვისათვის.

3. დამტკიცდეს აზერბაიჯანის სსრ კახის, ბელაქანისა და ზაქათალას რაიონების ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულების კონკურსგარეშე ჩარიცხვისათვის გამოყოფილი ადგილები უმაღლეს სასწავლებლებში (იხ. დანართი № 1 და № 2).

4. აფხაზეთის ასს რესპუბლიკას გამოეყოს 1 ადგილი უკონკურსოდ ჩარიცხვისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის სპეციალობის ქართულ. სექტორზე.

კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი გ. ენუქიძე

დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნუსხა

**რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სპეციალობებისა, სადაც კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან საინგილოს რაიონების ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულნი**

| | უმაღლესი სასწავლებლების სპეციალობა | რაიონების დასახელება | | | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| | | კახი | ზაქათალა | ბელაქანი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| | 1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 4 | 5 | 2 | 11 |
| 1 | მათემატიკა | — | 1 | — | 1 |
| 2. | ბიოლოგია | 1 | 1 | — | 2 |
| 3. | ქიმია | — | 1 | 1 | 2 |
| 4. | სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნეობა | 1 | 1 | 1 | 3 |
| 5. | ფიზიკა | 2 | — | — | 2 |
| 6. | იურიდიული | — | 1 | — | 1 |
| | II. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი | 4 | 3 | 1 | 8 |
| 1. | სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა | 1 | 1 | 1 | 3 |
| 2. | სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა | 1 | — | — | 1 |
| 3. | გეოლოგიური აგეგმვა, ძიება და დამუშავება | 1 | 1 | — | 2 |
| 4. | ავტომატური ელექტროკავშირი | 1 | 1 | — | 2 |
| | III. სამედიცინო ინსტიტუტი | 1 | 3 | 2 | 6 |
| 1. | სამკურნალო | 1 | 1 | 1 | 3 |
| 2. | პედიატრია | — | 1 | 1 | 2 |
| 3. | სტომატოლოგია | — | 1 | 1 | 1 |
| | IV. თბილისის ა. პუშკინის სახ. პედინსტიტუტი | 1 | 2 | 1 | 4 |
| 1. | დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა | — | — | 1 | 1 |
| 2. | ზოგადტექნიკური დისციპლინები | — | 1 | — | 1 |
| 3. | ბიოლოგია | 1 | 1 | — | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| | V. თბილისის უცხო ენების პედინსტიტუტი | 2 | 1 | 1 | 4 | |
| 1. | ინგლისური ენა | 1 | 1 | 1 | 3 | |
| 2. | გერმანული ენა | 1 | — | — | 1 | |
| | VI. ქუთაისის პედინსტიტუტი | 2 | 1 | — | 3 | |
| 1. | ქიმია-ბიოლოგია | 1 | 1 | — | 2 | |
| 2. | ფიზიკა-მათემატიკა | 1 | | — | 1 | |
| | VII. გორის ეკონომიკური ინსტიტუტი | — | 1 | 1 | 2 | |
| 1. | საბუღალტრო აღრიცხვა-კონტროლი და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი | — | 1 | 1 | 2 | |
| | VIII. თელავის პედინსტიტუტი | 2 | 1 | — | 3 | |
| 1. | დაწყებითი სამხედრო მომზადება და ფიზკულტურა | 1 | 1 | — | 2 | |
| 2. | ქართული ენა, ლიტერატურა და ისტორია | 1 | — | — | 1 | |
| | IX. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი | 2 | 3 | 2 | 7 | |
| 1. | აგრონომია | 1 | 1 | 1 | 3 | |
| 2. | სოფლის მეურნეობის მექანიზაცია | — | 1 | — | 1 | |
| 3. | მეხილეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა | — | 1 | 1 | 2 | |
| 4. | აგრონომია (დაუსწრებელი) | 1 | — | — | 1 | |
| | X. ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი | 1 | 1 | — | 2 | |
| 1. | ზოოვეტერინარია | 1 | 1 | — | 2 | |
| | XI. საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტ. | 1 | — | — | 1 | |
| 1. | მწვრთნელთა ფაკ-ი (ძიუდო) | 1 | — | — | 1 | |
| | სულ | 20 | 21 | 10 | 51 | |

დანართი №2

ნუსხა

რესპუბლიკის საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა, სადაც კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან საინგილოს რაიონების ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულნი

| | საშუალო სპეციალური სასწავლებლები | რაიონების დასახელება | | | სულ | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | კახი | ზაქა-თალა | ბელა-ქანი | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1. | თბილისის I მედსასწავლებელი | 1 | 2 | 1 | 4 | |
| 2. | თბილისის II მედსასწავლებელი | 2 | 1 | 1 | 4 | |
| 3. | თბილისის III მედსასწავლებელი | 2 | 4 | 1 | 7 | |
| 4. | თბილისის გოგებაშვილის სახ. პედსასწავლებელი | 1 | 1 | 1 | 3 | |
| 5. | თბილისის საბჭ. ვაჭრობის სასწავლებელი | 1 | 1 | 1 | 3 | |
| 6. | ცეკავშირის სავაჭრო ტექნიკუმი | 2 | 2 | 1 | 5 | |
| 7 | თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი | 1 | 2 | — | 3 | |
| 8. | თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი | 1 | 2 | 1 | 4 | |
| 9. | თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი | 2 | 1 | | 3 | |
| 10 | თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი | 1 | 1 | 1 | 3 | |
| 11 | თბილისის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელი | 1 | I | 1 | 3 | |
| 12 | თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელი | 1 | 1 | 1 | 3 | |
| 13 | თბილისის საფინანსო ეკონომიკური ტექნიკუმი | 1 | 2 | 1 | 4 | |
| 14 | თბილისის სამრეწველო ეკონომიკური ტექნიკუმი | 1 | 2 | 1 | 4 | |
| 15 | ქუთაისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი | 1 | 1 | 1 | 3 | |
| | საერთო რაოდენობა | 19 | 24 | 13 | 56 | |

* III სამედ. სასწ-ში ზაქათალის რაიონისათვის 2 ადგილი გათვალისწინებულ იქნას სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე, 1 ადგილი ფარმაცევტულზე, 1 ადგილი მედდაზე.

** სამრ. ეკ. ტექნიკუმში 1 ადგილი გამოეყოს ზაქათალის რაიონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის 1989 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება

### რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში „საბავშვო ბაღში აღზრდისა და სწავლების ტიპური პროგრამის“ რეალიზაციის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადმა მიმართულებებმა, „საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისა და სკოლისათვის ბავშვთა მომზადების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 317 დადგენილებამ განსაზღვრეს სკოლამდელი აღზრდის ძირითადი მიზანი, მისი ორგანიზაციისა და მუშაობის პრინციპები, შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის პერსპექტივები; შემუშავდა „საბავშვო ბაღში აღზრდისა და სწავლების ტიპური პროგრამა“, რომლის მოთხოვნათა შესაბამისად, ადგილობრივი სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელობით, სკოლამდელი დაწესებულებები მუშაობენ იმ მიმართებით, რომ ოჯახთან მჭიდრო კავშირში საფუძველი ჩაუყარონ ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებას, განახორციელონ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა კომუნისტური აღზრდის ამოცანები და მათი მომზადება მომავალი ცხოვრებისათვის.

ამასთანავე კოლეგიას მიაჩნია, რომ რესპუბლიკის სკოლამდელი დაწესებულებების პედკოლექტივების საქმიანობაში შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

აღმზრდელთა გარკვეული ნაწილის თეორიული მომზადება და პედაგოგიური ოსტატობა ვერ უპასუხებს პროგრამით წამოყენებულ გაზრდილ მოთხოვნებს, რის გამოც მთელ რიგ სკოლამდელ დაწესებულებებში არასათანადო ყურადღება ექცევა ბავშვებში კოლექტიური თანაცხოვრების გრძნობების აღზრდას, კულტუ-

რული ქცევის უნარ-ჩვევების გამომუშავებას; ბავშვთა შრომითი და სახვითი საქმიანობის, როგორც ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი საშუალების, საინტერესო და შინაარსიან ორგანიზაციას; სერიოზული ნაკლოვანებებია ენების (მშობლიური, რუსული, უცხოური) სწავლების მიმართებით.

იმის გამო, რომ აღმზრდელთა გარკვეულ ნაწილს არ შესწევს უნარი ბავშვებთან ფიზკულტურული მუშაობის გაშლისათვის, მეცადინეობები ფორმალურ ხასიათს ატარებს, მთელი მოთხოვნით არ სრულდება ბავშვთა გამაკაჟებელ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, რის შედეგადაც შეინიშნება ბავშვთა დაავადებების მატების ტენდენცია. მაგ.: 1986 წელს ავადმყოფობით გაცდენილ დღეთა რაოდენობა შეადგენდა მთლიანად გაცდენილ დღეთა 34,3%-ს, 1987 წელს — 40,3%-ს.

სერიოზული ნაკლოვანებები აღინიშნება ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივის „მართვეს" მუშაობაში, რომელიც ექსპერიმენტის წესით ფუნქციონირებს ქ. თბილისის 14 საბავშვო ბაღში.

არადამაკმაყოფილებლად წარიმართება მუშაობა ბავშვთა მუსიკალური აღზრდის დარგში; აღინიშნება პროგრამიდან უხეში გადახრები: გაუმართლებელია დიდ სცენებზე სკოლამდელთა კონცერტების ჩატარებისა და მოზრდილთათვის გათვალისწინებული საცეკვაო ჟანრებით გატაცება, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გადატვირთვა საზეიმო ღონისძიებებით, კონცერტებით, რეპეტიციებითა და კონკურსებით, რადგან ეს უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვთა ფსიქიკურ და ფიზიკურ მდგომარეობაზე.

სუსტად სრულდება თამაშით ბავშვთა განვითარების ამოცანები ზნეობრივი, გონებრივი, შრომითი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის პრობლემებთან კავშირში. სათამაშო კუთხეები, რომლებსაც ძირითადად მხოლოდ საგამოფენო ფუნქცია აქვს, ბავშვებისთვის მიუწვდომელია; ბავშვების დამოუკიდებელ საქმიანობას უფრო სტიქიური ხასიათი აქვს, ვიდრე მოწესრიგებული თამაშისა, რომელშიც უნდა აისახოს მათ მიერ მიღებული ცოდნა-შთაბეჭდილებები, ხასიათის ძირითადი ნიშნები.

კოლეგია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ საბავშვო ბაღში აღზრდისა და სწავლების ამჟამად მოქმედი პროგრამა წარმოადგენს სსრკ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ტიპური პროგრამის გადმოქართულებულ ვარიანტს. მიუხედავად იმისა, რომ მასში შეტანილია სკოლამდელი

პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის დარგში ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარებული გამოკვლევების ზოგიერთი შედეგები, პროგრამაში ნაკლებადაა გათვალისწინებული ქართული კლიმატურ-გეოგრაფიული, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, კულტურული თავისებურებანი; რაც შეეხება არაქართულ ენაზე მომუშავე ჯგუფებს, ისინი მხოლოდ საკავშირო ტიპური პროგრამით ხელმძღვანელობენ, ამდენად გარკვეული დისონანსია შეტანილი მთლიანად ქსელის სასწავლო- აღმზრდელობით პროცესში.

რამდენადაც ამჟამად მოქმედი პროგრამა ტიპურია და არა სანიმუშო, პედკოლექტივები პრაქტიკულად მოკლებული არიან საშუალებას, შემოქმედებითად მიუდგნენ მის განხორციელებას, ან შეიტანონ საჭირო ცვლილებები. პროგრამა იმდენად გადატვირთულია მეცადინეობებით, რომ საბავშვო ბაღში მუშაობა დაემსგავსა სკოლის საგაკვეთილო პროცესს, რამაც ბავშვებში შეზღუდა თავისუფალი მოქმედება; არაა ჩამოყალიბებული სწავლა-აღზრდის ერთიანი სისტემა, რადგან შეუსაბამობაა საბავშვო ბაღისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი კლასების ამჟამად მოქმედ პროგრამებს შორის.

იმის გამო, რომ სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ჩაბმა მხოლოდ 43,9%-ს შეადგენს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის I კლასებში შეინიშნება ერთგვარი დისონანსი სკოლისათვის ბავშვთა მომზადების თვალსაზრისით. აღნიშნული ხარვეზის დასაძლევად არაა შემუშავებული ოჯახურ პირობებში ბავშვთა აღზრდის პროგრამა, სკოლისათვის მოსამზადებლად.

პროგრამის განხორციელების საქმეში ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორს ისიც წარმოადგენს, რომ სკოლამდელი დაწესებულებები საკმარისად არ მარაგდებიან პროგრამის შესაბამისად საჭირო ლიტერატურული და მუსიკალური ქართული კრებულებით, თვალსაჩინო-დიდაქტიკური, სათამაშო მასალებით, რეპროდუქციებით, დიაფილმებით, ფონოჩანაწერებით, ეზოს დანადგარებით, სპორტული და შრომის იარაღებით.

სერიოზული ნაკლოვანებებია სკოლამდელი დაწესებულებების კადრების მომზადების, განაწილებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. რესპუბლიკაში, 1988 წლის მონაცემებით, 20806 სკოლამდელი მუშაკიდან 44,5%-ს აქვს სკოლამდელი პროფილის საშუალო და უმაღლესი განათლება. ამასთანავე შეინიშნება უკანასკნელ წლებში ზოგადი საშუალო განათლების მქონე კადრების მატების ტენდენციები, მაგ.: თუ 1985 წელს ირიცხებოდა 1953,



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

1989 წელს ამ მაჩვენებელმა 2914-ს მიაღწია; რაც იმით აიხსნება, რომ არ არსებობს გეგმაზომიერება სპეციალისტთა კადრების მომზადების საკითხში, ზოგიერთ რაიონში (ყვარელი, სიღნაღი, თელავი, გურჯაანი) აღინიშნება მათი სიჭარბე და შრომით დაუსაქმებლობა, ხოლო მთელ რიგ რეგიონებში — (ზუგდიდის, ჩხოროწყუს, ახპინძის, მაიაკოვსკის, წალენჯიხის — რაიონები და სხვა) ნაკლებობა.

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტსა და მის ფილიალებში ყოველწლიურად კვალიფიკაციას იმაღლებს მხოლოდ 2500 სკოლამდელი მუშაკი, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მათგანს კვალიფიკაციის ამაღლების კურსების გავლა ნაცვლად ხუთისა, უწევს 8 წელიწადში ერთხელ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლამდელი მუშაკების მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე საათების დიდი რაოდენობა ეთმობა ზოგადთეორიულ საკითხებს, რის გამოც სემინარული და პრაქტიკული საათების რაოდენობა ძალზე მცირეა. (156 საათიდან 122 — ეთმობა სალექციო კურსს, 10 — სემინარულ და 24 — პრაქტიკულ მუშაობას).

სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში არსებული რეალური მდგომარეობა აშკარად მეტყველებს სკოლამდელ მუშაკთა ატესტაციის ჩატარებაში დაშვებულ ფორმალიზმსა და ლიბერალიზმზე, მაგ.: 1987—1988 წელს ატესტაცია გაიარა 5905 მუშაკმა, ამათგან 730-ს მიეცა რეკომენდაცია და მხოლოდ 5 გათავისუფლდა სამსახურიდან, შეფასებით — „არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას".

სახალხო განათლების განყოფილებები, მეთოდური სამსახურები და საგნობრივი გაერთიანებები სუსტად ეხმარებიან სკოლამდელ მუშაკებს პროგრამის რეალიზაციის საქმეში; არ იგრძნობა სიახლეთა ძიებისა და საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის ტენდენციები. რესპუბლიკაში არ არის საავტორო ბაღების ქსელი, პროგრამის ამა თუ იმ განაყოფში გაღრმავებული მუშაობის მიმართულებით. თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად გადახალისებას საჭიროებს სამინისტროსთან არსებული სასწავლო-მეთოდური საბჭოს მუშაობა.

კ ო ლ ე გ ი ა მ  გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა აღზრდისა და სწავლების პროგრამის რეალიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა (თან ერთვის).

2. სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა, დაქვემდებარებულმა დაწესებულებებმა (ამხ. ამხ. შ. ამონაშვილი, ნ. ახობაძე, ვ. გაგუა, გ. გოდერძიშვილი, ი. ელისაშვილი, ა. კაპანაძე, თ. კიკნაძე, მ. მნათობიშვილი, ვ. ქვანია, ი. ურუშაძე, ნ. ღლონტი, ა. ჰაჰია):

2.1. უზრუნველყონ დასახული ღონისძიებების დროული და ხარისხიანი შესრულება, რისთვისაც საქმიანი კონტაქტები დაამყარონ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან;

2.2. 1990 წლის 10 იანვრისათვის წარმოადგინონ ინფორმაციები გატარებულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისისა და ქუთაისის სახალხო განათლების სამმართველოებმა სახალხო განათლების საქალაქო და სარაიონო საბჭოებთან ერთად განიხილონ აღნიშნული გადაწყვეტილება კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე, შეიმუშაონ მისი განხორციელების კონკრეტული ღონისძიებები, რომელშიც გაითვალისწინონ როგორც სახალხო განათლების სისტემის, ასევე საუწყებო სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის მუშაობის გაუმჯობესებისა და განვითარების პერსპექტივები. ჩატარებული მუშაობის შესახებ აცნობონ სახალხო განათლების სამინისტროს 1990 წლის სექტემბრამდე.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები სკოლამდელი დაწესებულებების ბავშვთა სამედიცინო უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის განმტკიცებისა და დაცვის კომპლექსური პროგრამა — „ჯანმრთელობის" განხორციელებისათვის; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს რაიონებში გასვლითი სამედიცინო ბრიგადების მომსახურებას, ბავშვთა ღრმა სამედიცინო შემოწმებებისა და დისპანსერიზაციის ჩატარებას, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას.

5. ეთხოვოს საქართველოს სსრ მწერალთა, მხატვართა და კომპოზიტორთა კავშირების გამგეობებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის კონცეფციის, პროგრამის, სასწავლო--თვალსაჩინოებებისა და ქრესტომათიების შედგენაში; შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები სკოლამდელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებულებებთან პრაქტიკული კონტაქტების დამყარებისა და თანამშრომლობისათვის.

6. ეთხოვოს საქართველოს სსრ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს, სისტემატურად მოაწყოს მიზნობრივი გადაცემები სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე, სკოლამდელ მუშაკთა და მშობელთა საზოგადოებრიობის დახმარების მიზნით.

7. გაზეთმა „სახალხო განათლებამ" სისტემატურად დაბეჭდოს მასალები სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მოწინავე გამოცდილების განზოგადებას.

8. გადაწყვეტილების შინაარსი გამოქვეყნდეს რესპუბლიკის პედაგოგიურ პრესაში, გამრავლდეს და დაიგზავნოს ადგილებზე.

9. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობა პერიოდულად მოხსენდეს კოლეგიას.

10. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სკოლამდელი აღზრდის განყოფილებას (ამხ. ნ. ახობაძე).

კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი გ. ენუქიძე

დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო
განათლების სამინისტროს 1989 წლის
კოლეგიის გადაწყვეტილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა აღზრდისა და სწავლების პროგრამის რეალიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა**

**გეგმა**

**(1989—95 წლები)**

| ღონისძიებების დასახელება | შემსრულებელი | პასუხისმგებელი შესრულებაზე | შესრულების ვადა |
|---|---|---|---|
| სკოლამდელი აღზრდის ეროვნული კონცეფციის შესამუშავებლად კონკურსის გამოცხადება | ი. გოგებაშვილის სახ. ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიური გაერთიანება; თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედინსტიტუტის მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრ. ინსტიტუტი, რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური ცენტრი. | სკოლამდელი აღზრდის განყოფილება | 1989—1990 წ.წ. |
| სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა აღზრდისა და სწავლების პროგრამის გადამუშავება (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი კლასების პროგრამასთან შესაბამისობაში მოყვანა) ქართულ და არაქართულ ენაზე მომუშავე ჯგუფებისათვის; პროგრამის დაყვანა ადგილებამდე. | —"— | —"— | 1990—1993 წ. |

| 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|
| ოჯახურ პირობებში ბავშვთა აღზრდისათვის მშობლთა დასახმარებლად სათანადო პროგრამის შემუშავება. | ი. გოგებაშვილის სახ. ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმო პედაგოგიკური გაერთიანება, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, რესპ. სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი | სკოლამდელი აღზრდის განყოფილება | 1989—1995 წ. |
| სკოლამდელ დაწესებულებებში ენების სწავლებასთან დაკავშირებით მეცნიერული კვლევის ჩატარება და სათანადო პრაქტიკული ღონისძიებების და სხვა. | —"— | —"— | —"— |
| სკოლამდელი აღზრდის ბავშვთა მეტყველების განვითარებისა და თხრობის უნარის გამომუშავებისათვის სერიული სურათების მომზადება, გამოცემა. | თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედინსტიტუტი, ი. გოგებაშვილის სახ. ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმო პედაგოგიური გაერთიანება, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური ცენტრი, გამომცემლობა „განათლება". | სკოლამდელი აღზრდის განყ-ბა, სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის განყოფილება | 1992—95 წ. |
| მშობლიური ენის სწავლებისათვის სამაგიდო თვალსაჩინო მასალების (ლოტოები, სურათები და ა. შ.) გამოცემა. | თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედინსტიტუტი, ი. გოგებაშვილის სახ. ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმო პედაგოგიური გაერთიანება, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, რესპუბლიკური სამეცნიერო- | სკოლამდელი აღზრდის განყოფილება, სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის განყოფილება | 1993—95 წ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|
| | რო მეთოდური ცენტრი, გამომცემლობა „განათლება“. | | |
| ქართული ფონოჩანაწერების (ზღაპრების, მოთხრობების, ლექსების) მომზადება-გამოცემა. | თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედინსტიტუტი, ი. გოგებაშვილის სახ. ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმო პედაგოგიური გაერთიანება, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი, გამომცემლობა „განათლება“. | სკოლამდელი აღზრდის განყოფილება, სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის განყოფილება | 1993—95 |
| მხატვრულ მასალათა კრებულების („ჭეჭილი“, „აისი“, „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“) გამოცემა. | გამომცემლობა „განათლება“. | სკოლამდელი აღზრდის განყოფილება, სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის განყოფილება | 1990—92 |
| ქართული ხალხური ზღაპრებისა და საბავშვო მხატვრული ნაწარმოებების თემებზე დიაფილმების შექმნა. | ი. გოგებაშვილის სახ. ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმო პედაგოგიური გაერთიანება, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრ. ინსტ. რესპ. სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი. | სკოლამდელი აღზრდის განყოფილება, სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის განყოფილება | 1990—95 |

| 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|
| ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების მიზნით, არაქართულ ენაზე მომუშავე ჯგუფებისათვის ქართული ენის სწავლების პროგრამისა და შესაბამისი მეთოდური მასალების შემუშავება-გამოცემა. | ი. გოგებაშვილის სახ. ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმო პედაგოგიური გაერთიანება, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედინსტიტუტი, რესპ. სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი, გამომცემლობა „განათლება“. | სკოლამდელი აღზრდის განყოფილება | 1989—90 |
| ქართველი მხატვრების რეპროდუქციების, გამოყენებითი სახვითი ხელოვნების ნიმუშების გამოცემა. | ი. გოგებაშვილის სახ. ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმო პედაგოგიური გაერთიანება; მასწავლებელთა დახ. ცენტრალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი. გამომცემლობა „განათლება“. | სკოლამდელი აღზრდის განყოფილება, სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის განყოფილება | 1990—99 |
| ბავშვთა სახვითი საქმიანობისა და კონსტრუირებისათვის საჭირო მასალების სათანადო ნუსხის შედგენა და დაკვეთა | რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი. | სკოლამდელი აღზრდის განყოფილება, მომარაგება-გასაღების სამმართველო | |
| ბავშვთა შრომითი იარაღების დამზადება და სკოლამდელი დაწესებულებებისათვის მიწოდება | რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი. ქ. თბილისის № 63 პროფტექსასწავლებელი | სკოლამდელი აღზრდის განყოფილება, პროფტექგანათლების განყოფილება, მომარაგება-გასაღების სამმართველო | 1989—90 |

| 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|
| სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მუსიკალური აღზრდისათვის საჭირო გრამფირფიტების სათანადო რეპერტუარის შერჩევა და დაკვეთა | ი. გოგებაშვილის სახ. ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმო პედაგოგიური გაერთიანება, რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი. | სკოლამდელი აღზრდის განყოფილება | 1990 |
| საბავშვო მუსიკის კრებულების გამოცემა. | ი. გოგებაშვილის სახ. ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმო პედაგოგიური გაერთიანება, გამომცემლობა „განათლება“. | სკოლამდელი აღზრდის განყოფილება, სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის განყოფილება | 1939—93 |
| ეზოს დანადგარებისა და სპორტული იარაღების დამზადება (სათანადო ნიმუშებისა და ნუსხის შედგენა; დაკვეთის მიცემა) | რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი. ქ. თბილისის № 63 პროფტექსასწავლებელი | სკოლამდელი აღზრდის განყოფილება, პროფტექგანათლების განყოფილება, მომარაგება-გასაღების სამმართველო. | 1989—92 |
| „მომავლის საბავშვო ბაღის“ პროექტის კონკურსის გამოცხადება. | | მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური ბაზის განვითარების სამმართველო, სკოლამდელი აღზრდის განყოფილება | 1989—90 |

| 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|
| რესპუბლიკის სკოლამდელი დაწესებულებებისათვის კადრების მზადების მდგომარეობის გაანალიზება და მათი მიზნობრივი მომზადებისათვის სათანადო ღონისძიებების გატარება. | | კადრების სამმართველო, სკოლამდელი აღზრდის განყოფილება | 1989 წლის ბოლომდე |
| სკოლამდელი აღზრდის მუშაკთათვის კვალიფიკაციის ამაღლების კურსების 5 წელიწადში ერთხელ ჩასატარებლად პრაქტიკული ღონისძიებების დასახვა. | მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი | კადრების სამმართველო, სკოლამდელი აღზრდის განყოფილება | —"— |
| სკოლამდელი აღზრდის მუშაკთა კვალიფიკაციის კურსში ცვლილებების შეტანა პრაქტიკული მუშაობის სწავლების გაუმჯობესების მიზნით. | მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი | კადრების სამმართველო, სკოლამდელი აღზრდის განყოფილება | —"— |
| ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივის „მართვეს" თანამშრომლებისათვის სკოლამდელი აღზრდის დარგში გადამზადების კურსების ორგანიზაცია. | მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი | სკოლამდელი აღზრდის განყოფილება, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყ-ბა | 1989 წ. |
| სკოლამდელი აღზრდის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს სამუშაო გეგმის გადახალისება, პროგრამის რეალიზაციისათვის ადგილებზე დახმარების ღონისძიებების გათვალისწინებით. | სამეცნიერო-მეთოდური საბჭო | სკოლამდელი აღზრდის განყოფილება | 1989 წლის სექტემბრამდე |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|
| სკოლამდელი აღზრდის პროგრამისა და დამხმარე ლიტერატურის, სასწავლო-თვალსაჩინოების გამოცემისათვის სათანადო ფინანსიური სახსრების გამოყოფა. | | საგეგმო-საფინანსო სამმართველო | საჭირო-ების |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის 1989 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება

## სტიქიური უბედურების გამო აჭარის ასსრ რაიონებიდან საქართველოს სსრ სხვა რეგიონებში ჩასახლებულ აბიტურიენტთა კონკურსგარეშე ჩარიცხვის შესახებ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში

კ ო ლ ე გ ი ა მ  გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

სტიქიური უბედურების გამო აჭარის ასსრ რაიონებიდან საქართველოს სსრ სხვა რეგიონებში ჩასახლებული აბიტურიენტები 1989 წელს კონკურსგარეშე ჩაირიცხონ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ყველა სპეციალობის ქართულ სექტორებზე.

კოლეგიის თავმჯდომარე, მ ი ნ ი ს ტ რ ი  გ. ე ნ უ ქ ი ძ ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის 1989 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება

## სკოლამდელი დაწესებულებების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სახლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ქსელის მდგომარეობისა და სრულყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ

მიღებულ იქნეს ცნობად სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს ინფორმაცია მიმდინარე ხუთწლედში სკოლამდელი დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სახლების და სკოლის გარეშე დაწესებულებათა ქსელის მდგომარეობისა და არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ.

მდგომარეობის სრულყოფის, დაგეგმვისა და აღრიცხვის გაუმჯობესების მიზნით

კ ო ლ ე გ ი ა მ  გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საგეგმო-საფინანსო სამმართველოს ინფორმაცია გადაწყვეტილებასთან ერთად დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა. ო. განათლების განყოფილებას, სახალხო განათლების თბილისის სამმართველოს, ქალაქებისა და რაიონების განყოფილებებს სახელმძღვანელოდ და დამატებითი ღონისძიებების გასატარებლად.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქსელის, კონტიგენტისა და შრომის ანაზღაურების ფონდის განსაზღვრის საკითხებს, მუშაობაში აქტიურად გამოიყენონ ეკონომიკური ანალიზის მოქმედი მეთოდები. პი-

ეროვნული

რადი პასუხისმგებლობის ქვეშ იქონიონ აღრიცხვისა და მომზადების საქმე, ამთავითვე გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი ეკონომიკური კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და განახლების საქმეში.

2.1. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ განათლების დაწესებულებებისათვის გამოყოფილი სახსრების მიზნობრივი ათვისების საქმეს. სკოლამდელი დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის და სხვა დაწესებულებათა ორგანიზაცია-რეორგანიზაციისას იხელმძღვანელონ მოქმედი წესით, რომლის თანახმადაც წინასწარ საჭიროა მატერიალურ-ტექნიკური დასაბუთება და ამის საფუძველზე სამინისტროს თანხმობა. რეორგანიზაციულ ცვლილებების გატარება აწარმოონ სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი წლით ადრე გეგმის დამტკიცების ეტაპზე.

2.2. სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში წარმოადგინონ საგეგმო-საფინანსო სამმართველოში, საკონტროლო ციფრების საფუძველზე, რეგიონის ქსელის 1990 წლის საპროექტო მაჩვენებლები სათანადო დასაბუთებით. პროექტის შედგენას საფუძვლად დაუდონ წინა წლების ეკონომიკური ანალიზი და რეგიონის პერსპექტიული განვითარების პრობლემები.

3. არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს თეთრიწყაროს განათლების განყოფილების მუშაობა სკოლამდელი დაწესებულებების გახსნის, დაკომპლექტებისა და დაგეგმვა-დაფინანსების საქმეში.

3.1. საკითხის განხილვისას კოლეგიამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ განყოფილების გამგე ამხ. რ. ჭელიძე დანიშნულია 1987 წლის ბოლოს და მხილებული ნაკლოვანებების გამო დაევალა დეტალურად გაანალიზოს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საფინანსო-ეკონომიური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა და ჩაატაროს კონკრეტულ ქმედითი ღონისძიებანი მის გასაუმჯობესებლად. შედეგების შესახებ ინფორმაცია წარმოუდგინოს სამინისტროს 1990 წლის 1 ივნისს.

4. წინადადება მიეცეთ ყვარლის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. მ. ოზაშვილს და ქ. გორის განათლების განყოფილების გამგეს ამხ.მ.აბულაშვილს ახალი სასწავლო წლიდან მაქსიმალურად აღმოფხვრან კლასების დაკომპლექტებაში არსებული ნაკლოვანებანი, თავიანთ შემდგომ მუშაობაში იხელმძღვანელონ სკოლის რეფორმასთან დაკავშირებული მოქმედი წესითა და ნორმატიული აქტებით.

5. დაევალოთ სახალხო განათლების რაიონულ და საქალაქო განყოფილებათა ხელმძღვანელებს განიხილონ იმ სკოლის დირექტორთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც არასწორი დაკომპლექტების გამო დაუშვეს ზეგეგმიური ფინანსური კლასების გახსნა და შედეგი აცნობონ სამინისტროს.

6. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ი. ისაშვილი) ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოსთან (ამხ. ა. ეჯიბაძე), ინტერნატების დამხმარე სასწავლო-აღმზრდელობის დაწესებულებათა და ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილებასთან (ამხ. გ. ჭუმბურიძე) ერთად სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების წინადადების საფუძველზე დაამუშაონ მცირეკომპლექტიანი სასწავლო დაწესებულებების შემდგომი ფუნქციონირებისა და მოწესრიგების ღონისძიებანი და მ. წ. 25 აგვისტომდე წარმოადგინონ განსახილველად.

6.1. გააქტიუროს მუშაობა სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ეკონომიურ სამსახურებთან თათბირ-სემინარების მოწყობით, ადგილებზე გასვლით და ნორმატიული მასალების დროული დაყვანით. საამისოდ მიამაგროს თითოეულ რაიონს კვალიფიცირებული სპეციალისტები.

7. კოლეგიის გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ამხ. ნ. ა. ვორონოვს.

კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი გ. ენუქიძე

**ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების, ინტერნატებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებათა ქსელის მდგომარეობისა და დამატებით ღონისძიებათა შესახებ**

საგეგმო-საფინანსო-სამმართველომ გაანალიზა სისტემაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სკოლამდელი და სხვა დაწესებულებების ქსელის დაგეგმვა და ფაქტიური მდგომარეობა და გამოირკვა რომ:

1988 წლისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 1664 სკოლამდელი დაწესებულება 154000 ბავშვით.

მ/წლის იანვრის მდგომარეობით სისტემაში სტატისტიკური მო-ნაცემებით ფუნქციონირებს 1625 სკოლამდელი დაწესებულება 153100 ბავშვით, ე. ი. არ გახსნილა გეგმით გათვალისწინებული 39 სკოლამდელი დაწესებულება.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობის გამო გეგმით გა-თვალისწინებული სკოლამდელი დაწესებულების ექსპლოატაცია-ში შესვლა დროულად ვერ უზრუნველყო რიგმა საქალაქო და რაიონულმა განყოფილებებმა, ეს განსაკუთრებით ეხება აფხაზე-თის ასსრ—3, აჭარის ასსრ—3, სამხრეთ ოსეთის აო—3, ჭიათუ-რა—3, ლენტეხის რ-ს—3, მახარაძის რ-ს—2, ბოგდანოვკისა—4, და ზუგდიდის—2 რაიონებს.

ქსელისა და კონტინგენტის დაგეგმვისას თეთრიწყაროს რაი-ონმა—12, ქუთაისმა—1, წულუკიძის რაიონმა—2, საჩხერემ—3, გეგეჭკორმა—2, წარმოადგინეს დამატებით გასახსნელად სკოლამ-დელი დაწესებულებები რომლებიც 1-ლი იანვრის მდგომარეობის ფაქტიურად არ გაიხსნა, რაც გახდა ხელფასის ფონდის ხელოვ-ნური ეკონომიის მიზეზი და შესაბამისად დააბანდა სახელმწიფო სახსრები.

სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ჩაბმის პროცენტი საკავშიროსთან შედარებით (58%) ძალზე დაბალია — 46,5%, თუმ-ცა 1985 წელთან შედარებით (40,8%) გაიზარდა 5,7%-ით. განსა-კუთრებით დაბალია ბავშვთა ჩაბმის პროცენტი სოფლად — 28,9. ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ ძალზე მცირეა სკოლამდელი დაწესებულებები რიგი რაიონის სოფელ ადგილებში. ქ. ტყი-ბულში 1—31, ახალქალაქის რ-ში 1—57, ბოლნისის რ-ში არც-ერთი, დუშეთის რ-ში 5—105, ხაშურის რ-ში 2—146, სწორედ ეს განაპირობებს მთლიანი ჩაბმის პროცენტის სიმცირეს აჭარის ასსრ-ში 18,4%, ჭიათურის რ-ში 12,7%, ახალქალაქის რ-ში 0,5%, ბოგდანოვკაში 15%, ბოლნისის რ-ში 13,4%, დმანისის რ-ში 8,3, დუშეთის რ-ში 14%, ხაშურის რ-ში 9,6 და სხვა.

მიმდინარე ხუთწლედის დასაწყისში სკოლამდელი დაწესებუ-ლების რაოდენობა 1985 წელთან შედარებით გაიზარდა 116 ერ-თეულით. ბავშვთა რაოდენობა კი 20,500-ით. მათ შორის შედა-რებით თბილისში 16-ით, აჭარაში 16-ით, სამხრეთ ოსეთის აო 4-ით, ჭიათურაში 13-ით, რუსთავში 5-ით და ა. შ. საპირისპირო მდგომარეობა გამოიკვეთა, ანუ შემცირდა მცხეთის რ-ში 5 ერთე-ულით, თიანეთის რ-ში 1 ერთეულით, ლენტეხის რ-ში 1 ერთე-ულით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვევით მოცემულია სისტემაში სკოლამდელი დაწესებულებების დინამიკა 1985—1988 წლებში.

| წელი | დაწეს. რ-ბა | ბავშ-ვთა რ-ბა | მ. შ: 1 კლ | I კვ. მოსწ. რ-ბა | ზრდის % 1985 წ: შედარებით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | დაწესე. ბულ. რ-ბა | ბავშვთა რ-ბა | I კლ. სკოლა დაწესებულება | მათში მოსწ. რ-ბა |
| 1985 | 1509 | 132,6 | 65 | 1,9 | — | — | — | — |
| 1986 | 1535 | 138,9 | 133 | 3,5 | 101,7 | 104,7 | 204.6 | 184,2 |
| 1987 | 1563 | 147,0 | 196 | 5,4 | 103.6 | 110,8 | 301,5 | 284,2 |
| 1988 | 1625 | 153,1 | 207 | 6,3 | 107,7 | 115.5 | 318,5 | 331,6 |

სკოლამდელი დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად 1988 წლის სახელმწიფო გეგმით ექსპლოატაციაში უნდა შესულიყო 6, 3 ათასი ბავშვთა ადგილი, ფაქტიურად კი საექსპლოატაციოდ გადაეცა 4880 ანუ 1420 ბ) ადგილით ნაკლები, მაშინ როდესაც 153, 100 ადგილიდან სკოლამდელი დაწესებულებები 43141 ადგილით ტიპიურ შენობაშია (28.2%) მხოლოდ ძირითადი ნაწილი კი — 71,8% შეგუებულ შენობაშია განლაგებული.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა უკანასკნელი მონაცემებით ითვლის 3576 სკოლას, აქედან დაწყებითია 891, არასრული საშუალო — 821, საშუალო — 1864, 1985 წელთან შედარებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დინამიკა ასეთ სურათს იძლევა:

| წელი | დაწყებითი სკოლები | | | არასრული საშუალო სკოლები | | | საშუალო სკოლები | | | სულ სკოლების რაოდენ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სკოლ რ-ბა | მოსწ. რა-ბ | მ. შ. საშ. ერთ სკო. | სკოლ. რ-ბა | მოსწ. რ-ბა | მ. შ. საშ. ერთ. სკ. | სკოლ. რ-ბა | მოსწ. რ-ბა | მ. შ. ერთ სკო | სკოლ. რ-ბა | მოსწ. რ-ბა |
| 1985 | 955 | 14336 | 15.0 | 870 | 79193 | 91 | 1795 | 750672 | 418 | 3620 | 844,2 |
| 1986 | 941 | 13760 | 14,6 | 856 | 74564 | 87 | 1818 | 753973 | 414 | 3615 | 842,3 |
| 1987 | 910 | 14070 | 15,5 | 836 | 71706 | 86 | 1838 | 756337 | 411 | 3584 | 8421 |
| 1988 | 891 | 14090 | 15,9 | 821 | 68810 | 84 | 1864 | 764212 | 409 | 3576 | 847,2 |
| ზრდა | — | | | — | | | +13,8% | ∓-13540 | | — | +13000 |
| შემც | -9,3% | -246 | | -9,4% | -10383 | | — | | | -1,2% | |

როგორც ზემოაღნიშნული ცხრილიდან ჩანს სისტემაში 1985 წლიდან დღემდე, ჩამოყალიბდა საშუალო სკოლების რიცხვის ზრდის ტენდენცია, ძირითადად, დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლების გადაკეთებისა და ახალი სკოლების გახსნის ხარჯზე. მაგალითად ბოლნისის რაიონში 1985 წლიდან დღემდე 3 არასრული საშუალო სკოლა გადაკეთდა საშუალო სკოლად, მოსწავლეთა რაოდენობის ზრდამ შეადგინა 1088. ასევე ითქმის დმანისზე, ლაგოდეხზე, ადიგენზე, ახალციხეზე, მარნეულზე, თელავზე.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საერთო რაოდენობა შემცირდა 69 ერთეულით.

მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი 1988 წელს 1985 წელთან შედარებით შეადგენს 3000 მოსწავლეს ანუ 0,3%. მიუხედავად ამისა სავალალო მდგომარეობაა ზოგიერთ რაიონში განსაკუთრებით: სამხრეთ ოსეთის ოლქში მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა — 934-ით, ამბროლაურში — 308-ით, (1985 წელს იყო 2215, 1988 წლისათვის დარჩა 1907), ახმეტაში 490-ით, მარტვილში 365-ით, ონში — 218, გორის რ-ნი — 442, ორჯონიკიძის რ-ში 405-ით, ხობის რ-ში — 514-ით, ცაგერში — 338-ით, ჩხოროწყუში — 226-ით, ყაზბეგში — 102-ით.

მოსწავლეთა რაოდენობამ იმატა: თბილისში — 2238 მოსწ. ქუთაისში — 164, რუსთავში — 1013, ქ. მარნეულში—858, ბოლნისში — 1088, გარდაბანში — 471, მარნეულის რაიონში — 737.

განსაკუთრებული მდგომარეობაა ყაზბეგის რაიონში — 15 სკოლა არსებობს 71 კლასით, 838 მოსწავლით ანუ საშუალოდ ერთ სკოლაზე მოდის 55 მოსწავლე, ხოლო კლასის დატვირთვის მაჩვენებელი შეადგენს 11,8.

მოსწავლეთა რიცხვის კლების პირობებში სისტემაში წარმოქმნილია და ფუნქციონირებს მცირე კომპლექტიანი კლასები და სკოლები. აღნიშნულის ძირითადი მიზეზია მთიანი ზონის მცირე დასახლების სოფლები, სადაც არასრული საშუალო და საშუალო სკოლები საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთისაგან, რაც იწვევს მცირეკომპლექტიანი კლასებისა და დაწყებითი სკოლების ზრდას.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაგეგმვის სრულყოფის მიზნით გაანალიზებული იქნა კლასების დაკომპლექტების საშუალო მაჩვენებლების დინამიკა რაიონების მიხედვით. მთლიანად სისტემაში 1985 წელს ერთი კლასის საშუალო დატვირთვა შეადგენდა 21 მოსწავლეს, 1988 წლისათვის კი — 20, 47. გასათვალისწინებელია ამ მხრივ ზოგიერთი რაიონებისა და ქალაქის კლასების დატვირთვის მდგომარეობა, მაგალითად აჭარის ასსრ-ში 1985 წელს

თუ იყო კლასის დატვირთვა 28,5 — 1988 წლისათვის შეადგინა — 28,8, თბილისში შესაბამისად — 30,2 — 28,5, ფოთში — 27,1, 26—4, რუსთავში 30,5—29,0. ასევე მაღალია კლასის საშუალო დატვირთვის მაჩვენებელი ქ. გორში. კლასების დატვირთვის შემცირების ძირითადი მიზეზი არის რეფორმის კლასების ყოველწლიური მატება, სადაც დატვირთვა უნდა იყოს 30-მდე მოსწავლე, ნაცვლად 40-ისა.

ზევით ავღნიშნეთ ზოგიერთი რაიონის მდგომარეობა მოსწავლეთა რაოდენობის კლების გამო, ამჯერად საინტერესოა ყურადღება გამახვილდეს კლასების საშუალო დატვირთვის მაჩვენებლებზე: ამბროლაურის რ-ში 1985 წელს კლასის საშ. დატვირთვა თუ იყო 10, 1988 წლისათვის შეადგენს 9,35, ცაგერის რ-ში შესაბამისად 11, 1—10, 49, ყაზბეგის რ-ში 12, 4—11, 8, მაჩვენებლების ასეთი მინიმალურობას იწვევს მცირე-კომპლექტიანი 1—2—3 ბავშვიანი კლასების რაოდენობის ზრდა ამ ხრივ საგანგებოდ მოუწევს მუშაობა შესაბამისი რაიონების განათლების განყოფილებებს.

ამჟამად სისტემაში ერთ ბავშვიანი კლასების რაოდენობა I—IV კლასებში აღწევს 901, V—IX — 20-ს, X—XI — 3; 2 მოსწავლიანი — V—IX — 110, X—XI — 6-ს; 3 ბავშვიანი V—IX — 265, ხოლო X—XI — 6, მოსწავლეთა სიმცირის გამო მოქმედი წესების გათვალისწინებით დაწყებით კლასებში დაგეგმილია კლასკომპლექტები, ზედა კლასები კი მუშაობენ დამოუკიდებლად.

მცირეკომპლექტიანი კლასების გარდა ქსელში საკმაო რაოდენობითაა მცირეკონტიგენტიანი სკოლებიც.

891 დაწყებითი სკოლიდან 2-დან — 4-მდე მოსწავლეა 97 სკოლაში, 5 მოსწავლე — 53 სკოლაში; 821 არასრული საშუალო სკოლიდან 15-მდე მოსწავლეა სოფლის — 24 სკოლაში, 20-მდე მოსწავლე — 14 სკოლაში, 30-მდე მოსწავლე 45 სკოლაში. საკმაო რაოდენობითაა საშუალო სკოლები 40-მდე მოსწავლით — 9 სკოლა, 60-მდე მოსწავლით — 11 სკოლა.

აღნიშნული სურათი გამოკვეთილია შემდეგ რაიონებში: დაწყებითი სკოლები 2—5 მოსწავლემდე — აჭარის ასსრ რაიონებში — 14, ოსეთის ა. ო. — 38, ამბროლაურის რ-ში — 6, დუშეთის რ-ში — 22, ლენტეხის რ-ში — 4, მესტიის რ-ში — 6, ონის რ-ში —3, საჩხერის რ-ში — 4, ცაგერის რ-ში — 9 და სხვა.

არასრული საშუალო სკოლებიდან 30 მოსწავლემდე კონტიგენტით: აფხაზეთის ასსრ რაიონებში 8, ოსეთისა ა. ო. რ-ში — 15,

ამბროლაურის რ-ში — 4, ასპინძის რ-ში 6, დმანისის რ-ში — 4, ონის რ-ში — 5, ცაგერის რ-ში — 6 და სხვა.

საშუალო სკოლებიდან 40 მოსწავლემდე კონტიგენტით: ამბროლაურის რ-ში — 2, ახალქალაქის რ-ში — 1, ადიგენის რ-ში — 2, ბოლნისის რ-ში — 2,60 მოსწავლემდე კონტიგენტით: ახალქალაქის რ-ში—2, ოსეთის ა. ო. — 2, მაიაკოვსკის რ-ში—2, დუშეთის რ-ში — 1 და სხვა.

ადგილობრივი საბჭოების უფლებების გაფართოებასთან დაკავშირებით მიმდინარე სასწავლო წელს ქსელის მაჩვენებლები განხილული და დამტკიცებული იქნა ადგილობრივი ორგანოების მიერ. ზემოაღნიშნული მომენტების გათვალისწინებით მოსწავლეთა გეგმიური ოდენობის შეუსრულებლობის პირობებში ფინანსიური კლასების რაოდენობა გაიზარდა 678-ით. მოსწავლეთა რაოდენობის შემცირების საპირისპიროდ კლასების რაოდენობა გაიზარდა რუსთავის (33), საგარეჯოს (16), ლაგოდეხის (14), ახმეტის (12), გურჯაანის (12), და სხვა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ თანდათან კლებულობს მოსწავლეთა რაოდენობა გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში, მაგალითად თუ 1985 წელს ფაქტიურად ირიცხებოდა 136218 მოსწავლე, 1988 წლისათვის შეადგინა 122841, ანუ შემცირებულია 13 377-ით. განსაკუთრებით შემცირდა აფხაზეთში (1992-ით), აჭარაში (1755-ით), გარდაბანში (600-ით), მახარაძეში (655-ით), და ა. შ.

დღეისათვის რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 12 საბავშვო სახლი 860 აღსაზრდელით, 1985 წელს შეადგენდა 1203-ს აღსაზრდელს. თითოეული აღსაზრდელის შენახვაზე 1985 წელს თუ იხარჯებოდა წელიწადში 670 მან. 1988 წელს მიაღწია 1192 მანეთს ანუ 78%-ით მეტი.

ბევრია მცირეკონტინგენტიანი საბავშვო სახლები: ასპინძის — 63, გურჯაანის — 57, სამტრედიის — 67, ლენინგორის — 57, მახინჯაურის — 63.

სისტემაში 860 აღსაზრდელს ემსახურება 569 თანამშრომელი ანუ ყოველ ერთ მუშაკზე 1,5 აღსაზრდელი. სამმართველოს მიაჩნია, რომ საჭიროა შესწავლილი იქნეს თითოეული საბავშვო სახლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაკომპლექტების სისწორე, შესაბამისად აღსაზრდელები გადანაწილდეს მიზანშეწონილობის მიხედვით, და მინიმუმ დაიხუროს ერთი რომელიმე საბავშვო სახ-

ლი მაინც. შემდეგში მიღებული იქნება 100,0 ათასამდე მანეთის ეკონომია.

სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა რაოდენობა თანდათანობით შემცირდა 1985 წელთან შედარებით. ასე მაგალითად, მესტიის, ლენტეხისა და სხვა სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა რაოდენობა დავიდა 103-მდე, 59-მდე, 124-მდე და ა. შ.

ამჟამად სკოლის გარეშე დაწესებულებების ქსელი 310-ს ითვლის, მათი ოდენობა გაიზარდა მხოლოდ 19 ერთეულით, ზრდა ძირითადად მოდის აფხაზეთის ასსრ, ქ. თბილისისა და სხვა ცენტრალური ქალაქების წილად მოდის.

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში 5 სექტემბრის მდგომარეობით საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სკოლებში გაერთიანებულია 8539 მოსწავლე, მ. შ. დაუსწრებელ სწავლებაზეა 4038. მაშინ, როდესაც 1985 წელს შეადგენდა 46379. რაოდენობის ასეთმა მკვეთრმა შემცირებამ გამოიწვია მოსწავლეთა ინდივიდუალურ სწავლებაზე გადასვლა.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ცნობით, რომელიც წარედგინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მ. წ. 14 მარტს, ადგილობრივ ბიუჯეტზე მნიშვნელოვანი ოდენობით აუთვისებელ თანხები დარჩათ სამხრეთ-ოსეთის ა. ო. განათლების დაწესებულებებს 702 ათ. მანეთი, ქ. ქუთაისს — 632 ათ. მან. ქ. ჭიათურას — 197 ათ. მანეთი, ბოგდანოვკას — 306 ათ. მანეთი, გარდაბნის რ-ს 309 ათ. მანეთი, გორის რაიონს 259 ათ. მანეთი, ყაზბეგის რ-ს — 342 ათ. მან. ლანჩხუთის რ-ს — 441 ათ. მანეთი, სამტრედიის — 313 ათ. მანეთი, თეთრიწყაროს — 283 ათ. მანეთი და ა. შ.

თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილების მიერ ადგილობრივ საბჭოს განსახილველად წარედგინა და დამტკიცდა დაუსაბუთებელი, სათანადო მატერიალურად უზრუნველყოფას მოკლებული საპროექტო მაჩვენებლები. 1988/89 სასწავლო წლისათვის თითქოს უნდა გახსნილიყო 12 სკოლამდელი დაწესებულება 600 ბავშვით, შემოწმების მომენტში (დეკემბრის ბოლოს) არც ერთი არ იყო გახსნილი.

ადგილზე შემოწმებით გამოირკვა რომ არასწორად იქნა შეტანილი განაცხადში 14 ფინანსური კლასი სოფელ გოლთეთისა და ჭივჭავის სკოლებში. (ოდენობა 14 და 234 მოსწავლით), თუმცა იგივე განყოფილებამ 5 სექტემბრის მდგომარეობით შედგენილ სტატისტიკურ ანგარიშში მიუთითა აღნიშნულ სკოლებზე 2—2

კლასკომპლექტი. შესაბამისად 18—13 მოსწავლით, ე. ი. ზედმე-ტად იქნა წარმოდგენილი 14 ფინანსური კლასი, 234 მოსწავლით.

ანალოგიური ხარვეზები გამოვლინდა ზოგიერთ სხვა სკოლებ-შიც. სოფელ შიხილოს აზერბაიჯანულ არასრული საშუალო სკო-ლა (დირ. მ. ბაირამოვი) სამინისტროს მიერ სამართლიანად არ იქნა შეტანილი მიმდინარე წლის გეგმასა და თვითდაფინანსებაში. თეთრიწყაროს რაიონის აღმასკომმა მაინც დააფინანსა იგი აღნიშ-ნულ სკოლაში, წარმოდგენილი მასალით ირიცხება 16 მოსწავლე 3 ფინანსური კლასით (1—3, III—3, V—5, IX—5). შემოწმების პერიოდში ფაქტიურად აღმოჩნდა 14 მოსწავლე. სკოლას არავი-თარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ გააჩნია, მოკლებულია ყო-ველგვარ თვალსაჩინოებას და ტექნიკურ საშუალებებს. შემოწმე-ბისას არ იყო გათბობა. საერთოდ სკოლა დაწყებითი სკოლის ნორმებს არ აკმაყოფილებს. მომავალში I კლასში მოსალოდნელია 3 მოსწავლე, II კლ.—2, IV—2, სულ 7. დირექტორის განმარტებით ბავშვები ძირითადად კოჯრისა და მარნეულის სკოლა-ინტერნა-ტებში სწავლობენ.

არასახარბიელო მდგომარეობაა გახანგრძლივებულ დღის ჯგუ-ფებში. რაიონის მიერ გათვალისწინებულ 41 ჯგუფის მაგივრად დაკომპლექტდა 37, ანუ 4-ით ნაკლები.

გახანგრძლივებული ჯგუფებისათვის არ არსებობს სათანადო ბაზა (კვების ბლოკი, დასასვენებელი ოთახი და სხვა), ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა სკოლებში. მაგალითად ასურეთის საშუალო სკოლა, რომელიც ყოველმხრივ პასუხობს მოთხოვნებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 17 მაისის №451 განკარგულებით რაიონს დაევალა თითო ჯგუფიანი საბავ-შვო ბაღების გახსნა, განკარგულების შესრულების მიზნით საბავ-შვო ბაღი გაიხსნა 15 ბავშვზე სოფელ ივანოვკაში და 18 ბავშვზე სოფელ ორბეთში, რომლის დროსაც არ იქნა დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რისთვისაც რაიონის სანეპიდსადგურის წინა-დადებით მალე დაიხურა.

დაბალია რაიონში მოსწავლეთა სკოლამდელ დაწესებულებებ-ში ჩაბმის პროცენტი, სოფლად 13%, ქალაქად 27%, მთლიანად რაიონში 20%. ამის მიზეზი ისიც არის რომ სკოლამდელი დაწე-სებულებები გახსნილია მხოლოდ 10 სოფელში.

შემოწმებისას დადგინდა, რომ ქსელისა და კონტიგენტის, ასე-ვე ხელფასის ფონდის განსაზღვრისას მოქმედი წესი უხეშად არის

დარღვეული. იგი არ ემყარება არავითარ ანალიზურ მონაცემებს, უგულვებელყოფილია წინა წლების ეკონომიური მაჩვენებლების დინამიკა.

ქ. გორის განათლების განყოფილების მუშაობის შემოწმებისას ნაკლი გამოვლინდა მე-7 საშუალო სკოლის დაკომპლექტებისას. პირველ კლასში ნაცვლად 30 მოსწავლისა მიღებულია 42 მოსწავლე, მაშინ როდესაც იქვე მდებარე მე-13 სკოლაში მხოლოდ 22 მოსწავლეა. მათ შორის მანძილი უდრის 300 მეტრს. განათლების განყოფილებამ რეჟიმის გაძლერების მიზნით არ დართო ნება პირველი კლასის ასეთი გადატვირთვის პირობებში გაეხსნა მეორე პარალელური კლასი. შემდეგში დისციპლინის გაძლიერება მოსწავლეთა ხარჯზე გავიდა. პირველ კლასებში დაკომპლექტების ყოველი დარღვევა, შემდეგ უფროს კლასებში გამოსასწორებლად რთულზე-რთულია. მაგალითად მე-13 საშუალო სკოლაში (დირექტორი ნ. დარსაველიძე) X—XI კლასებში გახსნილია 39—40 მოსწავლით 4 ფინანსური კლასი, ხოლო მე-7 სკოლის X—XI კლასებში 20—24 მოსწავლეა, მე-7 სკოლის ზედა კლასების დატვირთვის ასეთი რაოდენობა იმით არის განპირობებული, რომ მოსწავლეთა გეგმიური განაწილება მოხდა პროფტექსასწავლებლებში.

ზედმეტი კლასების გახსნის შემთხვევები გამოვლინდა ყვარელის რაიონშიც. მიმდინარე სასწავლო წელს ზედმეტად გახსნილია 12 ფინანსური კლასი. აქ ქ. გორის ანალოგიურად მე-3 საშუალო სკოლაში I კლასში გახსნილია 2 კლასი 32 მოსწავლეზე, ხოლო იქვე მეზობლად მეორე კლასში 2 კლასი 52 მოსწავლეზე. ასეთივე მდგომარეობაა № 1 სკოლის X—XI კლასებში. დამატებითი ფინანსური კლასების გახსნის მიზეზით გადახარჯული იქნა ხელფასის ფონდი 28.0 ათასი მანეთის ოდენობით.

აღნიშნულს ემატება ისიც, რომ შაქრიანის დაწყებითი სკოლა მინიმალური კონტინგენტით 42 მოსწავლით (I კლ—5, II—12, III—9, IV—3, V—12) გადააკეთეს არასრულ საშუალო სკოლად, რომლის საფუძველიც როგორც მოსწავლეთა სიმცირით ისე შენობის ავარიულობის გამო არ არსებობდა, მშენებლობა გათვალისწინებულია მხოლოდ 1990 წლიდან.

დაუტვირთავია სკოლა-ინტერნატიც 179 მოსწავლით, (I კლ—16, II—14, III—22, IV—20, ორ მე-5 კლ—35 მოსწავლეა, VI—0, VII—27, VIII—27, და IX—18) პერსპექტივაში ადგილობრივი ორგანოების ვარაუდით მოსალოდნელია ზრდა აჭარის მოსახლეობის ჩამოსახლების ხარჯზე.

ნაკლოვანებებია გახანგრძლივებული ჯგუფების დაკომპლექტებაშიც. გეგმა ვერ სრულდება, არ არის სათანადო პირობები.

ადგილზე შესწავლას საჭიროებს გახანგრძლივებული დღის ჯგუფების დაკომპლექტებისა და გეგმის შესრულების საკითხი მარნეულის რაიონშიც.

სსრკ ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებული შემოწმებით გამოვლინდა რიგი ნაკლოვანებები ხარჯების დაგეგმვა-დაფინანსების საქმეში, რიგ შემთხვევაში ზერელე დამოკიდებულება ამოსავალი მონაცემების შედგენის მიმართ.

აღნიშნულის თაობაზე სამინისტროს 1989 წლის 24 მარტის № 162 ბრძანებით დასახულ იქნა რიგი ღონისძიებანი საქმის სრულყოფისათვის.

სერიოზული ღონისძიებებია ჩასატარებელი სტატისტიკური ანგარიშების სრულყოფის საქმეში. დასამუშავებულია დარგის ერთიანი ტაბელი. ცუდია რაიონის განყოფილებებში ანგარიშების წარმოდგენის ვადების, დაცვის, შედგენის ხარისხის მდგომარეობა, დაბალია სენაკის, ლანჩხუთის, გურჯაანის, მესტიის, ბოგდანოვკის რაიონების პასუხისმგებელ მუშაკთა მიერ შედგენილი სტატისტიკური ანგარიშების ხარისხი, ამასთანავე მათ მიერვე ირღვევა წარმოდგენის დაწესებული ვადები.

სამმართველომ უმრავლეს რაიონში შეისწავლა საბუხჰალტრო-ეკონომიკური კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა. 76 რაიონიდან მიღებული მასალებით ირკვევა, რომ უმაღლესი განათლება აქვს მხოლოდ 18 მთავარ ბუღალტერს, დანარჩენს აქვს საშუალო სპეციალური ან ზოგად-საშუალო განათლება. ბუღალტერიებში დასაქმებულ მუშაკთა 11% აქვს მხოლოდ უმაღლესი განათლება. ამას ემატება ისიც, რომ დასაქმებულ ეკონომისტებს 35 კაციდან უმაღლესი განათლება აქვს მხოლოდ 19-ს, 15 კაცი (უფროსი ბუხჰალტერი, ჯგუფის უფროსი, მთავარი ბუხჰალტერის მოადგილე) არის უმაღლეს დაუმთავრებელი, ხშირ შემთხვევაში ჰუმანიტარული სპეციალობის პირები.

სამმართველოს მიაჩნია, რომ საჭიროა გადახალისდეს ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების კადრების შემადგენლობა, როგორც ხარისხობრივად, ისე ასაკობრივად, შემოტანილ იქნეს ეკონომისტისა და სტატისტიკოსების თანამდებობები.

სხვა პირობებში ეკონომიურ გარდაქმნის შუქზე დარგის განვითარება წინ ვერ წაიწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის 1989 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება

### რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემაში გასულ სასწავლო წელს გატარებული ზოგიერთი ღონისძიების შედეგებისა და ახალი 1989—1990 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების შესახებ

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრის მოადგილეების ამხ. ამხ. ნ. ვასაძის, ნ. გურგენიძის, რ. ხუროძის, კ. სუჯაშვილის და ნ. ვორონოვის ანგარიშები სისტემის წინაშე დასმული ამოცანების გადასაჭრელად გაწეული მუშაობის შესახებ, სახალხო განათლების სამინისტროს გაფართოებული კოლეგია აღნიშნავს, რომ გასული სასწავლო წელი ხასიათდებოდა რესპუბლიკის განათლების სისტემის გარდაქმნის საქმისადმი ახალი მიდგომით და მთელი რიგი თვისობრივად პრინციპული ხასიათის მიმართულების შემუშავებით. მიზანმიმართული მუშაობა ჩატარდა სახალხო განათლების მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, მისი ორგანიზაციული სტრუქტურის რადიკალურად გაუმჯობესებისათვის. ,სამინისტროს მუშაობის ძირითადი აქცენტი მიმართული იყო სწავლების ჰუმანიზაციის პროცესზე, სისტემის ძირეულ და საშუალო რგოლების როლის შემდგომ გაძლიერებასა და უფლებების მკვეთრ გაფართოებაზე, რეგიონალური პრობლემების შესწავლისა და გადაჭრისათვის ადგილობრივი პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მუშაობის კოორდინაციაზე.

დემოკრატიზაციამ და საჯაროობამ, რომელიც დღითიდღე უფრო ღრმად მკვიდრდება სახალხო განათლების დაწესებულებებში, ღია დისკუსიების ვითარებამ საშუალება მისცა პედაგოგიურ საზოგადოებას გულახდილად, სრული მოცულობით დაესვა განათლების საქმეში დაგროვილი პრობლემები, კრიტიკულად გა-

ნეხილა არსებული ნაკლოვანებები და დაესახა მათი აღმოფხვრის კონკრეტული, არაორდინალური გადაწყვეტის გზები.

კოლეგია ხაზგასმით აღნიშნავს იმ შრომატევად საქმიანობას, რომელიც წლის განმავლობაში გაწეულია ყველა ენაზე სწავლების სკოლებში ახალი, ვარიანტული ტიპის სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შექმნის საქმეში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიმართ დიფერენცირებულ მიდგომას, წარმოადგენს კარგ საშუალებას მიდრეკილებების გათვალისწინებით მათი სწავლისადმი ინტერესის გაღვივებას.

განსაკუთრებით საგულისხმოა ღონისძიებანი გატარებული ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის, ქართული სკოლის დაწყებით კლასებში სწავლების და სკოლამდელი აღზრდის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის შესაბამისი პერსპექტიული პროგრამების დამტკიცებით. სერიოზული და მიზანმიმართული ღონისძიებები დაისახა შრომითი სწავლების, მოსწავლეთა ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის გარდაქმნისათვის. მყარი საფუძველი ჩაეყარა ხელოვნების ისტორიის, რელიგიის ისტორიის, ეკოლოგიის სასწავლო პროგრამების და ახლო მომავალში შესაბამისი სახელმძღვანელოების შექმნას.

პრინციპული ხასიათის ცვლილებებია დასახული მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით, ქრესთომატიებით, სასწავლო რუკებითა და ატლასებით, დამხმარე ლიტერატურითა და სხვადასხვა დიდაქტიკური მასალებით უზრუნველყოფისათვის.

შემუშავდა და პრაქტიკულად ხორციელდება სახალხო განათლების დაწესებულებებისათვის პედაგოგიური კადრების მომზადების, განაწილების და გადამზადების ახალი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფის საქმეს რესპუბლიკის ყველა რეგიონში.

განსაკუთრებული ზრუნვის საგნად არის მიჩნეული, სოფლის სკოლის პრობლემები, რომელიც წლების განმავლობაში დაგროვდა რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში. სოფლის სკოლის აღორძინების საკითხებს მიძღვნილმა კოლეგიის სხდომამ საფუძველი ჩაუყარა მისი განვითარების პერსპექტიული გეგმის შემუშავებას და რეალურ განხორციელებას — ახალი, 1889/90 სასწავლო წელი გამოცხადებულია სოფლის სკოლის წლად.

კოლეგია განსაკუთრებულად აღნიშნავს, რომ გასულ სასწავლო წელს დაიწყო და ამჟამად ნაყოფიერად მიმდინარეობს მეცნიერ მუშაკთა და პრაქტიკოს მასწავლებლებისაგან, ფართო საზო-

გადოებრიობის სხვა და სხვა წარმომადგენლებისაგან შემდგარი დროებითი შემოქმედებითი ჯგუფების მიერ სახალხო განათლების ძირითადი რგოლის — ქართული ეროვნული სკოლის კონცეფციის პროექტების შემუშავება, რომლის საზოგადოებრივ სამსჯავროზე გატანის შემდეგ ჩამოყალიბებულ იქნება ქართული ეროვნული სკოლის ძირითადი პრინციპები და მიმართულებანი.

სახალხო განათლების სისტემაში დამკვიდრებული მართვის ბიუროკრატიულ-ადმინისტრატული სტილის შეცვლამ ძირეულ სკოლებში მთელი რიგი უფლებების ჩატანით, რამაც თავისთავად მათი პასუხისმგებლობის გაზრდა გამოიწვია, უკვე თავისი პირველი დადებითი შედეგი გამოიღო. წელს პირველად ადგილზევე გადაწყვიტეს კურსდამთავრებულთა მედლით დაჯილდოების საკითხი. პედაგოგიურ კოლექტივებს ნება მიეცათ მათი შეხედულებისამებრ საშემოდგომო გამოცდების შემდეგ გადაეწყვიტათ იმ მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანისა თუ გამოშვების საკითხი, რომლებმაც სხვა და სხვა მიზეზით ვერ დასძლიეს ერთი — სამი საგანი, რითაც იქმნება პირობები ბევრ მოზარდს დაუბრუნდეს რწმენა და საშუალება მიეცეს სათანადო დასკვნები გამოიტანოს ძირითადი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლების გაგრძელების ფორმებსა და ვადებზე.

კოლეგია აღნიშნავს, რომ გარკვეული დადებითი ძვრები განხორციელდა რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკურ განათლებაში. გადადგმულია ნაბიჯები პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის მოწესრიგებისათვის, ახლებური მიდგომით ხასიათდება მათი ტიპების განსაზღვრა, კონტინგენტის შერჩევისა და დაკომპლექტების საქმე.

მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებებია გატარებული უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სპეციალისტთა მომზადების თვისობრივად გაუმჯობესებისათვის, სწავლების ჰუმანიზაციისათვის. გაიზარდა უმაღლესი სკოლის მეცნიერების რეალური უკუგება. ძირითადი კურსი აღებულია პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი თემების დამუშავებაზე და სტუდენტთა მასობრივ ჩაბმაზე სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში.

მიუხედავად აღნიშნულისა, გაფართოებულ კოლეგიას მიაჩნია, რომ სახალხო განათლების განვითარების საქმეში მაინც არ მომხდარა მკვეთრი გარდატეხა. სამინისტრომ ჯერ ვერ შესძლო ძირეული რგოლის სრული ამოქმედება გარდაქმნის დაჩქარების საქმეში, ვერ უზრუნველყო თითოეული პედაგოგის პრინციპული და

თვითკრიტიკული მიდგომა ამ საერთო ამოცანის გადაწყვეტის საკითხისადმი. კვლავ შეიმჩნევა სკოლის მუშაობაში წარსულში დაშვებული შეცდომებისა და დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობის გამოვლენებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, რიგი პედაგოგიური კოლექტივების ბრძოლისუნარიანობის მოდუნება, მათ მიერ პასიური, შემწყნარებლური პოზიციის დაკავება.

ამიტომ კოლეგიას თანამედროვე ეტაპზე უპირველეს ამოცანად მიაჩნია განათლების სფეროში გარდაქმნის მთელი ფრონტით გაჩაღება ისე, რომ იგი არა მარტო გაფართოვდეს, არამედ სასწავლო დაწესებულებების სიღრმისეულ წრეებს ჩასწვდეს. პედაგოგიურ კოლექტივებში დასამყარებელია სრულიად ახლებური, მაღალპრინციპული მომთხოვნელობის ატმოსფერო, უნდა მოხდეს აქტიურ მოქმედ პროცესებად საჯაროობის, მოვლენების შეფასების საქმეში სრული სიმართლისა და ობიექტურობის დამკვიდრება.

კოლეგიას მიაჩნია, რომ სახალხო განათლების დარგში გარდაქმნის დაჩქარება შესაძლებელია მხოლოდ პედაგოგიური კოლექტივების ყოველმხრივი გააქტიურების, დემოკრატიის შემდგომი განვითარების, თვითმმართველობის, ჯანსაღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაღრმავების პირობებში.

აღნიშნავს რა დადებით ძვრებს უწყვეტი განათლების სისტემის შემუშავების საქმეში, კოლეგია მოითხოვს სამინისტროსაგან უფრო ენერგიულად და ამ ამოცანის გადაჭრის კომპლექსურად წარმართვას სასწავლო დაწესებულებების სოციალური ფუნქციის არსებითად შეცვლისა და გაფართოების გათვალისწინებით. ამასთან, მიმდინარე წლის ბოლომდე სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს, ყოველმხრივი განსჯის შედეგად ჩამოყალიბებული ქართული ეროვნული სკოლის კონცეფციის პროექტის შექმნა, რომლის რეალიზაციისათვის აქედანვე უნდა დასახოს კომპლექსური პროგრამა სკოლებში შესაბამისი პირობების შესაქმნელად.

კოლეგიას შეუწყნარებლად მიაჩნია ის მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა სოფლის სკოლა, სადაც უკიდურესად მწვავედ დგება მისი ჩამორჩენის დაძლევის ამოცანები.

სოფლის სკოლის მუშაობის პირობების მკვეთრად გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და რეალიზაცია უახლოეს პერიოდში სამინისტროს სამმართველო-განყოფილებათა და განათლების ადგილობრივი ორგანოების უპირველეს ამოცანად უნდა გახდეს.

კოლეგია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ძალზე ნელა ხდება საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნის რეალიზაცია მეთორმეტე ხუთწლედის — სკოლაზე საერთო სახალხო ზრუნვის ხუთწლედად გამოცხადების შესახებ. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის საბაზო და საშეფო ორგანიზაციების მიერ გატარებული მუშაობა ყოველწლიურად მცირდება და ვერ უზრუნველყოფს სახალხო განათლების თვისობრივად ახალ დონეზე დაყენებას.

უფრო მეტიც, კოლეგიას ყოვლად გაუმართლებლად მიაჩნია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 19 თებერვლის დადგენილების შესრულების ტემპი, რის გამოც ნახევრადაც კი ვერ სრულდება ავარიულ შენობებიდან სკოლების გამოყვანის სახელმწიფო გეგმა. ამასთან, აღსანიშნავია დამკვეთი და საიჯარო მშენებელი ორგანიზაციების ყოვლად გაუმართლებელი უპასუხისმგებლო მიდგომა განათლების ობიექტების მშენებლობის ვადების დაცვისა და სამშენებლო სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესების საკითხისადმი. ყოველივე ამის გამო, კოლეგია საჭიროდ თვლის სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სავალალო მდგომარეობის შესახებ და მისი გადაჭრის გადაუდებელ გზებზე სამინისტრომ მოახსენოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რომლის დადგენილებები ამ დარგში წლიდან წლამდე რჩება შეუსრულებელი.

კოლეგია აღნიშნავს, რომ მთელი რიგი ღონისძიებებია გასატარებელი სასწავლო დაწესებულებებში შეგნებული დისციპლინისა და სოციალისტური ცხოვრების ნორმებისა და პრინციპების მკაცრად დაცვისათვის, რაშიც სტუდენტებსა და მოსწავლეებთან ერთად პირველ რიგში სათანადო წვლილი უნდა შეიტანონ სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა და განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა. სტუდენტისა და მოსწავლის შემობრუნება მათი უპირველესი ამოცანის გადაწყვეტისაკენ — სწავლისადმი, აუცილებელი პირობაა მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური სპეციალისტის ჩამოყალიბების საქმეში.

კოლეგია ავალებს სკოლის ხელმძღვანელებს, განათლების ადგილობრივ ორგანოებს ამ საქმის გადაჭრისათვის შემოქმედებითად

გამოიყენონ ის შესაძლებლობანი, რომელიც მოსწავლეთა ინტერესებისა და მიდრეკილებების გათვალისწინებით იძლევა ახალი, ვარიანტული ტიპის სასწავლო გეგმები და პროგრამები. ამის გათვალისწინებით მკვეთრად უნდა გაფართოვდეს სხვა და სხვა პროფილირებული სწავლების სკოლების ქსელი, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სათანადო პირობები შეიქმნას ამ სკოლებში არჩეული პროფილის საგნების მაღალ მეცნიერულ დონეზე სწავლებისათვის, კომპეტენტური, მაღალკვალიფიცირებული და შემოქმედებითად მომუშავე პედაგოგიური კადრების შერჩევისათვის.

ამასთან კოლეგია არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს ახალი სახელმძღვანელოების, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურის შექმნის ტემპს, უფრო მეტ ორგანიზებულობას და მონდომებას მოითხოვს [საუკეთესო სახელმძღვანელოებზე კონკურსის ჩატარება.

ამასთან, აქედანვე საფუძველი უნდა ჩაეყაროს სახელმძღვანელოების პოლიგრაფიული ხარისხის ამაღლებისა და მომავალ წლებში მათი სავაჭრო ქსელში გაყიდვის საკითხის გადაწყვეტას, იმ ვარაუდით, რომ თითოეულ მოსწავლეს საშუალება ჰქონდეს საჭირო სახელმძღვანელოების შეძენისა და გამოყენებისა.

კოლეგია მოითხოვს სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებისაგან მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და მათში აღსაზრდელთათვის სანიმუშო საყოფაცხოვრებო პირობების, ჯანმრთელობის დაცვის და რაციონალური კვების უზრუნველყოფისათვის.

კოლეგიას მიაჩნია, რომ პედაგოგიურმა კოლექტივებმა შემოქმედებითად უნდა გამოიყენონ ის უფლებები, რაც სამინისტროს მიერ არის დაშვებული ამ ბოლო პერიოდში და სკოლის ახალი დებულებით არის გათვალისწინებული. ამ მიზნით აგვისტოს პედაგოგიურ კონფერენციებზე და პედსაბჭოს სხდომებზე ღრმად შესწავლილი და გააზრებული უნდა იყოს დებულების შინაარსი. შესწავლილი და გააზრებული უნდა იყოს დებულების შინაარსი, ფართო უფლებების მიცემით პრაქტიკულად თვითმმართველობის პრინციპს ამყარებს სკოლაში.

კოლეგია აღნიშნავს რა გარკვეულ ძვრებს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების დარგში, რექტორატებისა და სასწავლებელთა დირექციების ყურადღებას მიაპყრობს იმ მტკივნეულ პრობლემებზე, რომლებიც ჯერ კიდევ მრავლადაა მოუგვარებელი და გადაუჭრელი უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

შეუნელებელ ყურადღებასა და ღრმად მოფიქრებულ ღონისძიებების გატარებას ითხოვს სასწავლო დისციპლინის მკვეთრად განმტკიცება, კვლავ მოითხოვს გადამუშავებას სასწავლო გეგმები და პროგრამები.

შემდგომ დახვეწას მოითხოვს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალობათა ქსელი, რომელიც წარმოების თანამედროვე პრაქტიკასთან დაკავშირებულ სპეციალობების შემოღებას უნდა ემსახურებოდეს.

შეძლებისდაგვარად აღმოსაფხვრელია ჯერ კიდევ არსებული პარალელიზმი სპეციალისტთა მომზადებაში. შემდგომ დახვეწას მოითხოვს მისაღები კონტინგენტის დაგეგმვისა და მისაღები გამოცდების ორგანიზაციის საკითხები. მკვეთრად გარდატეხას ითხოვს უმაღლესი სკოლის სამეცნიერო პოტენციალის თვისობრივად ახლებური გამოყენების საქმე.

კოლეგია იწონებს ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების წარმოდგენილ გეგმას და ავალებს სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებს და ადგილობრივ ორგანოებს გადამჭრელი ზომები მიიღონ მისი განხორციელებისათვის (თან ერთვის).

კოლეგია მოითხოვს სახალხო განათლების სამინისტროს ხელმძღვანელებისაგან, მისი სამმართველო-განყოფილებათა უფროსებისაგან, აპარატის თითოეულ მუშაკისაგან უფრო მეტად კონკრეტული და მიზანმიმართული გახადონ თავისი საქმიანობა დასახულ ღონისძიებათა გადაჭრისათვის, კომპეტენტური და შემოქმედებითი მიდგომით მიაღწიონ სისტემის წინაშე დასმული ამოცანების შესრულებას.

კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების სისტემაში 1989/90 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების ძირითად ღონისძიებათა გეგმა

| შესასრულებელი საკითხი | შესრულების ვადა | პასუხისმგებელი შესრულებაზე | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| I — რესპუბლიკური ღონისძიებები | | | |
| საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა | 13 ივლისი | ნ. ვასაძე,<br>ნ. ჩიკვილაძე,<br>ა. კაპანაძე<br>ზ. კვინტრაძე | |
| დღის წესრიგი: | | | |
| — გარდაქმნის შუქზე რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის მზადების შესახებ | | | |
| საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს და სახალხო განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკთა რაიონებში მივლინება, აგვისტოს კონფერენციების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით | აგვისტო | ნ. ვასაძე,<br>ნ. გურგენიძე<br>რ. ხურიძე,<br>გ. კობახიძე<br>ნ. ჩიკვილაძე<br>ა. კაპანაძე<br>ზ. კვინტრაძე<br>პ. თუთბერიძე | |

| | | |
|---|---|---|
| რესპუბლიკური თათბირის ორგანიზაცია ღლის წესრიგით: „სახალხო განათლების სისტემაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი და რესპუბლიკის საზოგადოებათმცოდნეთა ამოცანები" | სექტემბერი | ქ. სუჯაშვილი, ნ. კირვალიძე, გ. ხუციშვილი. |
| პროფტექნიკური განათლების ქსელის მოწესრიგებისა და მათი ადგილობრივ სახალხო განათლების ორგანოებზე დაქვემდებარების ღონისძიებების გატარება | ივლისი აგვისტო | ნ. ვასაძე, ნ. გურგენიძე, მ. კობახიძე, ა. ეჯიბაძე, ა. ჰაჰვი, ჰ. თუთბერიძე |
| რესპუბლიკის ინტერნატულ დაწესებულებათა მზადყოფნა ახალი სასწავლო წლისათვის | აგვისტო | ნ. გურგენიძე, ნ. ვორონოვი, ა. ეჯიბაძე, გ. ჰუმბერიძე |
| სახალხო განათლების სისტემის და საუწყებო ბაგა-ბაღების ქსელის მოწესრიგების ღონისძიებების განხორციელება | ივლისი აგვისტო | ნ. გურგენიძე, ნ. ვორონოვი, ი. ისაშვილი, ნ. ახობაძე |
| ახალი სასწავლო წლისათვის უცხოეთთან არსებული კავშირების მოწესრიგების და ახალი ურთიერთობების დამყარების ღონისძიებების განხორციელება | აგვისტო სექტემბერი | ნ. ვასაძე გ. ნიკოლაიშვილი |
| სასწავლო დაწესებულებების სამხედრო ხელმძღვანელთა აგვისტოს 5 დღიანი სასწავლო-მეთოდური შეკრების ორგანიზაცია | აგვისტო | ქ. სუჯაშვილი, ნ. კირვალიძე, შ. ჩჩარეული, ა. ვაშაკიძე |

| | | |
|---|---|---|
| სახალხო განათლების სისტემის სასწავლო დაწესებულებათა ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ჩატარება | " | ქ. სუჯაშვილი,<br>ნ. კეცხოველი<br>ე. ზარქუა<br>მ. მნათობიშვილი<br>თ. მგელაძე |

II — სარაიონო (საქალაქო), პირველად ორგანიზაციებში ჩასატარებელი ღონისძიებები

| | | |
|---|---|---|
| რესპუბლიკის სარაიონო (საქალაქო) აგვისტოს კონფერენციების ჩატარება, სადაც განხილულ იქნება გასული სასწავლო წლის შედეგების და 1989/90 სასწავლო წლის ამოცანების, აგრეთვე, მასწავლებელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ მოთხოვნათა დაკმაყოფილების, ეროვნული სკოლის კონცეფციის პროექტის განხილვის ღონისძიებათა და სხვა საკითხები | | ნ. ვასაძე,<br>ნ. გურგენიძე,<br>ნ. ჩიკვილაძე,<br>მ. კობახიძე,<br>ა. კაპანაძე,<br>ზ. კვინტრაძე,<br>სახალხო განათლების და პროფკავშირთა ადგილობრივი ორგანოები |
| უმაღლესი სასწავლებლების საბჭოების, ფაკულტეტების საბჭოების და კათედრების სხდომების ჩატარება | აგვისტო | ნ. ვასაძე,<br>რ. ხუროძე,<br>ჯ. კორძაია,<br>რექტორები |
| ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ქ. თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგეების თათბირი | 30 აგვისტო | ქ. სუჯაშვილი<br>რ. ხუროძე,<br>ნ. კირვალიძე |

| | | |
|---|---|---|
| საშუალო სპეციალური, პროფტექნიკური სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური საბჭოების გაფართოებული სხდომების ჩატარება დღის წესრიგით „1988/89 სასწავლო წლის შედეგები და ახალი სასწავლო წლის ამოცანები“ | 25–30 აგვისტო | ა. ეჭიბაძე<br>დ. ლოლაძე |
| „ცოდნის დღის“ ზეიმის ჩატარების ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება | სექტემბერი | ქ. სუჯაშვილი<br>ნ. ქეცხოველი<br>ჭ. კორძაია,<br>ა. ეჭიბაძე,<br>დ. ლოლაძე,<br>ე. ზარქუა,<br>უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები |
| პირველკურსელთა სტუდენტად ზიარების ღონისძიებების ორგანიზაცია | სექტემბერი | ქ. სუჯაშვილი<br>ჭ. კორძაია,<br>ე. ზარქუა |
| „პირველი ზარის“ — პირველკლასელთა საზეიმო ღონისძიებების ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება | „ | ქ. სუჯაშვილი,<br>ა. ეჭიბაძე,<br>ე. ზარქუა |
| ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი მძლეოსნური მარათონის ჩატარება ქ. თბილისში | „ | ქ. სუჯაშვილი,<br>მ. მნათობიშვილი<br>ნ. ქეცხოველი,<br>თ. მგელაძე |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## III — ორგანიზაციულ-მეთოდური ღონისძიებები

| | | | |
|---|---|---|---|
| გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციასთან ერთად 1989/90 სასწავლო წლისათვის სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, პროფტექნიკური და უმაღლესი სასწავლებლების მზადების მიმდინარეობისა და სახალხო განათლების მუშაკთა აგვისტოს კონფერენციების სათანადოდ გაშუქება | ივლისი<br>აგვისტო<br>სექტემბერი | ნ. ვასაძე,<br>ნ. ლლონტი,<br>ქ. დოლიძე | |
| საქართველოს ტელერადიოსა და რესპუბლიკის სხვა საინფორმაციო საშუალებათა ახალი სასწავლო წლის მზადებისა და მზადყოფნის ღონისძიებათა გაშუქების ორგანიზაცია | » | ნ. ვასაძე,<br>კ. სუჯაშვილი,<br>მ. კობახიძე,<br>ნ. ლლონტი,<br>ქ. დოლიძე | |
| მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციებისათვის რეკომენდაციების შემუშავება | აგვისტო | ნ. გურგენიძე,<br>მ. კობახიძე,<br>ი. ეჯიბაძე,<br>ა. კაპანაძე | |
| აგვისტოს კონფერენციებისათვის რეკომენდაციების მომზადება — „საზოგადოებრივ დისციპლინათა სწავლების გარდაქმნის ძირითადი ღონისძიებანი" | ივლისი<br>აგვისტო | კ. სუჯაშვილი,<br>ნ. კირვალიძე,<br>ა. კაპანაძე | |
| „საზოგადოებათმცოდნეობასა" და „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში" დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადება და დასტამბვა | აგვისტო<br>სექტემბერი | ნ. ვასაძე,<br>კ. სუჯაშვილი,<br>ნ. კირვალიძე,<br>ნ. ლლონტი | |

| | | |
|---|---|---|
| გამომცემლობა „განათლებასთან“ ერთად სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის დროულად გამოცემის ღონისძიებების გატარება | ივლისი აგვისტო | ნ. ვასაძე, ნ. ბურგანიძე, ნ. ღლონტი, გ. ქურციკიძე |
| საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს სასკოლო ბიბლიოთეკართან ერთად სასწავლო დისციპლინების მიხედვით ახლად გამოცემული სასწავლო პროგრამებით, მეთოდური მითითებებით და სხვა სახის საჭირო ლიტერატურით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მომარაგება | „ | ნ. ვასაძე, ნ. ბურგენიძე, ნ. ღლონტი, თ. ქერაშვილი |
| ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო, მცირე კომპლექტიანი სკოლების მასწავლებელთათვის მეთოდური რეკომენდაციების კრებულით, სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით უზრუნველყოფა. | აგვისტო | ნ. ბურგენიძე, ა. ეჯიბაძე, ლ. ჩიქვანაია, ა. კაპანაძე, ნ. ღლონტი |
| ახალი და გადამუშავებული პროგრამების მომზადება, გამოცემა და დაგზავნა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ქიმიაში, ისტორიაში და სხვა საგნებში. | „ | „——————“ |
| არაქართული სკოლების (რუსული, აზერბაიჯანული, სომხური) ქართული ენის ახალი პროგრამებით უზრუნველყოფა. | „ | „——————“ |
| სკოლების უზრუნველყოფა ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა ზეპირი პასუხებისა და წერითი ნამუშევრების შეფასების ახალი ნორმებით. | „ | „——————“ |
| „საქწიგნისა“ და „ცეკავშირის“ წიგნის ვაჭრობის ორგანიზაციებთან ერთად სასკოლო სახელმძღვანელოების დამტკიცებული ლიმიტებით შეძენა და ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე დროული განაწილება. | ივლისი აგვისტო | ნ. ვასაძე, ნ. ღლონტი, თ. ქერაშვილი |
| 1989/90 სასწავლო წლისათვის სახალხო განათლების სასწავლო დაწესებულებების სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფის ორგანიზაცია. | აგვისტო | ნ. ვასაძე, ა. ჰაჭია, რ. ბურგენიძე |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| განათლების სისტემის მუშაკთა ატესტაციის ახალი დებულების განხილვა-დამტკიცება. | აგვისტო სექტემბერი | ნ. ვასაძე, ა. ჭაჭია, მ. კობახიძე, ნ. [illegible]ძე, ა. კაპანაძე, ჭ. მირიანაშვილი |
| სპეციალობების შესაბამისად ასპირანტთა და მათ მეცნიერ-ხელმძღვანელთა შეკრება (გრაფიკის მიხედვით). | სექტემბერი | ნ. ვასაძე, ა. ჭაჭია, დ. ჭერჭელაძე |
| წინა საასპირანტო მომზადების სრულყოფის მიზნით რესპუბლიკისათვის პრიორიტეტული განვითარების დარგებში სტაჟიორ მკვლევართა ინსტიტუტის დაკომპლექტება. | " | "———————" |
| სახალხო განათლების სისტემის სასწავლო დაწესებულებების ლოგოპედთა კადრებით უზრუნველყოფა. | ივლისი აგვისტო | ნ. ვასაძე ა. ჭაჭია, ნ. ახობაძე, გ. ჭუმბურიძე, რ. გურგენიძე |
| განათლების სისტემის ორგანიზაციების ახალი სასწავლო წლის შესახვედრად მზადყოფნის ინსპექტირება (შერჩევით). | აგვისტო | ნ. ჩიქვილაძე, ა. კაპანაძე, ნ. კეცხოველი |
| სახალხო განათლების მუშაკთა აგვისტოს ტრადიციული კონფერენციების მზადებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ყველა რაიონისა და ქალაქის სახალხო განათლების მდგომარეობის ანალიზის (მოკლე ცნობარი) მომზადება. | " | ნ. ვასაძე, ნ. ჩიქვილაძე, ა. კაპანაძე, ე. ჭერცაძე |
| ინტერნატული დაწესებულებების საჭირო სახელმძღვანელოებით, მეთოდური ლიტერატურითა და დოკუმენტაციით **უზრუნველყოფა.** | " | ნ. გურგენიძე, ნ. ღლონტი, გ. ჭუმბურიძე |
| პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საწარმოო ოსტატთა სტაჟირების ორგანიზაცია. | ივლისი | ნ. ვასაძე, მ. გურგენიძე, ა. ჭაჭია, თ. კიკნაძე, დ. ლოლაძე |

| | | |
|---|---|---|
| ველისციხის მე-13 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ბაზაზე ფერმერთა სკოლის ორგანიზაცია. | სექტემბერი ოქტომბერი | ნ. გურგენიძე, ა. ეჟიბაძე, ა. ჭაჭია, თ. კაკნაძე |
| თბილისის 43-ე პროფტექნიკური სასწავლებლის ბაზაზე ქ. თბილისის ლენინის რ-ნის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან ერთად სასწავლო კომპლექსის სკოლა-პროფტექსასწავლებლების ჩამოყალიბება. | ივლისი აგვისტო | „ ——————— „ |
| ინტერნატული დაწესებულებების ქსელის ბავშვთა კონტინგენტის დაზუსტება. | „ | ნ. გურგენიძე, ა. ეჟიბაძე, გ. მეშვერიძე |
| სპეციალიზებული სკოლამდელი დაწესებულებებისა და ჯგუფების ქსელის ზრდასთან დაკავშირებით ანომალური ბავშვთა კონტინგენტის დაზუსტება. | სექტემბერი | ნ. გურგენიძე, ნ. ახოლაძე |
| სტიქიით დაზარალებული რაიონებიდან ჩამოსახლებულთა სწავლის ორგანიზაცია. | ივლისი აგვისტო | ნ. ვასაძე, ნ. გურგენიძე, ნ. ვორონოვი, ნ. ჩიქვილაძე |
| IV. სოციალურ-ეკონომიკური საკითხები | | |
| ბავშვთა, მოსწავლეთა და სტუდენტთა სამედიცინო უზრუნველყოფის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კვების ორგანიზაციასთან დაკავშირებით ნორმატიული აქტების განახლება და დაგზავნა. | აგვისტო | ნ. ვორონოვი, ა. თხილაიშვილი, ნ. კეცხოველი |
| უმაღლესი, საშუალო სპეციალური და პროფტექნიკური სასწავლებლების სტუდენტთა და მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლების ახალი სასწავლო წლისთვის მზადების პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება. | ივლისი აგვისტო | ნ. ვორონოვი, ა. თხილაიშვილი, ნ. კეცხოველი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| უმაღლესი, საშუალო სპეციალური და პროფტექნიკური სასწავლებლების სტუდენტთა და მოსწავლეთა კვების ობიექტების მზადყოფნის ორგანიზაცია. | " | "————" |
| უმაღლესი, საშუალო სპეციალური და პროფტექნიკური სასწავლებლების სტუდენტთა და მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურების ობიექტთა მზადყოფნის ორგანიზაცია. | " | "————" |
| უცხოელ მოსწავლეთა და სტუდენტთა ახალი კონტინგენტის მისაღებად საერთო საცხოვრებლების მომზადება და ოჯახების შერჩევა. | აგვისტო | ნ. ვასაძე, ვ. ნიკოლაიშვილი, ა. თბილაიშვილი, ნ. კაცხოველი |
| უცხოელ მოსწავლეთა და სტუდენტთა ახალი კონტინგენტის მიღების, ექსკურსიისა და დისპანსერიზაციის ორგანიზაცია. | " | "————" |
| რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სასკოლო ბაზრობის ორგანიზაციაში მონაწილეობა. | ივლისი აგვისტო | ნ. ვორონოვი, ა. თბილაშვილი, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, ვაჭრობის სამინისტროსა და „ცეკავშირის" გამგეობასთან ერთად. |
| უმაღლესი და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებთან არსებული სანატორიუმ-პროფილაქტორიუმების მატერიალური ბაზის მოწესრიგება და სამედიცინო ტექნიკით აღჭურვა. | ივლისი აგვისტო | ვორონოვი, მ. კობახიძე |
| სოფლის მასწავლებლებისათვის საცხოვრებელი სახლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგება და უფასო კომუნალური მომსახურების ორგანიზაცია. | " | "————" |

| | | |
|---|---|---|
| პედაგოგიური კადრების დისპანსერიზაციის დროულად და ხარისხოვნად ჩატარების უზრუნველყოფა. | აგვისტო | " ——— " |
| ახალგაზრდა პედაგოგიური კადრებისათვის შესატყვისი შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის უზრუნველსაყოფად სათანადო ღონისძიებების გატარება. | ივლისი აგვისტო | ნ. ვახაძე, ვორონოვა, ნ. კეცხოველი |
| სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებში შრომის დაცვის პირობების განხორციელების უზრუნველსაყოფად შესატყვისი ღონისძიებების გატარება. | " | ნ. ვორონოვა, მ. კობახიძე |
| **V. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა** | | |
| განათლების სისტემის დაწესებულებების საგეგმო-საფინანსო საქმიანობის მოწესრიგება, ახალი სასწავლო წლისათვის გამოყოფილი თანხების მიზანშიმართული განაწილებითა და ხარჯვით. | ივლისი აგვისტო სექტემბერი | ნ. ვორონოვა, ი. ისაშვილი, ზ. იანტბელიძე |
| სახალხო განათლების ობიექტების მშენებლობის, მიშენება-დაშენების, სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა და კაპიტალური, მიმდინარე შეკეთებათა გეგმის შესრულების მდგომარეობის შემოწმება. | " | ნ. ვორონოვა, მ. კობახიძე, ნ. ჩიკვილაძე, ი. ურუშაძე, რ. ხიტირი |
| სახალხო განათლების სისტემის სასწავლო დაწესებულებათა ინვენტარით, სასწავლო დანიშნულების ხელსაწყოებით, დოკუმენტაციით, ტექნიკური საშუალებებით, კომპიუტერებითა და სხვა ხელსაწყო-იარაღებით უზრუნველყოფა. | ივლისი აგვისტო | ნ. ვორონოვა, ა. გოდერძიშვილი, ყველა სამმართველო-განყოფილებათა უფროსები |
| სახალხო განათლების სისტემის სასწავლო დაწესებულებებში დაწყებითი სამხედრო მომზადების სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება-კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობა. | " | კ. სუჯაშვილი, ნ. ვორონოვა, შ. ჩქარეული |



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| ინტერნატული დაწესებულებებისთვის საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისათვის საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით უზრუნველყოფა. | " | ნ. გურგენიძე, ნ. ყ[illegible]-ნოვი, გ. გოდერძი[illegible], გ. ჭუმბურიძე |
| ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-სპორტული ბაზების სასწავლო წლის დაწყებისათვის მომზადება. | აგვისტო | კ. სუჯაშვილი, ნ. ყორო-ნოვი, მ. მნათობიშვილი, გ. გოდერძიშვილი |
| სახალხო განათლების სისტემის პროფკავშირული საკლუბო დაწესებულებების და განათლების მუშაკთა სახლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგება და მათი მონაწილეობა ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების ღონისძიებებში. | ივლისი აგვისტო | მ. კობახიძე, ნ. კეცხოვე-ლი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის 1989 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება

### რესპუბლიკის სოფლის სკოლის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შემუშავების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ მიუხედავად რესპუბლიკაში გატარებული ღონისძიებებისა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 4 სექტემბრის დადგენილების შესრულების საქმეში შეინიშნება მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებები.

დღეისათვის საქართველოს სოფლის 2869 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში 376516 მოსწავლე სწავლობს, რაც რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 76,4 პროცენტს შეადგენს. დემოგრაფიული მიზეზებით, სოფლის სკოლების რეორგანიზაციისა და გამსხვილების გამო ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათი რაოდენობა შემცირდა 53 ერთეულით, ხოლო მოსწავლეთა რიცხვი — 25808-ით. აღსანიშნავია, ის ფაქტიც რომ 52 ერთეულით გაფართოვდა საშუალო სკოლების ქსელი, ამავე დროს 11638-ით შემცირდა მათში მოსწავლეთა რაოდენობა.

პირველ რიგში საჭიროებს მოწესრიგებას სასკოლო ქსელი. ეს საკითხი უფრო მწვავედ დადგა დღეს, ვინაიდან ამას ხელი შეუწყო რესპუბლიკაში მომხდარმა სტიქიურმა მოვლენებმა. ამჟამად ყველაზე დიდი საზრუნავია სკოლების რაციონალური განლაგება, მშენებლობათა ზუსტი დაგეგმვა დასახლებული პუნქტების სოციალური პერსპექტივისა და დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით.

კვლავ სერიოზული პრობლემებია სოფლის სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეში. სოფლის 2869 სკოლიდან დაქირავებულ და მეცადინეობისათვის გამოუსადეგარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენობებში მუშაობს 452 სკოლა, შეგუებულში — 867; უფრო მეტიც, 478 სკოლა მოთავსებულია ავარიულ შენობებში. მიუხედავად ერთგვარი შემცირებისა, დღეისათვის ორ ცვლაში მუშაობს 470 სკოლა (16,4%) 39671 მოსწავლით (10,5%).

აღნიშნული მდგომარეობა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ წლების განმავლობაში არ სრულდება სკოლების მშენებლობისა და მიშენების სახელმწიფო გეგმები, ხოლო ადგილებზე რეგიონების მიხედვით ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა საინიციატივო მშენებლობას.

ნელი ტემპით მიმდინარეობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 19 თებერვლის № 130 დადგენილების შესრულება სასკოლო მშენებლობის პერსპექტიული გეგმის შესახებ. ბოლო ხუთწლედში ამ დადგენილებით ექსპლოატაციაში უნდა შესულიყო 131 სკოლის შენობა 36574 მოსწავლე-ადგილზე, ფაქტიურად კი შევიდა 62 სკოლა 22693 მოსწავლე-ადგილზე.

მიუხედავად გარკვეული ძვრებისა, რესპუბლიკის სოფლის სკოლების სასწავლო კაბინეტების უზრუნველყოფის მაჩვენებელი ჩამორჩება, როგორც საკავშირო, ასევე რესპუბლიკის ქალაქების საშუალო მაჩვენებლებს. სოფლის სკოლებში მხოლოდ 24 ინფორმატიკის კაბინეტია, პროფორიენტაციის კაბინეტი — 147, ავტოსაქმის კაბინეტი — 181, ხოლო სოფლის მეურნეობის მექანიზაციის კაბინეტი კი 472, რაც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ არსებული კაბინეტებიც არ არიან აღჭურვილი სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით და თვალსაჩინო ხელსაწყო იარაღებით. სოფლის 346 საშუალო და არასრულ საშუალო სკოლას (17, 4%) არ გააჩნია არც ერთი სახის სახელოსნო; უფრო მეტიც, 340 სკოლას არა აქვს მიწის ნაკვეთი.

სასწავლო სახელოსნოების მეტი ნაწილი მოთავსებულია შეუფერებელ სათავსოებში, დარგობრივი სამინისტროები არადამაკმაყოფილებლად აწვდიან სკოლებს ტრაქტორებს, ავტომანქანებს, სასწავლო დაზგებს და სხვა მოწყობილობებს.

არასაკმარის ღონისძიებებს ატარებენ მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საქმეში საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. არ არის მიღებული გადამჭრელი ზომები მოსწავლეთა მწარმოებლურ შრომაში მაქსიმალურად ჩაბმის მიზნით.

მთელი რიგი დარღვევებია მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის საქმეში. 1992 საშუალო და არასრული საშუალო სკოლიდან სკვების ბლოკი გააჩნია მხოლოდ 1537 სკოლას (77,2%). სადაც მოწყობილია 62531 დასაჯდომი ადგილი, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 94,129 ადგილისა. ცხელი კერძებით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხოლოდ 23,8%. რიგ სკოლებში კვების ობიექტები მოთავსებულია შეუფერებელ სათავსებში. ფართის სიმცირის გამო არ ხერხდება დანადგარ-მოწყობილობების დამონტაჟება, არ გააჩნიათ გამდინარე ცივი და ცხელი წყალი, რაც ქმნის ანტისანიტარიას. ამასთან ერთად კვების ბლოკები მინიმალურადაც არ მარაგდებიან ასორტიმენტით გათვალისწინებული კვების პროდუქტებით (რძე და რძის ნაწარმი, თევზი, ხილი, ბოსტნეული).

შედეგად ამისა, სოფლის სკოლებში გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისა და სასკოლო ინტერნატების მუშაობა დიდი ხარვეზებით ხასიათდება. გახანგრძლივებული დღის ჯგუფები ბევრ ისეთ სკოლაშია გახსნილი, რომელსაც საერთოდ არ გააჩნიათ ბუფეტი ან სასადილო. ამავე დროს გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში ჩარიცხულია I—IX კლასის მოსწავლეთა მხოლოდ 13,2% (რესპუბლიკური — 17,4%, საკავშირო — 36,6%). ამასთან, სოფლის რაიონების რიგ სკოლებში გახანგრძლივებული დღის ჯგუფების გახსნისას დარღვეულია სადებულებო მოთხოვნები.

ნაკლოვანებებია სკოლიდან 3 და მეტი კილომეტრის დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეთა სასკოლო ინტერნატებში ჩაბმისა და მათი ტრანსპორტირების საქმეში.

სკოლიდან დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეთა 24,7% არ არის უზრუნველყოფილი ტრანსპორტით; ამ მხრივ საკითხი მოსავარებელია დმანისის, დუშეთის, მესტიის, ლენტეხის, ონის, ქედის, ხულოს, შუახევის რაიონებში.

სოფლის სკოლის პრობლემათა პრობლემაა სპეციალისტთა ნაკლებობა მაშინ, როდესაც რესპუბლიკის მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ნაწილი განაწილების ადგილზე არ ცხადდება. მაგალითად, მარტო გასულ წელს თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტიდან განაწილებული 300 ახალგაზრდიდან ადგილზე არ გამოცხადდა 51. იგივე ითქმის ს/ოსეთის, თელავის, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტების შესახებ.

სოფლად, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში, დიდია მასწავლებელთა დენადობა, რაც უარყოფითად მოქმედებს სტაბილური პედკოლექტივის ჩამოყალიბებაზე. 1984—1988 წლებში მესტიის რაიონში განაწილებულ 57 კურსდამთავრებულიდან დამაგრდა 38 ახალგაზრდა სპეციალისტი, მარნეულის რაიონში — 90-დან— 59, ახმეტის რაიონში — 102-დან 63, თეთრიწყაროს რაიონში — 43-დან — 29, საგარეჯოს რაიონში — 140-დან — 87 და ა. შ.

ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია სოფლის მასწავლებელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების მოუგვარებლობა. ამჟამად რესპუბლიკაში ძალზე ცუდი საბინაო პირობები აქვს ახალგაზრდა მასწავლებელთა 50 პროცენტს. 1989 წლის იანვრის მდგომარეობით განათლების სისტემის დაწესებულებებში სოფლად მომუშავეთა 1486 ოჯახი 5940 წევრით საჭიროებს საბინაო პირობების გაუმჯობესებას. რესპუბლიკის რიგ რაიონებში სოფლის სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობა კვლავ ვერ მარაგდება სათბობით, ხოლო სასოფლო საბჭოების აღმასკომების მიერ კომუნალური მომსახურებისათვის გამოყოფილი თანხა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს.

მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქალაქის სკოლების დონეს სოფლის სკოლების პედაგოგიური კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა: I—IV კლასებში მომუშავე მასწავლებელთა მხოლოდ 60,5%-ია უმაღლესი განათლებით (ქალაქში — 85,1%), V—XI კლასების მასწავლებელთა — 84,7% (ქალაქში — 91,4%) და ა. შ.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის რიგ სკოლებში პედაგოგიური კადრების უკმარისობის გამო არ ისწავლება სხვადასხვა საგნები. ხულოს რაიონის 7 სკოლაში, შუახევის 5 სკოლაში — არ ისწავლება უცხო ენა, მარნეულისა და ბოგდანოვკის რაიონის სომხური სკოლები განიცდიან ქართული ენის მასწავლელბელთა ნაკლებობას.

სოფლის სკოლების მუშაობაში არსებული სერიოზული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. გამოცხადდეს 1989-90 სასწავლო წელი სოფლის სკოლის წლად. სახალხო განათლების ორგანოების ძალები მიმართული იქნეს მისი ყოველმხრივი განმტკიცებისადმი, რისთვისაც მ. წ. ოქტომბერში კოლეგიაზე დამტკიცებულ იქნას სოფლის სკოლის განვითარების კომპლექსურ ღონისძიებათა პერსპექტიული გეგმა.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის სასოფლო რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა:

ადგილობრივ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან შეთანხმებით მ/წლის 20 აგვისტომდე შეიმუშაონ და წარმოუდგინონ სამინისტროს კონკრეტულ ღონისძიებათა პერსპექტიული გეგმა სოფლად სასკოლო განათლების შემდგომი განვითარების, სკოლების სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით მათი უზრუნველყოფის, სოფლის სკოლებში ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის დონის ამაღლებისათვის.

3. საგეგმო საფინანსო სამმართველომ (ამხ. ი. ისაშვილი):

3. 1. ადგილობრივი საბჭოთა და სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად შეიმუშაოს წინადადებები სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელის დისლოკაციის სრულყოფის მიზნით;

3.2. სახალხო განათლების განყოფილებებთან ერთად გამოძებნოს სოფლის სკოლებისათვის სასწავლო მოწყობილობის შეძენისათვის დამატებითი წყაროები.

4. მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური ბაზის განვითარების სამმართველომ (ი. ურუშაძე):

4.1. არსებული მდგომარეობის ადგილზე შესწავლით შეიმუშაონ სოფლად ახალი სასკოლო შენობების მშენებლობის, სკოლების არსებულ შენობებთან, აგრეთვე სასკოლო ინტერნატებთან სასკოლო ოთახების, სასწავლო კაბინეტებისა და ლაბორატორიების, სახელოსნოების, სპორტული დარბაზების, კვების ბლოკების მიშენების, აგრეთვე სასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ფართო პროგრამა და ორი თვის ვადაში წარმოუდგინონ სახალხო განათლების სამინისტროს რესპუბლიკის მთავრობაში განსახილველად;

4.2. განიხილოს სასკოლო შენობების მოქმედი პროექტების ვარგისიანობა, ჩაატაროს კონკურსი სოფლის სკოლის საუკეთესო პროექტზე. მეტი რაოდენობით განახორციელოს სოფლის სკოლების მშენებლობა ინდივიდუალური პროექტების მიხედვით, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ადგილმდებარეობასთან შერწყმული შენობის მხატვრული იერი, მოსახლეობის ტრადიციები და აღნიშნული რეგიონის სხვა დამახასიათებელი თვისებები;

4.3. 1989 წლის ნოემბრამდე მოახსენოს სახალხო განათლების სამინისტროს 1989 წლის 10 მარტის კოლეგიის გადაწყვეტილების „სახალხო განათლების სისტემის მუშაკთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

5. მომარაგება-გასაღების სამმართველოს (გ. გოდერძიშვილი):

5.1. დაევალოს ერთი თვის ვადაში შეისწავლოს, გაანალიზოს და წარმოუდგინოს სახალხო განათლების სამინისტროს წინადადებები სოფლის სკოლების ინვენტარით, დანადგარ-მოწყობილობებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით და თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით მომარაგებისათვის;

5.2. 1989—1990 წლებში ცენტრალიზებული წესით განკუთვნილი სასწავლო მოწყობილობების არანაკლები 50% გამოუყოს სოფლის სკოლებს;

5.3. სოფლის სკოლების უზრუნველყოფის ახალი ნორმატივების შემუშავების მიზნით 1989 წელს ჩაატაროს სოფლის სკოლებში, ყველა ტიპის სკოლა-ინტერნატებში სასწავლო მოწყობილობების შერჩევითი აღწერა და სასწავლო-თვალსაჩინო საშუალებების მაღაზიების პასპორტიზაცია.

6. სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი):

1 ოქტომბრამდე შეიმუშაოს ღონისძიებები სოფლის სკოლების სახელმძღვანელოებით, დამხმარე, მეთოდური და სხვა სახის (მათ შორის მხატვრული) ლიტერატურით, აგრეთვე თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებით დროული და შეუფერხებელი მომარაგებისათვის.

7. ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილებამ (ამხ. მ. მნათობიშვილი) გაანალიზოს რესპუბლიკის სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური აღზრდის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა და ორი თვის ვადაში შეიმუშაოს შესაბამისი წინადადებები მინისტრთა საბჭოს წინაშე საკითხის დასმის მიზნით.

8. ეთხოვოს რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტს, ცეკავშირთან ერთად ზუსტად განსაზღვრონ საბავშვო კვების პროდუქტების წარმოებისა და ამ პროდუქტებით დაკმაყოფილების უზრუნველყოფის ერთიანი გეგმა იმ პირობით, რომ ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს უფლება მიეცეს რეგიონში წარმობული ბოსტნეული, ხილი, რძე და რძის ნაწარმის და სხვა პროდუქტები გადასცენ მოს-

წავლეთა კვების ობიექტებს მათი განაცხადის შესაბამისად და გამ- პროდუქციის მოცულობა აგროსამრეწველო ორგანიზაციებს ჩაე- თვალოს სახელმწიფო გეგმაში.

9. ეთხოვოს ცეკავშირის გამგეობას გადაწყვიტოს საკითხი სას- კოლო ბუფეტებსა და სასადილოებში მომსახურე პერსონალის საშტატო განრიგის მოსწავლეთა კონტინგენტის და ფართის მი- ხედვით გამოყოფის თაობაზე.

10. დაისვას საკითხი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბ- ჭოების წინაშე სკოლებისათვის ხანგრძლივი იჯარით მიწის ნაკვე- თების გამოყოფის შესახებ (კოლმეურნეებისა და კოოპერატორე- ბის შესაბამისად), რაც მისცემს სკოლას საშუალებას დამატებითი სახსრების მიზიდვისათვის.

11. ეთხოვოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტ- როს გააძლიეროს პროფილაქტიკური მუშაობა სოფლის სკოლებ- ში და საქმიანი მეთვალყურეობა მოსწავლეთა ფიზიკური განვითა- რებისა და ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის.

12. ეთხოვოს საქართველოს დარგობრივ პროფკავშირის რეს- პუბლიკურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, მათ ადგილობრივ ორგანოებს მკვეთრად გა- აუმჯობესონ სოფლის მასწავლებელთა სამედიცინო, სანატორულ- საკურორტო მომსახურება და დასვენების ორგანიზაცია, უზრუნ- ველყონ მასწავლებელთა მეტი რიცხვი სამკურნალო-პროფილაქ- ტიკურ დაწესებულებათა საგზურებით არდადეგების პერიოდში, გამოყონ ყოველწლიურად მათთვის მიზნობრივი დანიშნულების შეღავათიანი ტურისტულ-საექსკურსიო საგზურები, მოაწყონ შე- ღავათიან პირობებში სოფლის მასწავლებელთა ექსკურსიები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

— ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დააჩქა- როს გადაწყვეტილების მიღება სოფლის სკოლებში მომუშავე მასწავლებელთათვის სრული განაკვეთის ხელფასის გაცემაზე რეა- ლური სასწავლო დატვირთვის დამოუკიდებლად.

13. ხელმძღვანელი, სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველომ (ამხ. ა. ჭაჭია):

მ. წ. დეკემბერში კოლეგიას მოახსენოს 1989 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობა.

14. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტ- მა (ამხ. ვ. ჟვანია).

14.1. შეიმუშაოს და 2 თვის ვადაში წარმოუდგინოს განათლე-ბის სამინისტროს წინადადებები სოფლის სკოლების ხელმძღვანე-ლი და პედაგოგიური კადრების სამუშაოდან მოუწყვეტლად გადა-მზადების ფორმების შესახებ;

14.2. მასწავლებელთა ატესტაციის კაბინეტთან ერთად (ამხ. დ. ყურულაშვილი) იზრუნოს კვალიფიკაციის ამაღლებისა და კადრების ატესტაციის ერთობლივი სისტემის შექმნისათვის. წარ-მოადგინონ წინადადებები მასწავლებელთა ატესტაციის ფორმე-ბისა და შინაარსის შეცვლის თვალსაზრისით.

15. რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა ცენტრმა (ამხ. ა. კაპანაძე), სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიურმა გაერთიანებამ (ამხ. შ. ამონაშვილი):

15.1. შეიმუშაონ და 2 თვეში წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს სოფლის სკოლების მუშაობის მეთოდური უზრუნ-ველყოფის კონკრეტული წინადადებები, ზუსტად განსაზღვრონ თითოეული ლაბორატორიის ფუნქციები, დააკონკრეტონ მათი მიზნები და ამოცანები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ სოფ-ლის მასწავლებლის მაღალი პროფესიონალიზმის მიღწევას, საგნის მასწავლებელთა ოსტატობის ამაღლებას, ჭეშმარიტი ნოვატორო-ბის გამოვლენას და მხარდაჭერას.

16. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს ნ. ვასაძეს, მოადგი-ლეებს: ამხ. ამხ. ნ. გურგენიძეს, ნ. ვორონოვს, რ. ხუროძეს, კ. სუ-ჯაშვილს.

კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი გ. ენუქიძე

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის 1989 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომითი სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყვეს მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული მომზადების სისტემის სრულყოფისათვის საზოგადოებრიობის ყურადღების მობილიზებას. გაიზარდა კაბინეტ-ლაბორატორიების, სახელოსნოების რიცხვი. სულ უფრო მეტი სახსრები იხარჯება მათი ტექნიკური აღჭურვისათვის, მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების სისტემაში გარკვეული ადგილი დაიკავეს სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებმა, სასწავლო საამქროებმა, რომელთა რიცხვი რესპუბლიკაში 180-ს შეადგენს. სახალხო განათლებისა და მეურნეობის დარგის მუშაკთა ერთობლივი ძიების შედეგად შეიქმნა ე. წ. მინი-კოლმეურნეობები, მინი-მეურნეობები, მინი-ფაბრიკები.

ამასთან, გატარებულ ღონისძიებათა მიუხედავად, შრომითი სწავლება და პროფესიული მომზადება სკოლაში კვლავ რჩება სახალხო განათლების დარგის ერთ-ერთ სუსტ რგოლად. სერიოზული ნაკლოვანებებია სასკოლო შრომით სწავლებაში, აღზრდასა და პროფესიულ მომზადებაში, საქმისადმი ფორმალური მიდგომა ფიქციად აქცევს ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ შრომით სწავლებასა და აღზრდაში მიღებულ დადგენილებებს, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მოთხოვნებს.

ეროვნული

მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდის, პროფესიული მომზადებისა და საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის დღევანდელ მდგომარეობას განაპირობებს შრომითი სწავლების სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ცუდად აღჭურვილი სასწავლო სახელოსნოები, მომსახურებითი და ტექნიკური შრომის, ავტოსაქმისა და სოფლის მეურნეობის (მექანიზაციის თეორიული სწავლების კაბინეტები. უფრო მეტი, 387 სკოლაში საერთოდ არაა შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სკოლების საერთო რაოდენობის 10 პროცენტზე მეტს არ აქვს გამოყოფილი სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთები (ქიათურის ზონა, ადიგენის, ახალქალაქის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, დმანისის, მარნეულის, თეთრიწყაროს, ხარაგაულის რაიონები). რიგმა სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, საბაზო საწარმოებმა, სკოლებმა, (გარდაბნის, მესტიის, ლენტეხის, ცაგერის, ჩხოროწყუს რაიონები) ვერ უზრუნველყვეს სკოლებისათვის საბაზო საწარმოებისა და პროფილების შერჩევა, სასწავლო საამქროების მოწყობა, მწარმოებლური შრომის ორგანიზებისათვის საჭირო პირობების შექმნა. ამასთან, სკოლებისათვის ბაზებად დამტკიცებული 1004 წარმოებიდან თითზე ჩამოსათვლელია ისინი, ვინც სერიოზულად ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა საწარმოთა სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამ, რამაც სკოლა მათთვის ზედმეტ ტვირთად აქცია.

შრომითი და პროფესიული მომზადებისადმი არასწორი მიდგომის შედეგად ბევრ სკოლაში ფიქციად არის ქცეული ავტოსაქმის მძღოლების მომზადება. დღეის მონაცემებით 300 სკოლიდან, რომლებშიც ავტოსაქმე ისწავლება, რესპუბლიკის სახავტოინსპექციაში რეგისტრირებულია მხოლოდ 31, აქედან 269 სკოლა პირობით არის რეგისტრირებული, ე. ი. ავტოსაქმის სწავლებისათვის საჭირო პრობები არ გააჩნია.

შრომით სწავლებაში შექმნილ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს სათანადო კვალიფიციური კადრის უყოლობა. ამჟამად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მომუშავე შრომის მასწავლებელთა და საწარმოო სწავლების ოსტატთა მესამედი ზოგადი ან სპეციალური საშუალო განათლებითაა, ხოლო საერთო რაოდენობის 38 პროცენტზე მეტი არასპეციალისტია.

სერიოზული ნაკლოვანებებია სპეციალური და სასწავლო ლიტერატურით სკოლების უზრუნველყოფის საქმეში. წლების გან-

მავლობაში ვერ მოხერხდა არამცთუ ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნა ტექნიკურ და მომსახურებით შრომაში, არამედ გადმოქართულება მაინც. მით უმეტეს, რომ აღნიშნული ლიტერატურა უკვე დიდი ხანია არსებობს რუსულ ენაზე. შექმნილი მდგომარეობა აიძულებს შრომის მასწავლებლებს ისარგებლონ მეცნიერული და მეთოდიკური თვალსაზრისით საეჭვო, ერთმანეთისაგან გადაწერილი კონსპექტებით. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მუშაობა მართებთ პედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთებს, რაც სამწუხაროდ, არ იგრძნობა. დღემდე მწვავედ დგას დღის წესრიგში ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ კვარტალური დამატების — „შრომითი სწავლება, აღზრდა და პროფესიულ-ტექნიკური განათლება“ გამოცემის აუცილებლობა.

კოლეგიას მიაჩნია, რომ შრომით სწავლებაში არსებული ნაკლოვანებანი საჭიროებს მისი ყველა კომპონენტის ღრმა ანალიზს, შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების დაზუსტებას, მისი მატერიალური და მეთოდური უზრუნველყოფის გაუმჯობესებას, საკადრო პოლიტიკის მოწესრიგებას, მთლიანად შრომითი სწავლების სისტემის სრულყოფას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის მიზნით, კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის სრულყოფის კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმა (დანართი № 1).

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, თბილისისა და ქუთაისის სახალხო განათლების სამმართველოების უფროსებმა:

2.1. კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილონ საკითხი მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და სწავლების, მათი საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი მის გასაუმჯობესებლად, რისთვისაც აქტიურად გამოიყენონ სამინისტროს ზოგადსაშუალო და პროფე-

სიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს მიერ მომზადებუ-ლი რეკომენდაციები „1989-90 სასწავლო წელს მოსწავლეთა შრომითი სწავლების ორგანიზების შესახებ“ (დანართი № 2);

2.2. მიაღწიონ იმას, რომ ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში გამოუმუშავდეთ ბავშვებს ელემენტარული შრომის უნარ-ჩვევები, შრომისადმი სიყვარული;

2.3. შეიმუშაონ დაწყებითი კლასების, ტექნიკური შრომის სასწავლო სახელოსნოების, მომსახურებითი შრომის, ავტოსაქმის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის თეორიული სწავლების კაბინეტების, სამონტაჟო სახელოსნოების, ავტომანქანის ტარების მოედნების, საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციისათვის საჭირო პირობების შექმნის ღონისძიებები იმ ვარაუდით, რომ რესპუბლიკის ყველა სკოლა შრომითი სწავლების მატერიალური ბაზებით უზრუნველყოფილ იქნეს 1994 წლისათვის;

2.4. შეისწავლონ ამჟამად არსებული სასწავლო სახელოსნოების, კაბინეტების საჭირო მოწყობილობებით, თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის მდგომარეობა, განახორციელონ ღონისძიებანი მის შესავსებად და სასწავლო მუშაობაში, სრულყოფილად გამოსაყენებლად;

2.5. გაატარონ ღონისძიებანი 1994 წლისათვის სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთით, ხელსაწყო-იარაღებითა და მცირე მექანიზაციით სოფლის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უზრუნველყოფისათვის;

2.6. 1989 წლის 30 სექტემბრამდე შეისწავლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთა შრომითი და პროფესიული მომზადების პროფილების შემოღების სისწორე და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა. სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ განახორციელონ მისი სხვა, შესაფერისი პროფილით შეცვლის ღონისძიებანი, რის შესახებაც აცნობონ ზოგადსაშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს;

2.7. ხელი შეუწყონ სკოლებს, რათა სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში სკოლებმა გამოიყენონ მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის სტიმულირების პროგრესული ფორმები და საშუალებები (ბრიგადული, საარენდო და საოჯახო იჯარა, ხელშეკრულებით შრომა და სხვ.).

2.8. ქმედითი ღონისძიებები განახორციელონ ზაფხულის არდადეგების პერიოდში და მთელი სასწავლო წლის მანძილზე მუდმივმოქმედი საწარმოო ბრიგადების, რაზმების შრომის მაქსიმალური ეკონომიკური და აღმზრდელობითი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად;

2.9. გადამჭრელი ზომები მიიღონ სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში კაბინეტებისა და სამქროების გაფართოება-კეთილმოწყობის, მათში მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის დონის ასამაღლებლად.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. ვ. ქვანია):

3.1. გააუმჯობესოს შრომითი სწავლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე, უზრუნველყოს შრომის იმ მასწავლებელთა გადამზადება, რომლებიც წარმოებიდან სკოლებში სამუშაოდ არიან მივლინებული და საჭიროებენ პედაგოგიურ დახელოვნებას.

3.2. გაითვალისწინოს ავტომანქანების, ტრაქტორების ტარების საწარმოო სწავლების ოსტატთა დახელოვნების კურსების სასწავლო პროგრამებში ისეთი საკითხების სწავლება, რომლებიც უზრუნველყოფენ მსმენელებისათვის ინსტრუქტორის წოდების მინიჭებას.

3.3. ყოველი სასწავლო წლის აგვისტოსა და იანვარში მოაწყოს ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლო ინსპექტორების კურს-სემინარები I—XI კლასებში შრომითი სწავლების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში შეტანილი ცვლილებების გასაცნობად და ადგილებზე დაყვანის მიზნით.

4. ი. გოგებაშვილის სახელობის ექსპერიმენტულმა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ (ამხ. შ. ამონაშვილი) შეიმუშაოს და 1989 წლის 1 ოქტომბრამდე სამინისტროში წარმოადგინოს შრომითი სწავლების დარგში სამეცნიერო კვლევის 1989—1994 წლების გეგმა. რომელშიც განსაკუთრებული ადგილი დაუთმოს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის მეთოდოლოგიის სრულყოფის საკითხებს.

5. ზოგადი საშუალო და პროფტექნიკური განათლების სამმართველომ (ამხ. ამხ ა. ეჯიბაძე, ე. ქურციკიძე), ექსპერიმენტულმა სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიურმა გაერთიანებამ (ამხ. შ. ამონაშვილი), სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველომ (ნ. ღლონტი), მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. ვ. ჟვანია), რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა ცენტრმა (ამხ. ა. კაპანაძე):

1994 წლამდე უზრუნველყონ მოსწავლეთა შრომითი სწავლების მოქმედი სასწავლო პროგრამების გადამუშავება და ახალი სასწავლო პროგრამების შექმნა, შესაბამისად ორიგინალური სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის მომზადება, სხვა ენებზე არსებული საუკეთესო სახელმძღვანელოების გადმოქართულება, გამოსაცემად მომზადება და ადგილებამდე დაყვანა.

6. მომარაგებისა და გასაღების სამმართველომ (ამხ. გ. გოდერძიშვილი):

6.1. არ დაუშვას სასწავლო ავტომანქანების, ტრაქტორების, ავტომანქანებისა და ტრაქტორების სასწავლო-საწარმოო კაბინეტების კომპლექტების, ავტოტრენაჟორების სკოლებზე გადაცემა ზოგადი საშუალო განათლების განყოფილებასთან შეთანხმების გარეშე, სისტემატურად აწარმოოს სკოლებზე გაცემული ტექნიკის ზუსტი აღრიცხვა.

6.2. მკვეთრად გააუმჯობესოს სკოლების სასწავლო სახელოსნოების, დაწყებითი კლასებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების მომარაგება ჩარხებით, დაზგებით, საკერავი მანქანებით, სამუშაო მასალებით, სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოებითა და სხვა სასწავლო მოწყობილობებით.

7. ხელმძღვანელი, სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველომ (ამხ. ა. ჭაჭია) შეისწავლოს შრომითი სწავლების ოსტატ-მასწავლებლებით რესპუბლიკის სასწავლებლების უზრუნველყოფის მდგომარეობა და მათი ხარისხობრივი ანალიზის საფუძველზე 1989 წლის ბოლომდე შეიმუშაოს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის 1900—1995 წლების პროგრამა.

8. ზოგადი საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველომ (ამხ. ამხ. ა. ეჯიბაძე, ე. ქურციკიძე):

8.1. 1989—1990 სასწავლო წლის განმავლობაში ჩაატაროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შრომითი სწავლების კაბინეტებისა და სახელოსნოების, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთების I

რესპუბლიკური დათვალიერება-ატესტაცია, რისთვისაც 1989 წლის ბოლომდე კოლეგიაზე განსახილველად წარმოადგინოს სათანადო დებულებების პროექტი.

8.2. რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრთან ერთად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად მოამზადოს წინადადებები საბაზო საწარმოების (ორგანიზაციების) სკოლებზე მიმაგრებისათვის საჭირო ცვლილებების შესატანად.

8.3. საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან ერთად (ამხ. ი. ისაშვილი) მოამზადოს წინადადებები მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის პროცესში კლასის ორ ქვეჯგუფად გაყოფის შესახებ.

8.4. ექსპერიმენტულ სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიურ გაერთიანებასთან (ამხ. შ. ამონაშვილი) და რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრთან (ამხ. ა. კაპანაძე) ერთად აღრიცხოს სოფლის საშუალო სკოლებში აგროსამრეწველო კომპლექსისათვის კვალიფიციური მუშების მომზადებასა და თბილისის ზოგიერთ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ცალკეულ ჯგუფებში მიმდინარე ექსპერიმენტები და მათი მეცნიერული და მეთოდური ანალიზი წარმოუდგინოს კოლეგიას 1990 წლის III კვარტალში.

8.5. დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან ერთად 1989 წლის ბოლომდე შეიმუშაოს წინადადებები რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების კონცეფციის შექმნის თაობაზე.

8.6. სისტემატური კონტროლი დააწესოს ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე.

9. ეთხოვოს გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციას (ამხ. ა. სილაგაძეს) აღნიშნული გადაწყვეტილების შინაარსი გამოაქვეყნოს გაზეთის უახლოეს ნომერში, მანვე პერიოდულად დაბეჭდოს მასალები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი სწავლების მიმდინარეობის შესახებ.

კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და სწავლების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა გ ე გ მ ა (1989—1994 წ.წ.)

| № | შესასრულებელი საკითხები | შესრულების დრო | შემსრულებელი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | I. საორგანიზაციო საკითხები | | | |
| 1 | სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მუშაობის წარმართვა. | კვარტალში ერთხელ | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველო | |
| 2 | შრომითი სწავლების კაბინეტებისა და სახელოსნოების, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთების I რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის ჩატარება. | 1989—1990 სასწ. წ. | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველო | |
| 3 | მოსწავლე ავტომობილისტთა შეკრებების, ნორჩ მძღოლთა, ნორჩ მკერავთა, ნორჩ მექანიზატორთა და სხვა კონკურსების მომზადება-ჩატარება. | შეკრება ყოველწლიურად, კონკურსი ორ წელიწადში ერთხელ | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველო, რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური ცენტრი | |
| 4 | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საკვალიფიკაციო გამოცდების მომზადება და ჩატარება ავტოსაქმეში, სოფლის მეურნეობის მექანიზაციაში, მანქანაზე წერისა და თანამედროვე საქმის წარმოების საფუძვლებში და სხვა პროფილებში. | ყოველწლიურად | —"— | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| | II. სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება | | | |
| 5 | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომითი სახელოსნოების შესახებ დებულების, დაწყებითი კლასის (I—IV) და მომსახურებითი შრომის კაბინეტების მოწყობის შესახებ რეკომენდაციების გადამუშავება, დასაბეჭდად მომზადება და გამოცემა. | 1989 წელი | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველო, რესპუბლ. სამეცნიერო მეთოდური ცენტრი, სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველო | |
| 6 | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში I—IV კლასების მოსწავლეთა შრომითი სწავლების ოთახების (კაბინეტების) შექმნა, მოწყობა და არსებულის სრულყოფა. | 1989—1994 წ. წ. | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველო, მომარაგების მთ. სამმართველო, ავტონომიური რესპ. განათლ. სამინისტროები, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყ. | |
| 7 | შეგუებული ტიპის სასკოლო შენობების რეკონსტრუქციისას თანამედროვე სამშენებლო არქიტექტურული და ტექნოლოგიური ნორმების მიხედვით კაბინეტებისათვის სათავსოების გათვალისწინება, ხოლო იქ, სადაც ამის საშუალება არაა, ახალი შენობების აგება. | 1989—1992 წ. წ. | მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური ბაზის განვითარების სამმართველო | |



ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 8 | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების ქსელის გაფართოების პერსპექტიული გეგმის შემუშავება. | 1989 წ. | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველო მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური ბაზის განვითარების სამმართველო, რესპ. სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი | |
| 9 | ტექნიკური შრომის სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების აღჭურვა ტიპობრივი ნუსხით გათვალისწინებული მოწყობილობებით (დაზგებით, ჩარხებით, სამუშაო იარაღებით, საკერავი მანქანებით, ჭურჭლით, სამზარეულოს აღჭურვილობით, სამუშაო მასალებით და სხვა). 1989—1990 წლებში სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურების შრომის კაბინეტების აღჭურვის მდგომარეობის შესწავლა, შემოწმების შედეგების მიხედვით დამატებითი ღონისძიებათა გეგმის შემუშავება. | 1989—1991 წ. წ. | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათ. სამმართვ. რესპ. მეთოდური ცენტრი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრ. ინსტიტუტი, აფხაზეთისა და აჭარის განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპ. ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები, თბილისის სახალხო განათლების სამმართველო. | |
| 10 | მოსწავლეთა შრომითი და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ქსელის გაფართოება, არსებულის სრულყოფა, კეთილმოწყობა და მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა. | 1989—1994 წ. წ. | საქართველოს სსრ სახ. განათლების სამინისტრო, რესპუბლიკის რაიონების და ქალაქების სახ. დეპუტატების საბჭოს აღმასკომები, საქ. სსრ სამინისტროები, უწყებები, საბაზო საწარმოები (ორგანიზაციები). | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 11 | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე მიმაგრებულ საბაზო საწარმოებში (ორგანიზაციებში) სასწავლო საწარმოო საამქროებსა და საამქროებში უბნების მოწყობა, არსებულის სრულყოფა, კეთილმოწყობა და საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლურ შრომაში მოსწავლეთა ჩასაბმელად სათანადო პირობების შექმნა. | 1989—1994 წ. წ. | საქართველოს სსრ სამინისტროები, უწყებები, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები, საბაზო საწარმოები (ორგანიზაციები). | |
| 12 | იმ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, რომლებშიც საკანონმდებლო დადგენილებით შემოღებულია ავტოსაქმისა და სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადება, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი თეორიული სწავლების კაბინეტების შექმნა, სასწავლო მიზნით გადაცემული ტექნიკისათვის სადგომების აშენება, მონტაჟისა და დემონტაჟის საზეინკლო სახელოსნოების, ავტოდრომებისა და ტრაქტოროდრომების მოწყობა. | 1989—1994 წ. წ. | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართვ. მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური ბაზის განვითარების სამმართვ. საბაზო საწარმოები (ორგანიზაციები) აფხაზეთისა და აჭარის განათ. სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ოლ. რესპ. რაიონებისა და ქალაქების სახ. განათლების განყოფილებები, ქ. თბილისის სახ. განათლების განყოფ. მომარაგება-გასაღების სამმართველო. | |
| 13 | ადგილობრივი პირობებისა და მოსწავლეთა კონტინგენტის გათვალისწინებით სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე დასამუშავებლად მიწის ნაკვეთების (ბაღის, ვენახის; ბოსტნის და ა. შ.) მოსავლელად მეცხოველეობის ფერმების ან კომპლექსების უბნების ხელშეკრულებებით გაპიროვნება. | 1989—1991 წ. წ. | საქართველოს სსრ სახ. განათ. სამინისტრო, საქ. სსრ აგროსამრეწველო სახელმწ. კომიტეტი, რესპ. რაიონებისა და ქალაქების სახ. დეპუტატების საბჭოს აღმასკომები. | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| | III. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომაში მონაწილეობის ორგანიზაცია | | | |
| 14 | საბაზო საწარმოებში (ორგანიზაციებში) და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციისათვის მისი შინაარსის განსაზღვრა. | 1989—1990 წ. წ. | ზოგადსაშუალო და პროფტექნიკური განათლების სამმართველო, რესპ. სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი, აფხაზეთისა და აჭარის განათლების სამინისტროები. სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპ. რაიონებისა და ქალაქების სახ. განათ. განყოფილებები, ქ. თბილისის სახ. განათლების სამმართვ. საბაზო საწარმოები (ორგანიზ.). | |
| 15 | ტექნიკური შრომის სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების სრულყოფა, საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციისათვის საჭირო დანადგარებით, დაზგებით, საზომი და სამუშაო იარაღებით მათი მომარაგება. 1989—1990 წლებში სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების აღჭურვილობის შესწავლა, შედეგების მიხედვით დამატებითი ღონისძიებათა გეგმის შემუშავება. | 1989—1991 წ. წ. | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველო, რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი, მომარაგება-გასაღების სამმართველო, საბაზო საწარმოები (ორგანიზაციები). | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 16 | მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კაბინეტებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საწარმოო საამქროებსა და ცეხებში სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში უსაფრთხოების ტექნიკისა და სანიტარულ ჰიგიენური წესების დაცვის უზრუნველყოფა. | სისტემატურად | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველო, რესპ. სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი. | |
| | **IV. რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებისა და სამინისტროების, უწყებების, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების (ორგანიზაციების) ერთობლივი ღონისძიებებით მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლებისა და საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებები** | | | |
| 17 | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექსასწავლებლებს შორის საქმიანი კონტაქტების განმტკიცება, მოსწავლეთა ექსკურსიების, შეხვედრების ორგანიზება. ამ სასწავლებლების სასწავლო ბაზების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შრომითი სწავლებისათვის გამოყენება. | სისტემატურად | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველო | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 18 | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკურ საუწყებათაშორისო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა საბჭოს გადაწყვეტილებების, მეთოდური რეკომენდაციებისა და სხვა მასალების ადგილებზე დაყვანა. | სისტემატურად | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველო |
| 19 | სახალხო მეურნეობისათვის საჭირო პროფესიებზე საორიენტაციო მუშაობის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნის მიზნით სამინისტროებთან, უწყებებთან და საკავშირო დაქვემდებარებების ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ბრძანებების, ცირკულარული წერილებისა, მეთოდური რეკომენდაციების მომზადება და გამოცემა — ადგილებზე დაყვანა. | 1989—1990 წ. წ. | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ სამინისტროები, უწყებები, საკავშირო დაქვემდებარებების საწარმოები. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი საბაზო საწარმოები (ორგანიზაციები). |
| | **V. რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლო ინსპექტორების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შრომითი სწავლების მასწავლებელთა, საწარმოო სწავლების ოსტატთა კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.** | | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 1 | შრომითი სწავლების მასწავლებელთა კადრებზე მოთხოვნის განსაზღვრა 1989-94 წლებში. მასწავლებელთა ხარისხობრივი შემადგენლობის ანალიზი და ღონისძიებათა გატარება მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. | 1990 წლის იანვრამდე | ხელმძღვანელი, სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართ. ზოგადსაშუალო და სამეცნიერო-მეთოდური ცე[illegible] მასწავლ. დახელოვნ. ინსტიტუტი. | |
| 2 | სახალხო განათლების ხელმძღვანელ, ზოგადსაგანმანათლებლო საგნების მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებელი კურსების სასწავლო გეგმებში მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციის, საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის საკითხის გაფართოების მიზნით სათანადო ცვლილებების შეტანა. | 1989 წ. | მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი. | |
| 3 | სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების, მასწავლებელთა დახელოვნების ზონალური ინსტიტუტების მუშაობის შესწავლა შრომითი სწავლების მასწავლებელთა კადრების გადამზადების ხაზით. | 1989 წ. | ხელმძღვანელი, სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართ. ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართ. მასწავლებელთა დახელოვნ. ცენტრალური ინსტიტუტი. | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 4 | მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ და ზონალურ ინსტიტუტებში დაწყებითი კლასების (I—IV), ტექნიკური შრომის სასწავლო სახელოსნოების მომსახურებითი შრომის კაბინეტის, ავტოსაქმისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის თეორიული სწავლების, კაბინეტების, მონტაჟისა და დემონტაჟის საზეინკლო სახელოსნოების სანიმუშოდ მოწყობა. | 1989—1994 წ. წ. | მომარაგება-გასაღების სამმარ. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური და ზონალური ინსტიტუტები. | |
| 5 | სამუშაო ტექნიკური განათლების მქონე შრომის მასწავლებელთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმა უმაღლესი პედაგოგიური განათლების მისაღებად. | 1989—1994 წ. წ. | ხელმძღვანელი, სამეცნიერო პედაგოგიური კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველო. | |
| 6 | სასკოლათაშორისო სასწავლო საწარმოო კომბინატების დირექტორებს, მათი მოადგილეებისა და სხვა მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მოწყობა. | 1989—1990 წ. წ. | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველო, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი. | |
| | VI. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შრომითი სწავლების პროგრამების, სახელმძღვანელოებით, მეთოდური და სხვა სახის სასწავლო დიდაქტიკური მასალით უზრუნველყოფა | | | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 1 | I—IV, V—VII, VIII—IX, და X—XI კლასებისათვის შრომითი სწავლების პროგრამების გადამუშავება, რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნა, ორიგინალების მომზადება, გამოცემა და სკოლებამდე დაყვანა. | 1989—1994 წ. წ. | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართვ. რესპ. სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი. ი. გოგებაშვილის სახ. სამეცნ. კვლევითი ინსტიტუტი. მასწ. დახელოვნების ცენტრ. ინსტიტუტი. სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველო. | |
| 2 | ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" ყოველკვირეული საგნობრივი დამატების „შრომითი სწავლება, აღზრდა და პროფტექნიკური განათლების" შექმნა. | 1989 წ. | საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო. | |
| 3 | სახელმძღვანელოების: „ავტოსაქმე", „შრომითი სწავლება" „მომსახურებითი შრომა" და სხვა რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნა, ორიგინალური სახელმძღვანელოების შედგენა და გამოსაცემად მომზადება. | 1989—1994 წ. წ. | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლ. სამმართვ. რესპუბლიკური მეთოდური ცენტრი. ი. გოგებაშვილის სახ. კვლევითი ინსტ. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი. | |
| 4 | შრომით სწავლებაში და საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლურ შრომაში და უსაფრთხოების ტექნიკაში ტაბულებისა და თვალსაჩინოების რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნა, ორიგინალების მომზადება, მათი გამოცემის უზრუნველყოფა. | 1989—1994 წ. წ. | სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველო, რესპ. მეთოდური ცენტრი. ი. გოგებაშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი. | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 5 | V—IX კლასებისათვის შრომითი სწავლების ახალი პროგრამების მომზადება და გამოცემა. | 1989—1990 წ. წ. | ი. გოგებაშვილის სახელობის ექსპერიმენტული სამეცნიერო საწარმოო პედაგოგიური გაერთიანება, სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველო, ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველო. | |
| 6 | ხალხურ სარეწაო ნაკეთობათა დამზადებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის დამახასიათებელი პროფილების შესაბამისი შრომითი სწავლების პროგრამებისა, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო-დიდაქტიკური მასალების მომზადება, გამოცემა. | 1989—1994 წ. წ. | ი. გოგებაშვილის სახ. ექსპ. სამეც. საწარმოო პედაგოგიური გაერთ. ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართ. სახელმძღვანელოების სამმართ. რესპუბ. სამეცნ. მეთოდური ცენტრი. | |
| 7 | საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლურ შრომაში ჩაბმულ მოსწავლეთა და მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების შესახებ. | 1990 წ. | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველო, სამეცნ. მეთოდური ცენტრი, საწარმოო პედაგ. გაერთიანება საგეგმო-საფინანსო სამმართ. მასწავლ. დახელოვნების ინსტიტუტი. | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| | VII. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფა | | | |
| 1 | რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომითი სწავლების მდგომარეობის შესწავლა, შესწავლილი მასალების ანალიზის საფუძველზე სემინარების ჩატარება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება (საჭიროების შემთხვევაში კოლეგიაზე განსახილველად საკითხის მომზადება). | 1989—1994 წლებში სასწავლო გეგმის მიხედვით. | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართვ. რესპ. მეთოდ. ცენტრი მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრ. ინს-ტი. | |
| 2 | რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლურ შრომაში ჩაბმის მდგომარეობა, მოკვლეული მასალების ანალიზის საფუძველზე შესაბამის რეკომენდაციების მომზადება. საჭიროების შემთხვევაში საკითხის კოლეგიაზე განსახილველად მომზადება. | 1989—1994 წლებში სასწავლო გეგმის მიხედვით. | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველო, რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი. | |
| 3 | სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების მუშაობის შესწავლა, შესწავლილი მასალების ანალიზის საფუძველზე სათანადო რეკომენდაციების მომზადება, საჭიროების შემთხვევაში საკითხის კოლეგიაზე განსახილველად მომზადება. | —"— | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართვ. რესპ. სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრ. ინსტიტუტი. | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 4 | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში, რესპუბლიკის პიონერთა სასახლეში, ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა სადგურებში წრეობრივი მეშაობის ჩასატარებლად კაბინეტების შექმნა. არსებულის სრულყოფა. | 1989—1992 წ. წ. | საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო. | |
| 5 | შრომისა და დასვენების ბანაკების საწარმოო პროფილირებული ბრიგადებისა და სხვა შრომითი გაერთიანების მუშაობის ორგანიზება, მოსწავლეთა ბრიგადული მუშაობის მეთოდის დანერგვა. | 1989—1994 წ. წ. | საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველო, რესპ. რაიონებისა და ქალაქების სახ. განათლ. განყოფილებები. | |
| 6 | მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმა ტექნიკურ შემოქმედებაში, საცდელ რაციონალიზატორულ და გამომგონებლურ საქმიანობაში. | 1989—1994 წ. წ. | საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებისა და აღმზრდელობითი სამმართველო. | |
| 7 | მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის მიზნით ექსპერიმენტის წესით მოსწავლეთა კოოპერატივების შექმნა და იჯარული მეთოდით მუშაობის დანერგვა. | 1990—1994 წ. წ. | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართვ. საგეგმო-საფინანსო სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახ. ექსპერ. სამეცნ. საწარმოო გაერთიანება, რესპ. მეთოდური ცენტრი. | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 8 | შრომით სწავლებაში მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადების მიზნით ზონალური თათბირ-სემინარებისა და სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციების ჩატარება. | ყოველ ორ წელში ერთხელ | ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახელობის ექსპერიმენტ. სამეცნიერო სასწ. გაერთიანება, რესპუბ. სამეც. მეთოდური ცენტრი. მასწ. დახელოვნების ინს-ტი. ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები. | |
| 9 | ტექნიკური, მომსახურებითი შრომისა და სწავლების სხვა პროფილების მასწავლებელთა მოწინავე გამოცდილების შესწავლა განზოგადება, სკოლებში დანერგვა. | სისტემატურად | მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრ. ინსტიტუტი. რესპ. სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი. | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

## ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შრომითი სწავლების ორგანიზაცია 1989—1990 სასწავლო წელს

### მეთოდური რეკომენდაციები

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ვითარდება როგორც უწყვეტი განათლების ერთ-ერთი ძირითადი რგოლი. იგი სხვა ამოცანების გადაწყვეტასთან ერთად, მოწოდებულია უზრუნველყოს მოსწავლეთა პოლიტიკური ხასიათის საფუძვლიანი ზოგადშრომითი მომზადება, გააცნოს მათ სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგები, ჩამოუყალიბოს აუცილებელი შრომითი უნარ-ჩვევები, ხელი შეუწყოს მწარმოებლურ შრომაში მოზარდი თაობის აქტიურ ჩაბმას, დაეხმაროს ახალგაზრდობას, შეგნებულად, მათი ინტერესების, შესაძლებლობებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნილების გათვალისწინებით აირჩიონ პროფესია, შრომითი საქმიანობის სფერო, განათლების მიღების გზები. მოსწავლეთა და მშობელთა სურვილის შემთხვევაში და აუცილებელი საჭირო პირობების შექმნის კვალობაზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შეიძლება განხორციელდეს მუშურ პროფესიათა სწავლება. ამ მუშაობის ორგანიზაცია უნდა წარიმართოს დემოკრატიულ საწყისებზე. მშობელთა საზოგადოების, ფსიქოლოგების, პროფკონსულტანტების, ექიმების, საბაზო ორგანიზაციათა მუშაკების, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისა და სხვა სპეციალისტების ფართო მონაწილეობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის (1988 წ.) პლენუმისა და სახალხო განათლების მუშაკთა საკავშირო ყრილობაზე მითითებული იყო, სკოლაში შრომითი საწყისის ყოველმხრივი განმტკიცების, მოსწავლეთა შრომითი მომზადების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანდათანობითი განვითარების აუცილებლობაზე. შრომითი, სწავლება უნდა აღიდგინო, როგორც მიზანმიმართული, შემოქმედებითი და შემეცნებითი საქმიანობა, რომელსაც ექნება პირადული და სოციალური მნიშვნელობა. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებანი, მათი ასაკობრივი და ფსიქოფიზიოლოგიური შესაძლებლობანი. შრომითი სწავლების გარდაქმნა გულისხმობს: შრომითი

უნარ-ჩვევების ფორმირების პროცესის შემოქმედებითად წარმართავს; მოსწავლეთა შრომაში პრაქტიკული ხასიათის უპირატესობას, გათვალისწინებულ სასარგებლო პროდუქციის შექმნისათვის; ზოგადშრომითი და სპეციალური ცოდნისა და უნარის ოპტიმალურ შეერთებას; სკოლის მიმდებარე საწარმოთა გათვალისწინებით, მოსწავლეთა ინტერესებსა და მიდრეკილებებზე დამოკიდებულ უფრო ადრეული შრომითი სწავლების დიფერენციაციის შესაძლებლობას; შრომითი სწავლების სტაბილური ინვარიანტული პოლიტექნიკური შინაარსის ნაწილის არსებობას, კომპლექსურობის გაძლიერების, შრომითი სწავლების პრობლემურ ორიენტირებას.

მიზანშეწონილია მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით სხვადასხვა ინტეგრირებული ფორმების შემოღება შრომითი სწავლების ტექნიკური დონის ამაღლება მის შინაარსში ელექტროტექნიკის, ავტომატიკის, რობოტოტექნიკის საკითხების ჩართვის ხარჯზე და სწავლების პროცესში პრინციპულად ახალი ტექნიკური ტრენაჟორებისა და სასწავლო თვალსაჩინოებების, მოწყობილობების, ვიდეოტექნიკისა და სხვათა გამოყენება.

სკოლაში შრომითი სწავლება I საფეხურზე (I—IV კლასები) უნდა აიგოს იმ ცოდნის, უნარისა და ჩვევების საფუძველზე, რომელიც ბავშვებმა შეიძინეს სკოლამდელი დაწესებულებებსა და ოჯახებში. მოსწავლეებში უნდა მიიღონ პირველსაწყისი პოლიტექნიკური ცოდნა, ზოგადშრომითი ხასიათის ცნობები, გაეცნოს გრაფიკული წიგნიერების ელემენტებს, ფართოდ გავრცელებულ ინსტრუმენტებსა და მანქანებს, საყოფაცხოვრებო ტექნიკასა და ხელსაწყოებს, პროფესიული საქმიანობის სახეებს. ისინი უნდა დაეუფლონ მარტივი ტექნოლოგიური პროცესების მოქმედების სისტემას, რიგ შემთხვევებში მოქმედების მთლიან დასრულებას. ამ ასაკში მიზანშეწონილია ცოდნის დაუფლების შესაძლებლობისდაგვარად შეურწყათ სკოლამდელი დაწესებულებებისათვის, სკოლისათვის, ოჯახისათვის სასარგელო ნაკეთობების დამზადება, სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოების შეკეთება. დაწყებული I საფეხურიდან, შრომითი სწავლების პროცესში უნდა შემოვიღოთ დავალებები თანდათანობითი გართულების სისტემა დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების ძიების ელემენტებით, ისეთი თამაშობებისა და სავარჯიშოების ჩართვა, რომლებიც ანვითარებენ ფანტაზიასა და ტექნიკურ აზროვნებას. ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს შესაძლებლობა უნდა მიეცეს მოსინჯონ ძალები ისეთ სხვადასხვა სამუშაოებში, როგორიცაა: ტექნიკური ობიექ-

ტების მოდელების კონსტრუირება, სკოლის საცდელ ნაკვეთებზე საცდელი სამუშაოების ჩატარება, პირველდაწყებითი გამომგონებლური ამოცანების გადაწყვეტა და სხვა. ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება შრომითი სწავლების, ბუნებისმეტყველების, მათემატიკის, ესთეტიკის ელემენტების, სახვითი ხელოვნების შესწავლასთან გაერთიანება. ზოგიერთ შემთხვევაში, ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, დასაშვებია პროგრამებში შეტანილ იქნეს ცვლილებები, კორექტივები.

სწავლების II საფეხურზე შრომითი სწავლების ძირითადი ამოცანაა — მოსწავლეებისათვის ზოგადშრომითი პოლიტექნიკური ცოდნის ფორმირება მასალათმცოდნეობის სფეროში, მანქანათმცოდნეობაში, ელექტროტექნიკაში, გაზომვის ტექნიკაში, კონსტრუქტორულ, გრაფიკულ და სხვა სამუშაოებში პრაქტიკული ცოდნისა და ჩვევების გამომუშავება, საოჯახო მეურნეობის გაძღოლისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულების შესწავლა. პროგრამის ძირითად განყოფილებებად შემოთავაზებულია: ტექნოლოგიის საფუძვლები (არჩევით-ლითონის დამუშავება, მცენარეების მოვლა და სხვა), ტექნიკის ელემენტები, წარმოების საფუძვლები, პროფესიის არჩევა, შესასწავლი შრომითი პროცესის, შრომის ობიექტების, მოსწავლეთა სქესის გათვალისწინებით განსახორციელებელ სამუშაოთა სახეების მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მიმდებარე საწარმოთა შესაძლებლობებისა და შრომითი სწავლების კადრების უზრუნველყოფის მიხედვით შერჩევა. ამ განყოფილებების შესწავლა უზრუნველყოფს სისტემატურ, ორგანიზებულ მწარმოებლურ შრომაში მოსწავლეთა უშუალო მონაწილეობას. სასკოლო კურსი — „წარმოების საფუძვლების პროფესიის არჩევა“ შეიძლება შესწავლილ იქნეს 17-დან 68 საათამდე ან მთლიანად იქნეს ინტეგრირებული შრომით სწავლებასთან. აღნიშნულ საკითხებზე, გადაწყვეტილებებს ღებულობს სკოლის საბჭო. ზოგადტექნიკური ხასიათის მასალის გავლა ხორციელდება თანმიმდევრობით V-დან IX კლასამდე. ან კონცენტრირდება გარკვეულ კლასებში. ამ ასაკის მოსწავლეებისათვის პროგრამებში ირთვება მოსახლეობის შრომითი ტრადიციული მიმართულებები მოცემული რეგისტრისათვის დამახასიათებელი ხალხური რეწვის სახეები. მოცემული რგოლის მოსწავლეთა შრომითი სწავლების ორგანიზება ხდება დროის სხვადასხვა ხანგრძლივობით (V—VII, V—VIII, V—IX კლასები), ორგანიზაციის

ფორმების შერჩევის, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. შრომითი სწავლების პროგრამები აგებულია მოდულური პრინციპით და შესდგება ბლოკებისაგან, რომელიც იძლევა თავისუფალი არჩევის შესაძლებლობასა და მოსწავლეთა მიერ რამოდენიმე კონკრეტული შრომითი მინი-პრაქტიკუმების გავლას სკოლაში სწავლის პროცესში (ლითონის დამუშავება, კულინარული სამუშაოები, ქსოვა, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთება, სამშენებლო საქმე, ელექტროსამონტაჟო სამუშაოები, მცენარეების მოვლა და სხვა). თითოეული პროგრამა-ბლოკი მისი მოცემულობის, თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარის, სწავლების კლასის, მემკვიდრეობითობის მიუხედავად გათვალისწინებულია მკაცრად დოზირებულ დროზე, რაც უზრუნველყოფს შესაძლებლობას სწავლების პროცესში მოსწავლემ სურვილის მიხედვით აირჩიოს პრაქტიკუმი. ამავე დროს გამოყოფილი დრო მოსახერხებელია მასწავლებლის საათობრივი ტარიფიცირებისათვის.

მოსწავლეთა ინტერესების დაკმაყოფილების, მათი ინდივიდუალური უნარისა და მიდრეკილებების განვითარებისათვის მნიშვნელოვნად ფართოვდება შრომითი სწავლების დიფერენციაცია, ხორციელდება სკოლისა და კლასის სპეციალიზაცია სხვადასხვა ვარიანტით. ვარიანტების უმრავლესობისათვის შრომითი სწავლების დრო გათვალისწინებულია კვირაში ორი საათის ოდენობით, ხოლო პროფესიული და გაღრმავებული ტექნიკური მომზადებისათვის იგი იზრდება ინდივიდუალურ სწავლების, პროფილირებული სწავლების, ფაკულტატური, საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომისათვის გამოყოფილი დროის ხარჯზე. მიზანშეწონილია აგრეთვე ფართოდ იქნეს გამოყენებული მოსწავლეთა ინდივიდუალური და ჯგუფური სწავლება. რიგი პროფესიების მიხედვით, განსაკუთრებით, სოფელ ადგილებში პრაქტიკულად განხორციელდეს სწავლება სხვადასხვა ასაკიან ბრიგადებსა და კოოპერატივებში.

III საფეხურის სკოლებშიც შრომითი სწავლება ასევე უნდა იყოს მრავალ ვარიანტული, მისი ორგანიზაციისათვის გამოიყენება სხვადასხვა ფორმები სასწავლო საწარმოო კომბინატებში, უშუალოდ საწარმოებში (საამქროებში, უბნებში), სკოლათაშორისო სასწავლო საწარმოო სახელოსნოებში, პროფსასწავლებლებში, სხვადასხვა გაერთიანებებში (უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმი-სკოლა, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, საწარმოო გა-

ერთიანებები, კოოპერატივი სკოლა) და სხვა მოქნილი, სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები, საწარმოები, ორგანიზაციები, სხვა საწარმოო გაერთიანებები.

ცალკეული საგნების გაღრმავებულ სწავლებიან სკოლებში (კლასებში) შრომითი სწავლება შესაძლებლობისდაგვარად შეერწყმება არჩეული პროფილის მიმართულებას, იგი უნდა უზრუნველყოფდეს მოსწავლეთა გაღრმავებულ პოლიტექნიკურ განათლებას შრომითი საქმიანობის მოცემულ კონკრეტულ სფეროში. საგანზე პრაქტიკული მუშაობისათვის თუ გაღრმავებული სწავლება მოითხოვს დამატებით დროს, მაშინ შრომითი სწავლებისათვის განკუთვნილი საათები ნაწილობრივ ან მთლიანად შეიძლება გადაცემულ იქნეს ამ მიზნებისათვის, ასევე შეიძლება განხორციელებულ იქნეს სასწავლო საგნების ინტეგრაცია, რომლებიც შეისწავლება გაღრმავებულად შრომით სწავლებასთან.

იმ მოსწავლეებს, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ დაეუფლონ მუშურ პროფესიას, შესაძლებლობა ეძლევათ ადგილობრივი პირობების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კადრების უზრუნველყოფის მიხედვით გაიარონ პროფესიული მომზადება VIII, IX ან X კლასიდან. ტექნიკური მიმართულების პროფესიის არჩევის შემთხვევაში ხაზვის კურსი შესაბამისი დაზუსტებებით შეიძლება ჩაერთოს პროფესიული მომზადების პროგრამაში. აღნიშნული ვარიანტის შერჩევის დროს მწარმოებლური შრომისათვის სპეციალური საათები არ გამოიყოფა. ამ კლასებში პროფესიული მომზადება მოიცავს დროს, რომელიც გათვალისწინებულია მწარმოებლური შრომისათვის, იგი ორგანულად ებმის მოცემულ პროფესიას, და, როგორც წესი, თავს იყრის ერთიან პროგრამაში. მოსწავლეთა პროფესიულ მომზადებისათვის გამოიყენება პროგრამები, რომლებიც შემუშავებულია რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების მიერ და საფუძვლად უდევს სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების სასწავლო-მეთოდური გაერთიანებების, პედაგოგიკის რესპუბლიკური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების სასწავლო მეთოდური ცენტრების (კაბინეტების) და სხვა იმ დაწესებულებების მიერ მომზადებული პროგრამები, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ მუშათა კადრების მომზადებისა და გადამზადებასთან. გარდა ამისა, სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებს უშუალოდ ხელშეკრულების დადების საფუძველზე შეუძლიათ დაუკვეთონ პროგრამები, რომლებიც მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო განათლების ორგანოების მიერ უნდა იქნეს დამტკიცებული.

სკოლებში მოსწავლეთა გაღრმავებულ შრომით სწავლებას საფუძვლად ედება შემოღებული პროფილის შესაბამისი პოლიტექნიკური ზოგადსაგანმანათლებლო საგნების გაძლიერება.

საჭიროების შემთხვევაში, გაღრმავებული სწავლების სკოლების I—XI — კლასებში შრომითი სწავლების ორგანიზებისას მიზანშეწონილია ორგანიზებულ იქნეს სწავლურ ამაღლებული ტექნიკური დონის პროგრამებით, რომელთა შინაარსშიც ფართო ადგილი აქვს დათმობილი ტექნიკური ობიექტების კონსტრუირებას. რობოტოტექნიკის კომპლექსს, ტექნიკური პროცესებისა და ობიექტების შემუშავებას. აღნიშნული ვარიანტის მიხედვით მწარმოებლური შრომა ითვალისწინებს სპეციალისტებთან, მაღალკვალიფიციურ მუშებთან ერთად ახალი ტექნიკის მომსახურებასა და გამართვას. ასეთ შემთხვევაში საბაზო ორგანიზაციად შეიძლება იყოს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, საცდელ-საკონსტრუქტორო ბიურო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, პრიორიტეტული მიმართულების ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარებადი საწარმოები.

ცალკეულ შემთხვევებში რიგ პროფესიებში შეიძლება ორგანიზებულ იქნეს ინდივიდუალური ან ჯგუფური მომზადება. მოცემული ფორმით მიზანშეწონილია სოფლის მექანიზატორთა და სხვა კადრების, ზოგიერთი უნიკალური ხალხური რეწვის პროფესიების მიხედვით მომზადება და სხვა. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, საწარმოო აუცილებლობით, მშობელთა და მოსწავლეთა სურვილის გათვალისწინებით, სკოლის საზოგადოებრივი საბჭოს რეკომენდაციით ასევე შეიძლება შემოღებულ იქნეს შრომითი მომზადების საკუთარი ვარიანტი. ასეთ შემთხვევაში სასწავლო გეგმა და პროგრამა განიხილება და მტკიცდება ტერიტორიული სახალხო განათლების მართვის ორგანოების მიერ.

ზემოაღნიშნული ყველა ვარიანტი ითვალისწინებს სკოლების, პროფსასწავლებლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მჭიდრო ურთიერთკავშირს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საკადრო პოტენციალის ეფექტური გამოყენების. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეთა შრომითი მომზადება უნდა აიგოს ქვეყანაში მთელი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის გათვალისწინებით, საზოგადოების ცხოვრებაში სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გაღრმავების, დემოკრატიზა-

ციის განვითარების, ახალგაზრდობაში ნდობის აღზრდის, სიახლი-სადმი მოთმინების, ახლის ძიების მაღალი კომპეტენტურობის, კე-თილგანწყობის, ინიციატივისა და ნოვატორობის საფუძველზე.

სკოლაში შრომითი მომზადების აღმზრდელობითი განვითარე-ბადი, პროფორიენტაციული მიმართულების რეალიზაციამ უნდა უზრუნველყოს პიროვნების თვისებების განვითარება ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სწავლების I საფეხურზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომისმოყვარეობის, დის-ციპლინისა და კოლექტივიზმის, II საფეხურზე — დამოუკიდებ-ლობისა და შრომითი აქტივობის, III საფეხურზე — სოციალური პასუხისმგებლობის აღზრდას.

მასწავლებლის დამოუკიდებლობის გაფართოების, მისი შემო-ქმედებითი შესაძლებლობების გახსნის, წვრილი მეურვეობის თა-ვიდან აცილებისათვის მიზანშეწონილია მას მიეცეს უფლება სას-წავლო დროის 20—25%-ის საკუთარი შეხედულებისამებრ გამო-ყენებისათვის.

მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომა უნდა იყოს მიზანმიმართული, ცხოვრების რეალურ მო-თხოვნილებებთან დაკავშირებული, საზოგადოებისათვის სასარგებ-ლო, შემეცნების წყარო, შესაძლებლობისდაგვარი, მოსწავლეთა მიერ სწავლის პროცესში შეძენილი ცოდნისა და უნარზე დაყრდ-ნობილი. აღნიშნულება შრომამ უნდა უზრუნველყოს საზოგადო-ებრივ-შრომით დამოკიდებულებების სისტემაში მოსწავლეთა ჩარ-თვა, უპასუხოს სანიტარული-ჰიგიენური ნორმების მოთხოვნებს, ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, მოსწავლეთა ინტერესებსა და მიდრეკილებებს. მიზანშეწონილია მოსწავლეებს მიეცეთ უფლება აირჩიონ შრომისათვის კვირის რომელიმე დღე და საათი, მათი სახეობის სხვადასხვაგვარობა, ორგანიზაციის ფორმები. გამოირი-ცხოს მოსწავლეთა შრომის ანაზღაურების საქმეში ფორმალიზმი და გათანაბრება, არ იქნას დაშვებული მოსწავლეთა შრომის ანაზ-ღაურების გადაუხდელობის ფაქტი, მათი თანხმობის გარეშე ცენტ-რალური ბუღალტერიის მიმდინარე ანგარიშზე გამომუშავებული თანხის გადარიცხვა.

სკოლის საბჭოებს უფლება ეძლევათ საზოგადოებრივად სასარ-გებლო, მწარმოებლური შრომისათვის გამოყოფილი საათები, აგ-რეთვე გამოიყენოს გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავ-ლეთა შრომის ორგანიზაციისათვის, სოციალური დახმარების, ბუ-ნების დაცვის სფეროში და სხვა. ნებადართულია მწარმოებლური

შრომისაგან იმ მოსწავლეთა განთავისუფლება, რომლებიც მუშაობენ სწავლისაგან თავისუფალ დროს ინდივიდუალური შრომით მოწყობის წესით. კვირაში ხუთდღიანი რეჟიმით მომუშავე სკოლებში (კლასებში), როგორც წესი, მწარმოებლური შრომა ხორციელდება დასვენების რომელიმე ერთ დღეს.

ყოველმხრივ უნდა ჰპოვოს გავრცელება შრომის ბრიგადულმა და იჯარულმა ფორმებმა, სხვადასხვა ასაკოვანი რაზმების შექმნამ, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პირობებზე ნაწილობრივი გადასვლის პრაქტიკამ. მხარდაჭერას იმსახურებს მოსწავლეთა ნებაყოფლობითი მონაწილეობა შრომით გაერთიანებებში, მოსწავლეთა კოოპერატივებში, სწავლისაგან თავისუფალ დროს სახალხო მეურნეობის საწარმოებში მათი ინდივიდუალური შრომითი მოწყობის პრაქტიკა. სკოლებისა და მოსწავლეებისათვის დახმარებისათვის მიზანშეწონილია ადგილებზე მწარმოებლური შრომის კოორდინაციის ცენტრების შექმნა სამეურნეო ანგარიშსა და ნაწილობრივი დაფინანსების საფუძველზე.

ახალი სამეურნეო მექანიზმის შემოღებამ უნდა უზრუნველყოს სკოლის ბიუჯეტური დაფინანსებისა და მწარმოებლური შრომის შედეგად მიღებული ფულადი სახსრების შეერთება. სკოლისა და მისი საბაზო საწარმოს ურთიერთკავშირი უნდა ემყარებოდეს არა კმაყოფაზე ყოფნის საწყისებს, არამედ ეკონომიკური პარტნიორობის პრინციპებს. ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ საწარმო თავისუფლდება ბიუჯეტში შრომითი რესურსებისათვის გადასახადისაგან (მხედველობაშია მიღებული მოსწავლეები) მათი ხელფასი არ გაითვალისწინება ხელფასის მატებასა და მწარმოებლური შრომის მატებას შორის თანაფარდობის განსაზღვრისას.

აუცილებლობის შემთხვევაში მწარმოებლური შრომის საათები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტექნიკური შემოქმედების პრაქტიკული სამუშაოებისათვის, სოფლის მეურნეობაში საცდელი მუშაობისათვისა და ეკონომიკური და ეკოლოგიური საფუძვლების ცოდნის ფორმირებისათვის.

გათვალისწინებულია მოსწავლეთა ყოველწლიური შრომითი პრაქტიკა, შრომითი პრაქტიკის ჩატარების ვადები და წესი განისაზღვროს ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა აღმასკომებთან არსებული სახალხო განათლების მართვის სახელმწიფო საზოგადოებრივი ორგანოების მიერ. ნებადართულია შრომითი

პრაქტიკის ჩატარება პიონერთა ბანაკებში, შრომისა და დასვენების ბანაკებში და სხვა შრომით გაერთიანებებში, აგრეთვე ინდივიდუალური შრომითი მოწყობის პირობებში გავლა.

შრომითი მომზადება საჭიროა განხორციელდეს ჰიგიენური რეკომენდაციების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ნორმირებულია: შრომითი მეცადინეობის საერთო ხანგრძლივობა — სამუშაო დღე; ცალკეული სამუშაო ოპერაციების ხანგრძლივობისი უწყვეტობა; შრომისა და დასვენების რეჟიმი; მუშაობის დროის ოპტიმალური სიმჭიდროვე; ოპერაციის ხარისხის დინამიკური და სტატისტიკური დატვირთვის წილი; მუშაობის ტემპი; გადასატანი სიმძიმის სიდიდე; მწარმოებლური შრომის პროცესში გამომუშავება: სასწავლო-საწარმოო ნაგებობების პარამეტრები, უნდა შესრულდეს მოთხოვნები სამუშაო ადგილის მომსახურებისა, მათ შორის სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთათვის მოწყობილობებისა და ინსტრუმენტების პარამეტრები; უსაფრთხოების ტექნიკა, ჰიგიენური ნორმები შრომითი სწავლებისა და მწარმოებლური შრომისათვის განკუთვნილი ნაგებობებისა, მოსწავლეთა პროფესიულ მომზადებაზე დაშვების წესები, მათ შორის, სამუშაოთა ნუსხა, რომლის მიხედვითაც იკრძალება მოსწავლეთა სწავლება და სამუშაოთა ნუსხა, რომლებიც დაკავშირებულია მუშაობის მძიმე პირობებთან და საშიშია სიცოცხლისათვის, რომლის შესრულებაც 18 წელზე ნაკლები ასაკის პირებისათვის აკრძალულია.

შრომითი სწავლების ფართო დეცენტრალიზაცია სკოლის მუშაობის შემდგომი დემოკრატიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორს, ცხოვრებასთან მისი კავშირის განმტკიცების, ქვეყნის სამეურნეო მექანიზმისა და ეკონომიკის გარდაქმნის პრაქტიკას წარმოადგენს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს 1989 წლის 30 ივნისის ბრძანება № 380

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წარჩინებულ კურსდამთავრებულთა ოქროს მედლით დაჯილდოების თაობაზე სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა დამტკიცების შესახებ

ოქროს მედლით „წარჩინებული წარმატებისათვის სწავლაში, შრომაში და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ და ქების სიგელის „ცალკეული საგნების შესწავლაში განსაკუთრებული წარმატებისათვის“ შესახებ სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან გამომდინარე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო განათლების სამინისტროების, სამხრეთ-ოსეთის ა/ო სახალხო განათლების სამმართველოს კოლეგიების, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა (სამმართველოების) საბჭოების გადაწყვეტილება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წარჩინებულ კურსდამთავრებულთა ოქროს მედლით დაჯილდოების შესახებ (დაჯილდოებულთა სია თან ერთვის — სულ 113).

მათვე დაევალოთ, სახალხო განათლების საბჭოს, ფართო საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით, საშუალო სკოლის წარჩინებით კურსდამთავრებულთა დაჯილდოება საზეიმო ვითარებაში.

2. მედლით დაჯილდოებულ კურსდამთავრებულებზე გაცემულ იქნეს განსაკუთრებული ნიმუშის ატესტატები თანახმად თანდართული სიისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი №1

## 1988—1989 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ ოქროს მედლით დაჯილდოებულთა სია

აფხაზეთის ასსრ

ქ. სოხუმი.

| | | |
|---|---|---|
| 1. | გობეჩია მედეა ვახტანგის ასული | 1-ლი საშ. სკოლა |
| 2. | გობეჯიშვილი სოფიკო ოთარის ას. | 1-ლი საშ. სკოლა |
| 3. | ზაქარაია ხათუნა სიმონის ასული | 1-ლი საშ. სკოლა |
| 4. | ეზუგბაია ეკატერინე გივის ასული | მე-3 საშ. სკოლა |
| 5. | ანასტასიადი ესტატე დიმიტრის ძე | მე-4 საშ. სკოლა |
| 6. | ბალათელია მაია ანიონის ასული | მე-4 საშ. სკოლა |
| 7. | სპაფაროვა ნიკოლ გიორგის ასული | ნე-4 საშ. სკოლა |
| 8. | გოგოხია ლიკა რევაზის ასული | მე-5 საშ. სკოლა |
| 9. | მარღანია მედეა ვახტანგის ასული | მე-11 საშ. სკოლა |
| 10. | კვიტატიანი თეა ალექსანდრეს ას. | მე-11 საშ. სკოლა |
| 11. | რევიშვილი ვასილ კარლოსის ძე | მე-12 საშ. სკოლა |
| 12. | ცირდავა ლალი შოთას ასული | მე-14 საშ. სკოლა |
| 13. | რეხვიაშვილი როინ რეზოს ძე | მე-16 საშ. სკოლა |
| 14. | გერაძე ლავრენტი ღემურის ძე | მე-19 საშ. სკოლა |
| 15. | კოკაია ნიკოლოზ გრიგოლის ძე | მე-11 საშ. სკოლა |
| 16. | ბასლანიძე მედეა თამაზის ას. | 1-ლი საშ. სკოლა |

ქ. ტყვარჩელი

| | | |
|---|---|---|
| 17. | კალანდაძე რუსუდან რევაზის ას. | მე-2 საშ. სკოლა |

გალის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| 18. | ასვანუა ბაჩანა ოთარის ასული | მე-4 საშ. სკოლა |

გუდაუთის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| 19. | ფილია კლარა ალექსის ასული | მე-4 საშ. სკოლა |
| 20. | შამბა დიანა ივანეს ასული | მე-4 საშ. სკოლა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჩამჩირის რაიონი

21. ლეონოვა ლადა ოლეგის ასული — მე-2 საშ. სკოლა

აჭარის ასსრ

ქ. ბათუმი

22. ფილიშვილი ეკა სოსოს ასული — 1 ლი საშ. სკოლა
23. სამნიძე ნათია თამაზის ასული — მე-6 საშ. სკოლა
24. ჩიგოგიძე თამარ გურამის ასული — მე-8 საშ. სკოლა
25. გაბაიძე ჯემალ იოსების ძე — მე-8 საშ. სკოლა
26. ხვედელიძე ეკატერინე პარმენის ას. — 24-ე საშ. სკოლა

ხელვაჩაურის რაიონი

27. თედორაძე კობა მემედის ძე — ერგეს საშ. სკოლა
28. კახიძე თანგიზ ნიაზის ძე — ერგეს საშ. სკოლა

ხულოს რაიონი

29. აბულაძე ცირა გივის ასული — ხულოს საშ. სკოლა

სამხრეთ ოსეთის ა/ო

ქ. ცხინვალი

30. ხადური ხათუნა რაჟდენის ასული — 1-ლი საშ. სკოლა
31. შავლოხოვა ირინა ალექსანდრეს ას. — მე-2 საშ. სკოლა

ქ. თბილისი

ლენინის რაიონი

32. ხვედელიძე მარიამ კონსტანტინეს ასული — 33-ე საშ. სკოლა

გლდანის რაიონი

33. ტურფაშვილი ედგარ მიხეილის ძე — 69-ე საშ. სკოლა
34. ტურფაშვილი თამაზ მიხეილის ძე — 69-ე საშ. სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### პირველი მაისის რაიონი

| | |
|---|---|
| 35. გეგუჩაძე ლიანა არჩილის ასული | მე-18 საშ. სკოლა |
| 36. პერეჟოგინა ირინა ალექსის ასული | მე-19 საშ. სკოლა |
| 37. დადიანი ნათია ავთანდილის ასული | მე-100 საშ. სკოლა |
| 38. ბორჯაძე კარლო ვარლამის ძე | 116- საშ. სკოლა |
| 39. ველიჩკო ირინა სერგის ასული | 116-ე საშ. სკოლა |
| 40. ხიტიბაშვილი ნინო ოთარის ასული | 130-ე საშ. სკოლა |
| 41. ხეჩინაშვილი დავით გიორგის ძე | 147-ე საშ. სკოლა |

### კალინინის რაიონი

| | |
|---|---|
| 42. ჭიჭინაძე მარინე თამაზის ასული | 1-ლი საშ. სკოლა |
| 43. იმნაიშვილი რუსუდან ვახტანგის ასული | 1-ლი საშ. სკოლა |
| 44. ჯაფარიძე ნინო შოთას ასული | 1-ლი საშ. სკოლა |
| 45. ბერაძე ფატიმა ჯუმბერის ასული | 43-ე საშ. სკოლა |
| 46. თეთრაშვილი სოფიო ანზორის ას. | 43-ე საშ. სკოლა |
| 47. ტრაპაიძე ქეთევან თენგიზის ას. | 47-ე საშ. სკოლა |
| 48. კაციტაძე გიორგი ალბერტის ძე | 50-ე საშ. სკოლა |
| 49. ტყეშელაშვილი ალექსანდრე ზალიმის ძე | 53-ე საშ. სკოლა |

### ორჯონიკიძის რაიონი

| | |
|---|---|
| 50. სილაგაძე ნინო აპოლონის ასული | 55-ე საშ. სკოლა |
| 51. გვარამია ქეთევან ვახტანგის ასული | 55-ე საშ. სკოლა |
| 52. თათეოსოვი მიხეილ ლეონიდეს ძე | 56-ე საშ. სკოლა |
| 53. თეთროქალაშვილი მეგი დავითის ასული | 56-ე საშ. სკოლა |
| 54. თურნავა ლეილა მურმანის ასული | 56-ე საშ. სკოლა |
| 55. მანაშეროვი ლია ნარიმანის ასული | 128-ე საშ. სკოლა |
| 56. ტერსენოვა ნაილი ალექსანდრეს ასული | 128-ე საშ. სკოლა |
| 57. უგულავა ხათუნა მურადის ასული | 150-ე საშ. სკოლა |
| 58. დანელიშვილი ლია ომარის ასული | 150-ე საშ. სკოლა |
| 59. პაჩოშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე | 150-ე საშ. სკოლა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 კომისრის სახელობის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| 60. | ფაღავა ელენე ყარამანის ასული | 77-ე საშ. სკოლა |
| 61. | კეზერაშვილი სიმონ ალბერტის ძე | 77-ე საშ. სკოლა |

ოქტომბრის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| 62. | მოროზოვი არკადი ედუარდის ძე | 32-ე საშ. სკოლა |
| 63. | ცხოიძე ნათია გელას ასული | 36-ე საშ. სკოლა |
| 64. | გუგუციძე ეკატერინე დიმიტრის ასული | 37-ე საშ. სკოლა |
| 65. | ბესპალოვა სოფიო იურის ასული | 37-ე საშ. სკოლა |

საქარხნო რაიონი

| | | |
|---|---|---|
| 66. | ცომაია გიორგი ედუარდის ძე | 106-ე საშ. სკოლა |
| 67. | ჭიაბერაშვილი ზურაბ გივის ძე | 106-ე საშ. სკოლა |

საბურთალოს რაიონი

| | | |
|---|---|---|
| 68. | ბერიძე ირინე მერაბის ასული | 1-ლი ექსპერიმენტული სკოლა |
| 69. | გიგინეიშვილი ლევან ლერის ძე | 1-ლი ექსპერიმენტული სკოლა |
| 70. | კობიაშვილი ირინე მალხაზის ას. | მე-60 საშ. სკოლა |
| 71. | შევარდნაძე ქეთევან ლავროსის ასული | მე-60 საშ. სკოლა |
| 72. | გამყრელიძე ეკატერინე ზურაბის ასული | 61-ე საშ. სკოლა |
| 73. | სეფაშვილი მანანა გიორგის ასული | 61-ე საშ. სკოლა |
| 74. | ჩაჩანაშვილი რევაზ თეიმურაზის ძე | 63-ე საშ. სკოლა |
| 75. | ფილიშვილი თამარ ვლადიმერის ასული | 64-ე საშ. სკოლა |
| 76. | ლეჟავა პაატა გურამის ძე | 162-ე საშ. სკოლა |

კომაროვის სახ. ქ. თბილისის
ფიზიკა-მათემატიკური
სკოლა-ინტერნატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

77. ათანელაშვილი თეიმურაზ მერაბის ძე
78. გაჩეჩილაძე ქეთევან თენგიზის ასული

მე-6 საშ. სკოლა

79. გაბაშვილი ვლადიმერ კონსტანტინეს ძე

ქ. ქუთაისი

80. გუმბარიძე ნანა გიორგის ასული — მე-3 საშ. სკოლა
81. სანდუხაძე შოთა ლაშარის ძე — მე-3 საშ. სკოლა
82. ტყეშელაშვილი ელენე თამაზის ასული — მე-3 საშ. სკოლა
83. ჯიქია ნიკა მერაბის ძე — მე-10 საშ. სკოლა
84. ჭეიშვილი ბაქარ დავითის ძე — მე-10 საშ. სკოლა
85. კიკნაველიძე ასმათ მირზას ასული — 25-ე საშ. სკოლა

ქ. ჭიათურა

86. გაფრინდაშვილი პაატა გურამის ძე — მე-3 საშ. სკოლა
87. ბიწაძე შოთა სპარტაკის ძე — მე-9 საშ. სკოლა

ქ. რუსთავი

88. ბუჩუკური ლია მოსეს ასული — მე-19 საშ. სკოლა

ქ. გორი

89. ვაშაკიძე თინათინ გურამის ასული — მე-7 საშ. სკოლა

ქ. წყალტუბო

90. ფხაკაძე ირმა ნიკოლოზის ასული — მე-4 საშ. სკოლა

ამბროლაურის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| 91. | კობახიძე ივანე იურის ძე | ამბროლაურის 1-ლი საშ. სკოლა |
| 92. | კობახიძე ნათია გელას ასული | ამბროლაურის მე-2 საშ. სკოლა |

ახმეტის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| 93. | ტერტერაშვილი მაკა დიმიტრის ასული | მე-2 საშ. სკოლა |

ბოგდანოვკის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| 94. | მგდესიანი ქნარიკ კარლენის ას. | მე-2 საშ. სკოლა |

ბოლნისის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| 95. | სარქისიანი ლუდმილა მიხაკას ას. | სოფ. ბოლნისის საშ. სკოლა |

ბორჯომის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| 96. | ბასილაია თამარ ლევანის ასული | მე-2 საშ. სკოლა |

ზუგდიდის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| 97. | კუტალია ზურაბ სერგოს ძე | ახალსოფლის სკოლა-ინტერნატი |
| 98. | ბეჟვაია თეა ბონდოს ასული | ნარაზენის მე-2 საშ. სკოლა |

ქარელის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| 99. | ზედგინიძე თამარ სულიკოს ასული | ქვენათკოცის საშ. სკოლა |

კასპის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| 100. | შაველაშვილი დავით ენმარის ძე | კასპის 1-ლი საშ. სკოლა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთის რაიონი

| | |
|---|---|
| 101. მელიქიშვილი ნატალია გურამის ასული | მცხეთის 1-ლი საშ. სკოლა |
| 102. ბერიშვილი ხათუნა გიორგის ას. | მცხეთის 1-ლი საშ. სკოლა |

ოზურგეთის რაიონი

| | |
|---|---|
| 103. მაისურაძე ნანა გრიგოლის ას. | მახარაძის მე-2 საშ. სკოლა |
| 104. ნაცვალაძე ნინო რომანის ასული | მახარაძის მე-2 საშ. სკოლა |

ონის რაიონი

| | |
|---|---|
| 105. შიშმილაშვილი მალხაზ რუბენის ძე | ონის 1-ლი საშ სკოლა |
| 106. შიშმილაშვილი მადონა ისმაილის ასული | ონის 1-ლი საშ სკოლა |

სენაკის რაიონი

| | |
|---|---|
| 107. ჯანჯღავა ალექსანდრე გიორგის ძე | მე-4 საშ. სკოლა |

თეთრიწყაროს რაიონი

| | |
|---|---|
| 108. წიკლაური ირმა დავითის ასული | მანგლისის 1-ლი საშ. სკოლა |

წალკის რაიონის

| | |
|---|---|
| 109. პარასკევოვა სოფიო ოთარის ას. | მე-3 საშ. სკოლა |

წითელწყაროს რაიონი

| | |
|---|---|
| 110. თეთვაძე ირინა ვლადიმერის ას. | წითელწყაროს რუსული საშ. სკოლა |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხარაგაულის რაიონი

| | |
|---|---|
| 111. შერგელაშვილი ბადრი თენგიზის ძე | დაბა ორჯონიკიძის 1-ლი საშ. სკოლა |
| 112. მაისურაძე მარინა გურამის ას. | დაბა ორჯონიკიძის მე-2 საშ. სკოლა |

ხონის რაიონი

| | |
|---|---|
| 113. უგულავა ნინო მურმანის ასული | ივანდიდის საშ. სკოლა |

3. ზოგადსაშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველომ (ამხ. ა. ეჯიბაძე), მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამმართველოსთან (ამხ. ჯ. კორძაია) და სასწავლო დაწესებულებების სახელმწიფო ინსპექციასთან (ამხ. ნ. ჩიკვილაძე) ერთად გააანალიზოს სკოლის დამამთავრებელ და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებში მედალოსან კურსდამთავრებულთა მონაწილეობის შედეგები და საკითხი კოლეგიის სხდომაზე განსახილველად შემოიტანოს 1989 წლის სექტემბრის თვეში.

4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს მინისტრის მოადგილემ ამხ. ნ. გურგენიძემ.

მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს 1989 წლის 31 ივლისის ბრძანება № 452

### აჭარის ასსრ-ში სტიქიისაგან დაზარალებული და რესპუბლიკის რეგიონებში ჩასახლებული ოჯახების ბავშვებისათვის სასწავლო პირობების შესაქმნელად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 14 ივნისის № 285 დადგენილების შესაბამისად, და იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში მიმდინარეობს აჭარის ასსრ-ში სტიქიისაგან დაზარალებული ოჯახების ჩასახლება, რომელთა ბავშვებისათვის სასწავლო პირობების შესაქმნელად საჭიროა დამატებითი ღონისძიებების გატარება

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. უმაღლესი, საშუალო-სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველომ (ამხ. რ. ხუროძე) აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოსთან (ამხ. კ. სუჯაშვილი) ერთად შეიმუშაოს ჩასახლების რეგიონებში სამშენებლო სამუშაოთა განსახორციელებლად სტუდენტთა სამშენებლო რაზმების სამოქმედო კონკრეტული პროგრამა.

2. დაევალოს რესპუბლიკის იმ რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, სადაც გათვალისწინებულია აჭარის ასსრ-ში სტიქიისაგან დაზარალებული ოჯახების ჩასახლება, ადგილობრივი რაისაბჭოს აღმასკომებთან შეთანხმებით გაატარონ ღონისძიებები აღნიშნულ რეგიონებში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის; იქონიონ სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ბავშვთა კონტინგენტის პერსონალური აღრიცხვა, 1 სექტემბრამდე განსაზღვრონ სასწავლო დაწესებულებებში მათი განაწილების საკითხი; მიიღონ ზომები კადრებით, სახელმ-

ძღვანელოებით, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფის მიზნით, რისთვისაც, საჭიროების შემთხვევაში, ფართოდ გაშალონ საშეფო მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს სასწავლო დაწესებულებების სახელმწიფო ინსპექციას (ნ. ჩიკვილაძე), ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს (ა. ეჯიბაძე), სკოლამდელი აღზრდისა და ინტერნატულ დაწესებულებათა განყოფილებებს (ნ. ახობაძე, გ. ჭუმბურიძე), სტიქიისაგან დაზარალებულთა ჩასახლების რეგიონებში ადგილებზე მისვლით გაარკვიონ არსებული ვითარება, განსაზღვრონ სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულების ბავშვთა კონტინგენტის სწავლებაში ჩაბმის გზები და საშუალებები, მიიღონ სათანადო ზომები აღნიშნულ რეგიონებში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის.

4. ხელმძღვანელი სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველომ (ა. ჭაჭია), ადგილებზე არსებული პირობების შესაბამისად გაატაროს ღონისძიებები სასწავლო დაწესებულებების კადრებით უზრუნველყოფის, ახალგაზრდა სპეციალისტების მიღების, დატვირთვისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის მიზნით.

5. სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველომ (ნ. ღლონტი) სტიქიისაგან დაზარალებულთა ჩასახლების რეგიონები საჭიროების მიხედვით უზრუნველყოს სასწავლო სახელმძღვანელოებით, თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებით, მეთოდური და სხვა სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურით.

6. მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური ბაზის განვითარების სამმართველომ (ნ. ვორონოვი, ი. ურუშაძე) სტიქიით დაზარალებულთა ჩასახლების რეგიონებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 14.06. № 285 დადგენილების თანახმად დროულად უზრუნველყოს სახალხო განათლების სამინისტროზე დაკისრებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციების მომზადება, მათი გადაცემა დამკვეთ ორგანიზაციებზე განსაზღვრულ ვადებში (წლის ბოლომდე).

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს აღნიშნული სკოლების, სასწავლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით მომარაგებისა და უზრუნველყოფის საკითხს ახალი სასწავლო წლისათვის.

7. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ი. ისაშვილი) ახალი სასწავლო წლიდან ქსელისა და მოსწავლეთა კონტიგენტის საკონტროლო მაჩვენებლების განსაზღვრისათვის, და ამის შესაბამისად, მომსახურე პერსონალის შრომის ანაზღაურების ფონდის დადგენისათვის, დააზუსტოს რესპუბლიკის რაიონებში სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა ჩასახლების დისლოკაცია და მოსწავლეთა კონტიგენტის რაოდენობა.

8. ეთხოვოს გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციას (ა. სილაგაძე) რეგულარულად გამოაქვეყნოს პუბლიკაციები აჭარის ასსრ-ში სტიქიისაგან დაზარალებული და რესპუბლიკის რეგიონებში ჩასახლებული ოჯახებისათვის სასწავლო პირობების შექმნის დამატებითი ღონისძიებების მიმდინარეობის თაობაზე.

9. კოორდინაცია და კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეებს: ამხ. ნ. გურგენიძეს, ნ. ვორონოვს.

მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს
## 1989 წლის 2 აგვისტოს
## ბრძანება № 454

### მარნეულის რაიონის სოფელ თამარისის საშუალო სკოლიდან აზერბაიჯანული სექტორის გამოყოფისა და ალავარის დაწყებითი სკოლის რეორგანიზაციის შ ე ს ა ხ ე ბ

მარნეულის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოეყოს მარნეულის რაიონის სოფელ თამარისის საშუალო სკოლას აზერბაიჯანული სექტორი მ. წ. 20 აგვისტოდან, გაერთიანდეს იგი ამავე რაიონის სოფელ ალავარის დაწყებით სკოლასთან და შესაბამისად აღნიშნული სკოლა გადაკეთდეს არასრულ საშუალო სკოლად.

სკოლის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება და შრომის ანაზღაურების ლიმიტით უზრუნველყოფა მოხდეს რაიონის განათლების დაწესებულებებისათვის მიმდინარე წლის დამტკიცებული ფინანსირების და ლიმიტის ფარგლებში.

2. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დააწესოს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ი. მ. ისაშვილი).

მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო გაერთიანება „საქსამოქმრეწვმშენი“ 1989 წლის 4 აგვისტოს ბრძანება № 457 123

### „მომავლის სკოლის“ — ახალი ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საპროექტო წინადადებების დამუშავებაზე რესპუბლიკური ღია კონკურსის შედეგების შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ:

1. დამტკიცდეს

— „მომავლის სკოლის“ რესპუბლიკური ღია კონკურსის ჟიურის 1989 წლის 24 ივლისის შემაჯამებელი სხდომის ოქმი.

— ჟიურის წევრთა მუშაობის ანგარიშსწორების უწყისი

2. მიენიჭოთ

— ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 33 კლასზე წარმოდგენილ საპროექტო წინადადებებს:

მეორე პრემია თანხით 3750,0 მან. პროექტს დევიზით — ოთხკუთხედი და სამკუთხედი ჩახაზულ წრეში, ავტორთა ჯგუფს — გ. ვ. მარსაგიშვილს, გ. დ. ქვანიას, ვ. ვ. ხვიტიას, გ. ი. მარგიშვილსა და რ. ქ. მაისურაძეს, თითოეულს 750,0 მან. ოდენობით.

მეორე პრემია თანხით 3750,0 მან. პროექტს დევიზით —123—5, ავტორთა ჯგუფს ნ. შ. ქვათელაძეს — 1687,0 მან (45%), მ. გ. მელქაძეს — 1500,0 მან. (40%) და ზ. რ. სვანაძეს — 562,5 მან. (15%).

მესამე პრემია თანხით 2250 მან. პროექტს დევიზით — 123321, ავტორთა ჯგუფს ვ. მ. ქორიძეს — 787,5 მან. (35%), დ. ჯ. იოსებიძეს — 337,5 მან. (15%), გ. ბ. სუმბაძეს — 337,5 მან. (15%), ვ. ვ. ხვიტიას — 337,5 მან. (15%) და ო. ზ. ქვრივიშვილს — 450,0 მან. (20%).

მესამე პრემია თანხით 2250 მან. პროექტს დევიზით — 591758, ავტორს გ. ვ. პაიჭაძეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 11 კლასზე წარმოდგენილ საპროექტო წინადადებებს:

მეორე პრემია თანხით 1500 მან. პროექტს დევიზით—101311, ავტორთა ჯგუფს კ. ა. კაკაბაძეს, ი. ს. ბუზარიაშვილს, ლ. ლ. ქურციკიძესა და ვ. ს. მარგველაშვილს, თითოეულს 375 მან.

მესამე პრემია თანხით 500,0 მან. პროექტს დევიზით — 091045, ავტორს ვ. ა. გაბიბოვს.

3. გაეცეს დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ფინანსიური გაანგარიშების თანახმად.

— საექსპერტო სამუშაოების შესრულებისათვის ე. ა. კალანდაძეს 425 მან. და ნ. გ. ჯობაძეს — 425 მან.

— კონკურსის პასუხისმგებელ მდივანს ე. ა. სუხიშვილს — 150 მან.

4. ანაზღაურდეს ჟიურის მიერ არასამუშაო დროს გაწეული შრომა თანახმად წარმოდგენილი დანართისა და თითოეულ წევრზე გაიცეს 150 მან.

5. გაეცეს საგამოფენო სტენდების, გამოფენის ჩატარებისა და საკონკურსო მასალის ბეჭდვისათვის რ. მ. სიამაშვილს 150 მან., ნ. ვ. ბიბილეიშვილს 150 მან. და ვ. ფ. ოდიშარიას 100 მან.

6. კონკურსის პროგრამისა და პირობის შედგენისა და კონკურსის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის გამოეცხადოთ მადლობა ი. ურუშაძესა და გ. ჩახავას.

7. დაევალოს გაერთიანება „საქსამოქმრეწვმშენის“ საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს (ამხ. შუშანოვი), ორი კვირის განმავლობაში გასცეს ზემოაღნიშნული თანხები.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების და ინფორმაციის სამმართველოს (ამხ. ნ. ა. ღლონტი) 1989 წლის ბოლომდე გამოსცეს კონკურსზე წარმოდგენილ პროექტთა კატალოგი.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრი
გ. ენუქიძე

გაერთიანება „საქსამოქმრეწვმშენის“ თავმჯდომარე
დ. მანჯგალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს 1989 წლის 14 აგვისტოს ბრძანება № 472

მ/წლის 10 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო განკარგულება № 635-გ, რომლის მიხედვით საქართველოში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო აჭარისა და სვანეთის რაიონებიდან ჩამოსახლებული მოსახლეობისათვის მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებში სტუდენტთა და მოსწავლეთა აქტიურად ჩაბმის მიზნით, აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში შექმნილი ვითარების გამო აუცილებელი შეიქმნა უფროს კლასელთა მასობრივი მონაწილეობა მთელი რიგი რაიონების სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, გადაწყდა, რომ რესპუბლიკის ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულებაში, როგორც გამონაკლისი, სასწავლო წელი 1 სექტემბრის ნაცვლად დაიწყოს 2 ოქტომბერს.

აღნიშნული განკარგულების მიზანმიმართული რეალიზაციისათვის ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსებმა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დირექტორებმა:

1.1. უზრუნველყონ სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისა და სასწავლო დაწესებულებათა მუშაობის რეჟიმის შესაბამისობაში მოყვანის სათანადო ღონისძიებანი.

1.2. ძალაში დარჩეს სამუშაოზე პედაგოგიური კოლექტივების 21 აგვისტოს გამოცხადება.

1.3. გაატარონ საჭირო ღონისძიებანი, რათა პედაგოგიური კოლექტივების მიერ ნაყოფიერად იქნეს გამოყენებული მ/წლის აგვისტო-სექტემბერი ახალი სასწავლო წლის სრულყოფილად

მომზადებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს აღნიშნულ პერიოდში წინა სასწავლო წლის ობიექტურ და პრინციპულ შეჯამებას, ამოცანების დასახვას, მოწინავე გამოცდილების განზოგადებას და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

1.4. სახალხო განათლების მუშაკთა კონფერენციები ჩატარდეს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მ/წ აგვისტო-სექტემბერში.

1.5. რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში ახალი სასწავლო წლის დაწყების საკითხს წყვეტენ ადგილობრივი ორგანოები.

1.6. ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად მაქსიმალურად გამოიყენონ აგვისტო-სექტემბერი სასწავლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობაში არსებული ნაკლოვანებების მოსაწესრიგებლად.

1.7. ინტერნატულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა გაითვალისწინონ მრავალშვილიანი, ობოლი, მზრუნველობას მოკლებული, ხელმოკლე, სხვადასხვა ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე აღსაზრდელთა ოჯახების მატერიალური მდგომარეობა და პირველ სექტემბერს გამოცხადების შემთხვევაში, უზრუნველყონ მათი მიღება არსებული წესის დაცვით.

1.8. საჭიროების შემთხვევაში სათანადო ორგანიზაცია გაუკეთდეს გახანგრძლივებული ჯგუფების ფუნქციონირებას.

1.9. მოსწავლეთა საშემოდგომო გამოცდები ჩატარდეს 1989 წლის აგვისტო-სექტემბერში.

2. ცოდნის დღესასწაული რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში ჩატარდეს მ/წლის 1 ოქტომბერს.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა, ზონალურმა ინსტიტუტებმა, საქალაქო (რაიონული) მეთოდური კაბინეტების ხელმძღვანელებმა რადიკალურად გადასინჯონ სისტემის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ფორმები, მეთოდები და მაქსიმალურად გაუკეთონ ორგანიზაცია სექტემბრის თვის განმავლობაში კვალიფიკაციის ამაღლების ახალ ფორმებს, რომელთა მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება გარდაქმნის მოთხოვნათა რეალიზაცია.

4. უმაღლესი სასწავლებლების რექტორებმა, საშუალო-სპეციალური სასწავლებლების დირექტორებმა გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი თანამშრომელთა დროული გამოცხადებისა და მათთან სათანადო მუშაობის ჩასატარებლად. მიზანშეწონილად ჩაითვალოს სექტემბრის თვის გამოყენება სამეცნიერო საბჭოებისა და კათედ-

რების სხდომებზე გასული სასწავლო წლის შედეგების ღრმა ანალიზის, მისაღები გამოცდების შედეგების და ახალი სასწავლო წლის ამოცანების განხილვა გარდაქმნის მოთხოვნათა შუქზე.

4.1. დაევალოს სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს მ. წ. სექტემბერში კვლავაც გააგრძელონ და მაქსიმალურად ჩააბან მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა რესპუბლიკის რაიონებში საამშენებლო, ისტორიულ ძეგლთა აღდგენის, არქეოლოგიურ და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, რისთვისაც დროულად გააფორმონ ხელშეკრულებები შესაბამის ორგანიზაციებთან.

4.2. დაევალოთ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორებს ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის შექმნან უფროსკლასელთა შრომითი ნებაყოფლობითი რაზმები და ბრიგადები სკოლის მიმდებარე ტერიტორიის, შენობების, კაბინეტ-ლაბორატორიების, ბიბლიოთეკების კეთილმოწყობის და აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად. ამასთან ერთად საჭიროების შემთხვევაში საშეფო საბაზო ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყონ მოსწავლეთა სწავლების პროფილის შესაბამისი შრომითი დასაქმება.

4.3. სახალხო განათლების სისტემის სკოლისგარეშე დაწესებულებებმა (პიონერთა სახლები, ნორჩ ტექნიკოსთა, ნატურალისტთა, ტურისტული და მხარეთმცოდნეობის სადგურები, სპორტული სკოლები) აღსაზრდელებთან მუშაობა განაახლონ მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან.

5. მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ პროფსაბჭოს გადაწყვეტილებით სექტემბრის თვეში ფუნქციონირებას აგრძელებს პიონერთა ბანაკები და ბავშვთა სანატორიუმები.

დაევალოთ განათლების რაიონულ და საქალაქო განყოფილებებს პროფკავშირისა და კომკავშირის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად გააგრძელონ საქალაქო და რაიონული პიონერული ბანაკების მუშაობა 1989 წლის სექტემბერში.

6.1. სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა სექტემბრის თვის ხელფასის ანაზღაურება თითოეულ თანამშრომლისათვის, პედაგოგისათვის, პროფესორ-მასწავლებლებისათვის, სასწავლო-დამხმარე პერსონალისათვის მოახდინონ არსებული ტარიფიკაციისა და საშტატო განრიგის მიხედვით (მათ შორის მათზე, ვინც გააგრძელებენ მუშაობას პიონერთა ბანაკებში) პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

6.2. ნება დაერთოს სასწავლებლების ხელმძღვანელებს სტუდენტებზე და მოსწავლეებზე გასცენ სექტემბრის თვის სტიპენდია საერთო წესით.

6.3. ნება დაერთოს სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელებს, ორგანიზაციის საქმიანობიდან გამომდინარე და თანამშრომელთა სურვილის შემთხვევაში გაუფორმოს მათ სექტემბრის თვეში უხელფასო შვებულება.

7. დაევალოს რესპუბლიკურ სასწავლო-მეთოდურ ცენტრს (ამხ. ა. კაპანაძე) სამინისტრო სამმართველო-განყოფილებებთან, სარაიონო (საქალაქო) მეთოდურ კაბინეტებთან ერთად, მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე შეიმუშაონ კონკრეტული რეკომენდაციები სასწავლო წლის ხანგრძლივობის შემცირებიდან გამომდინარე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში საჭირო ცვლილებების შეტანის შესახებ.

8. სასწავლო დაწესებულებების სახელმწიფო ინსპექციამ (ამხ. ნ. ჩიკვილაძე) სამინისტროს შესაბამის სამმართველო-განყოფილებებთან ერთად უზრუნველყოს 21 აგვისტოდან რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში თანამშრომელთა მივლინება ადგილობრივი განათლების ორგანოებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით.

9. კატეგორიულად აიკრძალოს 1 ოქტომბრიდან სტუდენტი და მოსწავლე-ახალგაზრდობის მოცდენა სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოებით.

10. მინისტრის მოადგილეებმა, სამმართველო-განყოფილებათა ხელმძღვანელებმა დროულად შეიტანონ სათანადო კორექტივები ახალი სასწავლო წლის მზადებისათვის დამტკიცებულ გეგმაში და პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველყონ მისი შესრულება.

11. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ნ. შ. ვასაძეს.

მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს 1989 წლის 29 აგვისტოს ბრძანება № 493

### გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის № 13 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის (ფერმერ-მეიჯარეთა სკოლის) შექმნის შესახებ

სოფლის მეურნეობაში პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის, ახალი ეკონომიკური, საარენდო და იჯარული ურთიერთობების დანერგვამ მოითხოვა სოფლად ახალი ტიპის სასწავლო დაწესებულებების შექმნა ფართო პროფილისა და თანამედროვე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადების მიზნით.

აღნიშნულის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნება დაერთოს ველისციხის № 13 საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს 1989/90 სასწავლო წლიდან ექსპერიმენტის სახით ჩამოაყალიბოს ფერმერ-მეიჯარეთა სასწავლებელი. ამასთან დაკავშირებით შეტანილი იქნას ნაწილობრივი ცვლილება სახალხო განათლების სამინისტროს ა/წლის 9 იანვრის № 13 ბრძანებაში.

2. დამტკიცდეს ფერმერ-მეიჯარეთა მომზადების საცდელი სასწავლო გეგმა.

3. დაევალოს ველისციხის № 13 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლის ხელმძღვანელობას:

ა) ექსპერიმენტული სწავლების პირობების შესაბამისად უზრუნველყოს ახალი სასწავლო წლისათვის სასწავლო-მატერიალური ბაზის მომზადება.

ბ) რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ლაბორატორიებთან ერთად საცდელი სასწავლო გეგმის მიხედვით დაამუ-

ეროვნული

შაოს სასწავლო დოკუმენტაცია და შესაბამისი სასწავლო პროგრა-მები. ამ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს მეცნიე-რები და პრაქტიკოსი მუშაკები.

გ) რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებასთან ხელშეკრულე-ბის საფუძველზე წარმოადგინოს წინადადებები სასწავლებელში მოსამზადებელი პროფესიების თაობაზე.

დ) ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ფერმერ-მეიჯარეთა სკო-ლის დებულების დამუშავება და განსახილველად წარმოდგენა.

ე) შეიტანოს კორექტივები სასწავლებლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გეგმებში და წარმოადგინოს განსახილველად სამინის-ტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოში.

ვ) უზრუნველყოს ექსპერიმენტული ჯგუფებისათვის მაღალკვა-ლიფიციური საწარმოო სწავლების ოსტატთა და მასწავლებელთა კადრების შერჩევა, განსაზღვროს და განახორციელოს მათი თეო-რიული და პრაქტიკული ცოდნის ამაღლების გზები და საშუალე-ბები.

ზ) ადგილობრივი პრესისა და საპროფორიენტაციო მუშაობის სხვადასხვა ფორმების საშუალებით პროპაგანდა გაუწიოს ექსპერი-მენტულ სასწავლებელს. რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებისა და სახალხო განათლების ორგანოების მონაწილეობით გაატაროს მოფიქრებული ღონისძიებები სასწავლებელში ახალგაზრდობის მი-ზიდვის მიზნით.

4. ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველომ (ამხ. ამხ. ა. ეჯიბაძე, თ. კიკნაძე), სამეცნიერო-მეთოდურმა ცენტრ-მა (ამხ. ა. კაპანაძე);

— სასწავლებლის კოლექტივთან ერთად ყურადღება გაამახვი-ლონ ექსპერიმენტის ძირითადი პრინციპების ორგანიზაციასა და ჩატარებაზე, ამ სამუშაოების დაწყების ვადებზე, შუალედურ და საბოლოო შედეგებზე, კვლევის მეთოდებზე, მეთოდური რეკომენ-დაციების შექმნაზე.

— სისტემატური სამეცნიერო-მეთოდური დახმარება აღმოუჩი-ნონ სასწავლებელს ექსპერიმენტული მუშაობის ორგანიზაციაში, განახორციელონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ახალი კვალიფი-კაციის კადრების მომზადებაზე, მათი ეკონომიკური, პროფესიული სწავლებისა და აღზრდის მეთოდებზე, ხელმძღვანელი და ინჟინერ-პედაგოგიურ მუშაკთა მომზადებას კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის დირექტორმა (ამხ. [illegible] ჯიბანაძე) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მეცნიერების, პრაქტიკული მუშაკების მოწვევა და მათთან ხელშეკრულებების გაფორმება.

6. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სამინისტროს ზოგადსაშუალო და პროფტექნიკური განათლების სამმართველოს (ა. ეჯიბაძე).

მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
## საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო
## 1989 წლის 21 აგვისტოს
## ბრძანება № 482/431

### თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დადებითნიშნიანი აბიტურიენტების შესახებ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში 1989 წლის მისაღები გამოცდების შედეგად ჩაურიცხავი დარჩა 771 აბიტურიენტი.

მხედველობაში ვიღებთ იმ გარემოებას, რომ 1989 წლის მისაღები გამოცდები მომზადდა და ჩატარდა დაძაბულ პოლიტიკურ სიტუაციაში, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სტაბილიზირებული, აგრეთვე იმას, რომ ჩაურიცხავ აბიტურიენტთა შორის არიან მრავალშვილიანი ოჯახების შვილები, ჩვილშვილიანი დედები, ფეხმძიმე ქალები, მაღალმთიანი და სტიქიით დაზარალებული რაიონების მცხოვრებნი, რესპუბლიკის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები, 9 აპრილის ამბებთან დაკავშირებით დაზარალებულნი და მოწამლულნი. მიგვაჩნია, რომ ახლანდელ რთულ პოლიტიკურ, სოციალურ და დემოგრაფიულ ვითარებაში ამ კატეგორიების აბიტურიენტები იმსახურებენ ობიექტურ და სრულიად სამართლიან დახმარებას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ:

1. ჩაირიცხონ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ყველა სპეციალობაზე ის აბიტურიენტები, რომელთაც მისაღებ გამოცდებზე დააგროვეს 15 და მეტი ქულა, აგრეთვე სანჰიგიენური და ფარმაცევტული ფაკულტეტების ყველა დადებითნიშნიანი აბიტურიენტი.

2. ყველა აბიტურიენტი, რომელთაც აქვთ დადებითი ნიშნები ჩაირიცხოს მოსამზადებელ განყოფილებაზე საწარმოებთან და დაწესებულებებთან წესებით გათვალისწინებული ხელშეკრულებების დადების შემდეგ.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრი | საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი |
| გ. ენუქიძე | ი. მენაღარიშვილი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს 1989 წლის 12 სექტემბრის ბრძანება № 529

თანახმად საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის 1989 წლის მარტის გადაწყვეტილებისა, „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეთა კომპიუტერული განათლების უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიის დანერგვის ღონისძიებების შესახებ“ სასწავლო დანიშნულების საუკეთესო კომპიუტერული პროგრამების შექმნის სამუშაოებში მოსწავლე ახალგაზრდობის, სასწავლებელთა პედაგოგიური კადრების ფართოდ ჩაბმის მიზნით გამოცხადდეს ყოველწლიური კონკურსი, რისთვისაც:

1. დამტკიცდეს ინფორმატიკის მთავარი ცენტრის მიერ წარმოდგენილი კონკურსის დებულება (პირობები). კონკურსი ჩატარდეს ყოველწლიურად 15 სექტემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით, შედეგები კი გამოცხადდეს დეკემბრის თვეში.

2. დაევალოს ინფორმატიკის მთავარ ცენტრს (ამხ. გ. გვარამია), 1989 წლის 15 ნოემბრამდე შექმნას და დაამტკიცოს საკონკურსო ჟიურის შემადგენლობა.

3. დაევალოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (ამხ. ი. ისაშვილი), კონკურსის საპრიზო ფონდისათვის ინფორმატიკის მთავარ ცენტრს ყოველწლიურად გამოუყოს 2000 მან.

4. ეთხოვოს გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციას (ამხ. ა. სილაგაძე) გამოაქვეყნოს 1989 წლის კონკურსის პირობები 20 სექტემბრისათვის, კონკურსის შედეგები კი 25 დეკემბრისათვის.

მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო ინფორმატიკის მთავარი ცენტრი

### კ ო ნ კ უ რ ს ი

### სასწავლო დანიშნულების საუკეთესო კომპიუტერული პროგრამის შექმნაზე

კონკურსის პირობები

კონკურსის მიზანია სასწავლო პროცესში კომპიუტერის გამოყენების მიმართულებით სამუშაოების სტიმულირება, საშუალო, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლებისათვის ალგორითმებისა და პროგრამების დარგობრივი ფონდის დაგროვება და შემდგომი განვითარება.

კონკურსი გამოცხადდება ყოველწლიურად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებს, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-ტექნიკური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეებსა და სტუდენტებს, პროფესიონალ-პროგრამისტებს.

კონკურსში მონაწილე ავტორთა რაოდენობა სასურველია არ აღემატებოდეს სამ კაცს თითოეულ პროგრამაზე.

კონკურსზე მიიღება სასწავლო დანიშნულების პროგრამები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისათვის, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლებისათვის ნებისმიერი სასწავლო დისციპლინის მიხედვით. სასწავლო პროცესში გამოყენების ფორმის მიხედვით პროგრამები შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის:

— სადემონსტრაციო

— მასწავლებელი

— საწვრთნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაკონტროლებელი
— სასწავლო მოდელი
— სასწავლო-შემეცნებითი თამაში

ან მათი სხვადასხვა კომბინაციის ტიპის.

კონკურსზე წარმოდგენილი პროგრამა (ან პროგრამული კომპლექსი) უნდა შეესაბამებოდეს ამორჩეული საგნობრივი არის რაიმე დასრულებულ განყოფილებას (ან მის დასრულებულ ნაწილს).

კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს, აგრეთვე, სასწავლო დანიშნულების ალგორითმული, სიმბოლური ან მანქანური ენები კომპიუტერზე რეალიზებული სახით.

პროგრამები შეიძლება გაფორმდეს ცალკეული პროგრამების, გამოყენებითი პროგრამების პაკეტის (პროგრამული კომპლექსის), ბიბლიოთეკის, დიალოგური სისტემის, ექსპერტული სისტემის, მოკარნახე დიალოგური სისტემის, ინსტრუმენტალური სისტემის სახით, ოღონდ ყველა შემთხვევაში ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ პროგრამული პროდუქტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

დაპროგრამების ენა, რომელზეც პროგრამა იქნება ჩაწერილი, შეიძლება იყოს ნებისმიერი იმისდა მიხედვით, თუ რა ამოცანა იდგა ავტორის წინაშე, რა ტიპისაა კომპიუტერი და რომელი ოპერაციული სისტემა არის გამოყენებული. პროგრამები უნდა იყოს რეალიზებული კომპიუტერებზე, რომლებიც მასიურად გამოიყენებიან სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროცესში.

კონკურსზე წარმოსადგენი დოკუმენტების სია:

1. მონაცემები ავტორის (ან ავტორთა) შესახებ: გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, სამუშაოს ან სწავლების ადგილი, ბინის მისამართი, ტელეფონი.

2. პროგრამის ანოტაცია: დამუშავების მიზანი, ვადები, მოკლე შინაარსი.

3. ალგორითმის და პროგრამის აღწერა, მომხმარებლის (მოსწავლის) ინსტრუქცია, პროგრამისტის ინსტრუქცია (თუ პროგრამა მოითხოვს პროგრამისტის ჩარევას სხვადასხვა პარამეტრის შეცვლის მიზნით). ყველა მასალა უნდა გაფორმდეს დროებითი სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით (იხ. დანართი).

კონკურსის ჩატარების ვადაა — 1989 წლის 15 სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე. მასალები მიიღება 1 დეკემბრამდე.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 1989 წლის დეკემბრის ბოლოს.

მასალები მიიღება მისამართით: 380002, ქ. თბილისი, კამოს ქ. № 52. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ინფორმატიკის მთავარი ცენტრი.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი ფულადი პრემიები:

სასწავლო დაწესებულებების მასწავლებელთათვის და პროფესიონალი-პროგრამისტებისათვის:

ერთი პირველი პრემია — 300 მან.

ორი მეორე პრემია — 250 მან.

ორი მესამე პრემია — 200 მან.

სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის:

ერთი პირველი პრემია — 200 მან.

ორი მეორე პრემია — 150 მან.

სამი მესამე პრემია — 100 მან.

გამარჯვებული პროგრამები გადაიცემა საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ალგორითმებისა და პროგრამების დარგობრივ ფონდში.

კონკურსის შედეგები გამარჯვებული პროგრამების ფართო ანოტაციებით გამოქვეყნდება ცალკე ბროშურის სახით.

ცნობებისათვის მიმართეთ ტელეფონით: 95-64-72.

დანართი

## კონკურსისათვის მასალების მომზადების დროებითი სახელმძღვანელო დოკუმენტი

I. ალგორითმისა და პროგრამის მოკლე აღწერა

1. პროგრამის დასახელება
2. ალგორითმის ლოგიკური სტრუქტურა
3. გამოყენებული მეთოდები
4. პროგრამის სტრუქტურა შემადგენელი ნაწილებისა და მათ შორის კავშირების აღწერით

5. გამოყენებული ტექნიკური საშუალებანი
6. პროგრამის ფუნქციონირებისათვის საჭირო მათემატიკური უზრუნველყოფა
7. დაპროგრამების ენა, რომელზეც დაიწერა პროგრამა
8. გამოყენებული მეხსიერების მოცულობა და პროგრამასთან მომხმარებლის მუშაობის საკონტაქტო დრო.

II. მომხმარებლის ინსტრუქცია

1. პროგრამის გამოძახების ხერხი ინფორმაციის შესაბამისი მატარებლიდან
2. შესასვლელი და გამოსასვლელი მონაცემების აღწერა
3. პროგრამაში შესასვლელი წერტილები
4. დიალოგში მუშაობის თავისებურებანი
5. პროგრამასთან მუშაობის დამთავრება.

III. პროგრამისტის ინსტრუქცია

1. ცნობები პროგრამის შემოწმების, ფუნქციონირების უზრუნველყოფის და კონკრეტული გამოყენების პირობებზე მორგების შესახებ
2. ცნობები პროგრამის ექსპლუატაციის შესახებ
3. ენის სინტაქსი და სემანტიკა (თუ წარმოდგენილია სასწავლო დანიშნულების დაპროგრამების ენა ან შემსრულებელ-რობოტის პროგრამა თავისი ბრძანებათა სისტემით).

**შენიშვნა.** დოკუმენტით სარგებლობისას პასუხი უნდა გაეცეს მხოლოდ იმ საკითხებს, რომელთა გარეშე შეუძლებელი გახდება პროგრამის შრომისუნარიანობის დადგენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს 1989 წლის 12 სექტემბრის ბრძანება № 530

### სოფლის სკოლის მასწავლებელთა კადრით უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, სოფლის სკოლის მასწავლებელთა კადრით დაკომპლექტების საქმეში ნელი ტემპით მიმდინარეობს გარდაქმნა, შექმნილია არასასურველი მდგომარეობა. მთელ რიგ რაიონებში, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში სკოლას აკლია არაერთი სპეციალისტი. მძიმე სურათია არაქართულ სკოლებში ქართული ენის, დაწყებითი კლასების, რუსული ენის, უცხო ენების მასწავლებლის შერჩევის საქმეში.

სოფლის სკოლისთვის მასწავლებლის შერჩევისა და დანიშვნის საქმის სრულყოფისათვის ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს დღის სწავლების 4—5 კურსის სტუდენტთა სოფლის სკოლაში ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით მასწავლებლად დანიშვნა, ხელფასთან ერთად სტიპენდიის შენარჩუნებით, ადგილზე ახალგაზრდა სპეციალისტზე განკუთვნილი ყველა შეღავათის მინიჭებით და აღნიშნული პერიოდის პედაგოგიურ სტაჟად ჩათვლით, დამთავრების შემდეგ, სურვილის მიხედვით ამავე ადგილზე განაწილებით.

2. ნება დაერთოს ქალაქის სკოლის მასწავლებლებს სურვილის მიხედვით მივლინებულ იქნენ სოფლის სკოლაში 1—3 სასწავლო წლით ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით, მუდმივი სამუშაო ადგილის და ქალაქში ჩაწერის შენარჩუნებით, სოფლის სკოლაში განაწილებული მასწავლებლის ყველა შეღავათის მინიჭებით. ასეთ შემთხვევაში მივლინებული პირის ადგილზე სპეციალისტი ინიშნება დროებით, მივლინებული პირის დაბრუნებამდე.

მივლინებას აფორმებს განათლების სამინისტრო.

3. სოფლის სკოლაში განაწილების საგზურით ჩასულ საგნის მასწავლებელთ, რომელთა დატვირთვა 18-სთ-ზე ნაკლებია, ხელფასი განესაზღვროს 18 სთ-ის, ანუ ერთი განაკვეთის ფარგლებში და ეწოდოს „პერსონალური დანამატი". პერსონალური ხელფასი დაენიშნოთ ისეთი სოფლის სკოლის მასწავლებლებს, სადაც საგნის სხვა მასწავლებელი არ არის, მთლიანად ამოწურულია საგანთა დაწყვილება.

პერსონალური ხელფასი ინიშნება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ერთი წლის სკოლის კოლექტივის წარდგინებით. დასახელებულ შეღავათს ბრძანებით გადაწყვეტს განათლების განყოფილება და გაავრცელებს მას მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში, აღმასკომთან შეთანხმებით.

4. პედაგოგიური სპეციალობების დაუსწრებელი და საღამოს სწავლების ყველა სტუდენტისათვის სავალდებულოდ იქნეს შემოღებული პროფილით მუშაობა განსაკუთრებით სწავლების მე-3—5 კურსზე. შეღავათი გავრცელდეს ახალგაზრდა დედებზე და შრომის ინვალიდებზე არსებული წესის მიხედვით.

დასახელებული სწავლების ფორმის ყველა სტუდენტს, რომელიც სურვილს გამოთქვამს პროფილით სამუშაოდ წავიდეს სოფლის სკოლაში, სახალხო განათლების სამინისტრო მიავლენს და ის ასევე ისარგებლებს სოფლის სკოლაში განაწილებული მასწავლებლის ყველა უფლებით.

5. სოფლის სკოლის მასწავლებელთა კადრით რაციონალური დაკომპლექტებისათვის სახალხო განათლების სამინისტროს კადრების სამმართველოში შეიქმნას ვაკანტურ ადგილთა ბანკი, რომელთანაც უშუალო ან წერილობითი კავშირის დამყარებით, თითოეულ მსურველს შეეძლება გაიგოს სოფლის სკოლის დასახელება, საათთა რაოდენობა, ადგილობრივი პირობები.

განათლების სარაიონო განყოფილებების გამგეები პირადი პასუხისმგებლობით, ყოველი თვის ბოლოს აწვდიან ვაკანტურ ადგილთა ნუსხას ზემოთ დასახელებულ ბანკს, საათთა და პირობების ჩვენებით. ცნობები ვაკანტური ადგილების შესახებ სისტემატურად გამოქვეყნდეს პრესაში. საგანგებო საინფორმაციო საშუალებით დაყვანილ იქნას ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებამდე.

6. როგორც იშვიათი გამონაკლისი, იმ შემთხვევაში თუ სახალხო განათლების სამინისტრომ ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნა სპე-

ციალისტზე, სოფლის სკოლის დირექციას განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით უფლება მიეცეს მასწავლებლად დროებით დანიშნოს საშუალო განათლების მქონე პირი, რომელმაც გასაუბრება უნდა გაიაროს და მიიღოს დასტური რაიონის შესაბამის საგნობრივ გაერთიანებაში.

7. საშუალო განათლების მქონე სოფლის სკოლის მასწავლებლები და საბავშვო ბაღის აღმზრდელები მუშაობის 2 წლის შემდეგ უგამოცდოდ, გასაუბრების წესით ჩაირიცხებიან უმაღლესი ან საშუალო სპეციალური პედაგოგიური სასწავლებლების სწავლების დაუსწრებელ განყოფილებაზე და იქ სწავლის მანძილზე ვალდებული არიან იმუშაონ იმ სკოლაში, რომელმაც გაუწია რეკომენდაცია.

8. სკოლაში მომუშავე საპენსიო ასაკის მასწავლებლის დატვირთვის და მის მიერ მუშაობის გაგრძელებას განსაზღვრავს სკოლის ადმინისტრაცია სათანადო სარაიონო საგნობრივ გაერთიანებასთან ერთად — მასწავლებლის სურვილისა და შესაძლებლობის მიხედვით.

ამასთანავე, იმ რეგიონებში, სადაც კადრის სიჭარბეა, დაცული იქნას ქალაქის სკოლაში პენსიისა და 0,5 განაკვეთის ფარგლებში დატვირთვა, ხოლო ერთ განაკვეთამდე სოფლის სკოლაში.

კადრის ნაკლებობის შემთხვევაში პენსიონერი მასწავლებლის დატვირთვის შეზღუდვა არ ხორციელდება.

9. გათვალისწინებული იქნას, რომ ძალაში რჩება წესი, როდესაც სოფლის სკოლაში მასწავლებლად დანიშვნის შემთხვევაში სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან ვაჟების განთავისუფლება ვრცელდება მხოლოდ უმაღლეს დამთავრებულებზე.

10. დაევალოს განათლების საქალაქო, სარაიონო განყოფილებათა გამგეებს:

1. სკოლის დირექტორებთან და საგნობრივ გაერთიანებათა მთავარ სპეციალისტებთან ერთად ქმედითად გამოიყენონ სოფლის მასწავლებელთა კადრით დაკომპლექტებაში ზემოთ დასახელებული სიახლეები. სასწავლო წლის განმავლობაში ყურადღებით ადევნონ თვალი მათ განხორციელებას, კატეგორიულად გამორიცხონ რომელიმე მათგანის ხელოვნური გამოყენების მცდელობა და დროული ინფორმაცია მიაწოდონ სამინისტროს.

2. ქალაქებსა და რაიონის ცენტრებში აღრიცხვაზე მყოფ დროებით უმუშევარ სპეციალისტებს მიეცეთ წინადადება სამუშაოდ წავიდნენ იმავე რეგიონის ფარგლებში იმ სოფლის სკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებში სადაც კადრი საჭირო არის. საპატიო მიზეზის გარეშე უარის თქმის შემთხვევაში სპეციალისტი მოიხსნას აღრიცხვიდან.

3. გაატარონ საჭირო ზომები, რათა აღრიცხვაზე მყოფმა სპეციალისტებმა დროულად შეიტყონ რესპუბლიკის სხვა რეგიონებში არსებული ვაკანსიების შესახებ.

4. რაიონის საგნობრივ გაერთიანებებში ჩაუტარონ გასაუბრება ყველა უკვე დანიშნულ საშუალო განათლების ან არასპეციალობით მომუშავე სკოლის მასწავლებელს და მხოლოდ მიღებული დასტურის შემდეგ გადაწყვიტონ საატესტაციო კომისიებთან ერთად საკითხი მათი შემდგომი მუშაობის შესახებ (საატესტაციო დებულების დაცვით).

5. აწარმოონ ზუსტი აღრიცხვა რესპუბლიკის ყველა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში პედაგოგიურ სპეციალობაში შესატყვისი რაიონიდან ჩარიცხულ სტუდენტთა შესახებ ფაკულტეტისა და კურსის მიხედვით, ჩაატარონ მათთან სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა სკოლაში სამუშაოდ მიზიდვის მიზნით.

6. უზრუნველყონ დასახელებულ ღონისძიებათა განხორციელებაში სკოლის კოლექტივებში საჯაროობისა და დემოკრატიის პრინციპის ქმედითობა, დირექტორის პასუხისმგებლობის ამაღლება.

11. საჭიროების შემთხვევაში დასახელებული ღონისძიებები გავრცელდეს სოფლის სხვა სასწავლო დაწესებულებებზეც.

12. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს ნ. ვასაძეს.

მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს 1989 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება № 469

### ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთა დახასიათების გაუქმების შესახებ

ვაქვეყნებ სსრკ სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის 1989 წლის 1 ივნისის № 450 ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთა დახასიათების გაუქმების შესახებ“:

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა პიროვნების შეფასებისადმი ობიექტური მიდგომის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაუქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა დახასიათება.

2. ნება დაერთოთ სასკოლო (პედაგოგიური) საბჭოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის II და III საფეხურის კურსდამთავრებულებს მათი ან მშობლების თხოვნით მისცენ რეკომენდაციები სწავლის გასაგრძელებლად ან შრომითი საქმიანობის დასაწყებად, მოსწავლის ინტერესებისა და უნარის შესაბამისად.

3. გაუქმდეს სამუშაო და სწავლების ადგილიდან დახასიათებების წარმოდგენა სახალხო განათლების ორგანოების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთათვის ოქროს ან ვერცხლის მედლით დაჯილდოებით მასალების განხილვის დროს.

4. ამოღებულ იქნას სსრკ განათლების სამინისტროს 1985 წლის 22 აპრილის № 69 ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა გამოცდების, გადაყვანისა და გამოშვების ინსტრუქციიდან მუხლი 29.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრკ განათლების სამინისტროს 1969 წლის 12 თებერვლის № 18-მ საინსტრუქციო წერილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

I პუნქტი და სსრკ განათლების სამინისტროს 1985 წლის 16 დეკემბრის № 100-მ საინსტრუქციო წერილის I პუნქტი სკოლიდან და სამუშაო ადგილიდან დახასიათების წარმოდგენის ნაწილში.

6. შეტანილ იქნეს სათანადო ცვლილებები სსრკ სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის 1988 წლის 14 მარტის № 3 ბრძანებით დამტკიცებული სსრკ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების მე-3 მუხლში.

თავმჯდომარე გ. მ. იაგოდინი

სსრკ სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის ზემოაღნიშნული ბრძანების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის სახალხო განათლების სამმართველოებმა სსრკ სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის 1989 წლის 1 ივნისის ბრძანება № 450 „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთა დახასიათების გაუქმების შესახებ“ დაიყვანონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებამდე, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებამდე.

2. ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველომ (ამხ. ა. ეჯიბაძე), მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამმართველომ (ამხ. ჯ. კორძაია) კონტროლი განახორციელონ ამ ბრძანების შესრულებაზე.

მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი


გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა — რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის ნაწილობრივი მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . 3

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა — რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ზოგიერთი კატეგორიის აბიტურიენტების კონკურსგარეშე ჩარიცხვის შესახებ . . . . . . . . 11

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა — რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში „საბავშვო ბაღში აღზრდისა და სწავლების ტიპური პროგრამის“ რეალიზაციის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . , 15

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა — სტიქიური უბედურების გამო აჭარის ასსრ რაიონებიდან საქართველოს სსრ სხვა რეგიონებში ჩასახლებულ აბიტურიენტთა კონკურსგარეშე ჩარიცხვის შესახებ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში . . . . . . . . . 28

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა — სკოლამდელი დაწესებულებების; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სახლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ქსელის მდგომარეობისა და სრულყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ . . . . 29

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა — რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემაში გასულ სასწავლო წელს გატარებული ზოგიერთი ღონისძიების შედეგებისა და ახალი 1989—1990 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების შესახებ . . . . . . . . . 41

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა — რესპუბლიკის სოფლის სკოლის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შემუშავების შესახებ . . . 59

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომითი სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . 67

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წარჩინებულ კურსდამთავრებულთა ოქროს მედლით დაჯილდოების თაობაზე სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა დამტკიცების შესახებ . . . . 97

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა — აჭარის ასსრ-ში სტიქიისაგან დაზარალებული და რესპუბლიკის რეგიონებში ჩასახლებული ოჯახების ბავშვებისათვის სასწავლო პირობების შესაქმნელად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ . . . . . . . . . . 106

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა — მარნეულის რაიონის სოფელ თამარისის საშუალო სკოლიდან აზერბაიჯანული სექტორის გამოყოფისა და ალავარის დაწყებითი სკოლის რეორგანიზაციის შესახებ . . . . . 109
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა — „მომავლის სკოლის" — ახალი ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საპროექტო წინადადებების დამუშავებაზე რესპუბლიკური ღია კონკურსის შედეგების შესახებ . . . . 110
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა — სასწავლო წლის 2 ოქტომბერს დაწყების შესახებ . 110
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა — გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის № 13 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის (ფერმერ-მეიჯარეთა სკოლის) შექმნის შესახებ . . . . . . . . . . 116
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დადებითნიშნიანი აბიტურიენტების შესახებ . . . . . . 119
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა — სასწავლო დანიშნულების საუკეთესო კომპიუტერული პროგრამის შექმნის კონკურსის შესახებ . . . . . 122
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა — სოფლის სკოლის მასწავლებელთა კადრით უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ . . . . . 126
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთა დახასიათების გაუქმების შესახებ . . . . . . 130

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობის რედაქტორი ი. კუკავა

ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუდაღაშვილი

კორექტორი ე. კასრელიშვილი

გადაეცა წარმოებას 29.11.89

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.03.90

ქაღალდის ფორმატი 60×90 1/16.

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 8,5

სააღრიცხვო-საგამომც. თაბახი 6,43

უფასო. შეკვეთა 1047. ტირაჟი 3000

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.

СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
МИНИСТЕРСТВА НАРОДНОГО ОБРАЗОВАНИЯ ГССР

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
**Тбилиси 1989**